



3 ၃ ၁ ၆ ၅ ၃ ၃ ၀ ၂ ၄ ၀

# ამბობებები

წიგნი მარტივი

(სამხედრო მეცნიერებები)



3 ၃ ၄ ၀ ၈ ၀

1974



3 8 5 6 5 8 8 0 8 5 4 9

# აღმონაბეჭდი


წიგნი ავტორი

(საქართველოს სამართლის მიერ გამოცემა)

---

3 5 4 0 % 0 .

1974



PETRE-VANO  
KHVEDELIDZE'S  
LIBRARY

## შესავალი

ვლასა მგელაძის მოგონებები სპარსეთის რევოლუციაზე შეეიცარიაში ნახულის პოეტური აღწერით იუცება. და ეს იმიტომ, რომ ამ მოძრაობის დასაწყისი მან აქ გაიგო და აქ გაცნობილმა სანახაობამაც მისი რევოლუციური სული დაავაეკუა, მოამწიფა და მოამზადა ასეთი მოძრაობისათვის. ეს აღწერა იმდენად ვრცელია, რომ სამწუხაოოთ, ვერ შევძლებთ ამ წიგნთან ერთად გამოკიდოთ, მაგრამ არც ის გვინდა, რომ ის უცნობი დარჩეს ამ წიგნის მქითხველებისათვის. ამიტომ განვიზრახეთ დიდი შემოკლებით, მაგრამ მაინც გადმოქცეთ მისი შინაარსი.

ვლასა 1908 წელს ვენიდან ციურიხში მიდის. ირთავი ქვეყნის ბუნება ჰქიბლავს მას, განსაკუთრებით შეეიცარიას, ყველა ფეხისგადალგმაზე უჩერდება იგი ხე-ტყეს, მთა-ბარს, ფოთლების შრიალს, მწვანე ბალაზის და ჭრელი ყვავილების ბიბინს, ფრინველთა ელურტულს, ცაში აკიდულ თოვლიან მწერვალებს, მათგან ჩაძონაქუს ბროლისფერ მდინარეებს, ხეობებში შეჭრილ მინვრებს — სადაც სოფლის მეურნეობა ყვავის, ქალაქში ფეხაღმულ წარმოებას — სადაც ცხოვრება ჟღელვარებს და წინ მიიწევს... ყველგან თავისუფალი ადამიანის სახეს წედავს, რომელსაც ცხოვრება საათივით აუწყვია, ამ თვალწარმტაცი ბუნებისათვის შეუფარდებია... და ფიქრობს: განა ბუნების ასეთი სიმშვენიერე არ არის ჩეენში?! მაგრამ ადამიანი უუფლებოა, მისი ინციატივა დახშულია. მის ცხოვრებას უსულგულო წოდალადეები განაგებენ, მისთვის მონობაა მინეული და, თუ მას იყვადრისებს, ბორკილებს გაუყრინ, ციმბირში ყონულად აქცევენ, ან სახიობელაზე თოვით დაპკიდებენ...

ასეთ ფიქრებში გართული ვლასა ციურიხში, საჭართველოს მოსიუვარულე აქსელროდის კარებს შეაღებს. აქსელროდი მას იცნობს და გადაეცვევა. ვლასა მას ჰელი აიტაცებს, რის დამნახავი შვილიშვილი დედასთან



გარბის ყველილით: „იმპელა ბიძია გვესტუმრა მაპაშვილი კერამდე ასწიაო“.

ვლასა აქსელროდს დაწვრილებით უამბობს საქართველოს ამბებს: მესამე დუმაში კარლო ჩხეიძის არჩევნებს, რეაქციის წინააღმდეგ ხალხის შეუპოვარ ბრძოლას, აქ-სერლოდიც მოხიბლულია ქართველი მეთაურების რაქ-ტიკით და აინტერესებს სილიბისტრო ჯიბლაძის პი-როვნება, რომელსაც ვლასა უხასიათებს და თან გააც-ნობს საქართველოში არსებული ბრძოლის ჯოჯონქოთურ პირობებს.

აქედან ვლასა უენევაში გოორგი პლეხანოვთან ძიემ-გზავრება. იგიც ხომ მისი ძველი ნაცნობია და მათი შეხ-ვდრაც მხურვალეა. პლეხანოვის მეულე ექიმია, მათი ქალიშვილები სწავლითა და მუშიკით გატაცებული სტუდენტებია.

პირველყოფლისა, რაც ვლასას თვალში ხვდება — ამა-თი ბინაა, ბინა რომელიც მთის ანკარა წყაროებით სავ-სე მდინარეს დასკურის, ფიკრ-ნაძნარით ამწვანებულ ფერდოებს შეპყურებს. იგი მოხერხებულათაცაა უანა-წილებული. მწერლის სამუშაო კაბინეტში გრძელი მა-გიდა დატვირთულია დაწერილი და დაუწერელი ქა-ლალდებით, რომელსაც უველა მხრიდან წიგნებით გაპე-დილი თაროები დასკურიან. კაბინეტის იქით შეიძლების სამაცადინო ოთახებია და ცოტა იქით მეულლის ფაკენ-ტების შისალები ზალა. ქვემოთ საერთო ზალა, სადაც პიანინო სდგას. საწოლი ოთახები კი მზეს ამოსველიდან ჩასვლამდე მისდევენ და გულლია ფანჯრებით შიგ იძუ-დებენ ბუნების სიმშვენიერებს. სამზარეულო, სასაღილო და სხვა მოწყობილებანი ისე არის განლაგებული, რომ უველა მიხედება აქ დიდი გემოვნების ხალხი ცხოვრობ-სო. აქ შრომა, ძილი, გართობა, სეირნობა „ომეგა“-ს; მე-ქანიშმება აწყობილი და მედიცინის დიდი ტალანტით დაჯილდოვებული დიასახლისი უველაფერს საუცხავოდ აწონასწორებს, აქაურ ცხოვრებას ნამდვილ სამოთხედ ხდის...

ვლასას ეს სურათი პხიბლავს და ჩწმუნდება, რომ შეო-  
ლოდ განათლებულ ადამიანებს შეუძლიათ ბუნების წი-  
აღში ასეთი ცხოვრების აწყობა. და, განათლება, განათ-  
ლების მიღება ჩაუსადგურდება მას სულსა და გულში.

მასპინძელი რუსეთში მუშაობაზე შეკითხვების შიცე-  
მით საუბრობს ვლასასთან და სისარულით ილმება, რო-  
ცა გაიგებს, რომ ნოე ყორდანია ჯანმთელადაა და რეაქ-  
ციის პირობებში არალეგალურ მუშაობას აგრძელებს.  
საგანგებოდ ეკითხება „ქართველი ბებელის“ სილიბის-  
ტრო ჯიბლაძის ამბავს. სწყინს, რომ ჯერ არ უნახია დე-  
პუტატი კარლო ჩხეიძე, დუმაში მედგრად რომ იბრძვის,  
მაგრამ საზღვარგარეთ კონფერენციებს ვერ ესწრება. მო-  
ხიბლულა არჩილ ჯაფარიძის და ირაკლი წერეთელის  
ქცევით. დიდად მოსწონს ამ უკანასკნელის მიერ წარ-  
მოთქმული ისტორიული სიტყვა.

პლეხანოვი მას ყველა რთულსა თუ უბრალო საკითხს  
ერთნაირი გასაგები ფორმით ეკითხება და ეს პოსტონს  
ვლასას ამ განათლებული ადამიანისაგან... ეს უძლიერებს  
მას განათლების მიღების წყურვილს...

მაგრამ დევნაში, ციხესა და გადასახლებაში დაცულილ  
ვლასას დასასვენებელ პანიონში აგზავნიან. აქ ის უახ-  
ლოვდება მასპინძელსა და სტუმრებს. აქაური კარგი  
მოვლა, თავისუფალი და ლალი ცხოვრება მას წვენი  
ხალხისთვის ენატრება... იგი აქედან შეეიცარის სხვა  
კუთხეებში მოგზაურობს და შემთხვევით წააშედება  
ყმაწვილეულების მეგობარს, რომელიც დაქორწინებით  
გაბარონებული, გამდიდრებულა, მაგრამ ფულსა და სიმ-  
დიდრეს იგი მოუწყვეტია ნამდვილი წარმტაცი კანკ-  
რებიდან და ახლა ვლასას ბედი ეწარდება.

— შენ ნიჭს ეკუთვნის ყველაფერი, შენ უნდა ისწავ-  
ლო, შენ ბევრ სხვას აჯობებ, ქვეყანას გამოადგები ეუბ-  
ნება იგი ვლასას და სთავაზობს სასწავლებელში ძაწყო-  
ბას, ყველა ხარჯების პასუხისმგებლობას... ეს აღაფრთო-  
ვანებს ვლასას. ძველი მეგობარი მას ახალ ტანსაცმელ-  
ში ჩასვამს, წითელ ჩემოდანს უყიდის და ფულსაც ჩაუ-



დებს ჯიბეში, რომ მალე სასწავლებელში მოსაწუობად მას დაუკავშირდეს.

ელასა სანამ თავის პანსიონში, ბასტიანისას დაბრუნდებოდეს, მონტორში და ლოზანაში გაივლის, მაგრამ ამას იქით თვითონ ვლასას მივცეთ სიტყვა..

\*\*

უენევიდან მონტროში გავემგზავრე და შილიონის შესანიშანები ციხე-სიმაგრე დავათვალიერე. აქ მყინვარის ქვეშ, ბროლივით გამჭვრივალე მდინარე რონა გამოიდის, რომელიც ვიწრო ხეობაში მიჰქერის და ლემანის ტბას უერთდება. იგი ტბას მიარღვევს ბოლომდე და უენევის იქით მღვრია მდინ. არვას იერთებს, მის ფერს ღებულობს და, თითქოს ამით დამწუხხებული, თავქვე მძლავრად მიექანება.

აქედან დაბა კლორანში ვესტუმრე მოხუც რევოლუციონერს აპტეკმანოვს, რომელიც თავის მეუღლით ტკბილად შემხვდნენ, იმ ღამეს მომასვენეს, დიალი სამოციანი წლების მოძრაობა გაიხსენეს... მთელ ღამეს, შესანიშნავი პიროვნებები, თავაგანწირულ მებრძოლთა აჩრდილები ჩემ წინ ისახებოდენ, მათი კეთილშობილური მოქმედება საბრძოლველად მიწევდა, დაწყებული ნაძოლის გაგრძელებას მაკისრებდა...

აპტეკმანოვი იცნობდა ქართველ რევოლუციონერებს და მათი გამხედვაობით, ორგანიზაციული ნიჭით და პირადი ლირსებებით აღფრთოვანებული იყო. იმათვან, შას ახსოედა: ჩიკოიძე, უდანოვიჩი, ციციანოვი, ჯაბალარი. მეკითხებოდა ახალგაზრდა რევოლუციონერებზე და აინტერესებდა მათი პირადი ლირსებები. თუ რევოლუციონერი მაღალი ზნეობით არ არის შემკული, მისი მუშაობა პოლიტიკურ მოძრაობას ზიანს მოუტანს, ამბობდა იგი. როცა ეგნატე ნინოშვილის, სილიბისტრო ჯაბლაძის და ნოე უორდანის პიროვნულ ცხოვრებას ვუხასიათებდი და მათ ლირსებას ვაცნობდი, მას თვალები უბრწყინავდა, მათში ლირსეულ მემკვიდრეებს ხედავდა. მეორე დღეს იქვე პროფესორ პეტრე მასლოვს ვესტუმრე და მის მშვენიერ ოჯახში ორი დღე გავატარე. ტბა-ე

ში ეიბანავე და იმ დიდი ხის ქვეშ დავისვენე, სადაც რუსსო აზროვნობდა, კაცობრიობას დიად შემოქმედებას უმშადებდა... ამ დროს მასლოვი ცნობილ რუბაუნის ბინის ქვედა სართულში ცხოვრობდა, მისი შესანიშნავი წიგნთხაცავით სარგებლობდა.

აქედან ლოზანაში ჩემს საყვარელ და ჩემში სულ სხვა წარილის გამღვიძებელ მუსიკისს სკრიაბინს ვესტუმრე. მისი და მისი მეულლის უბრალოებით, მათი ადამიანური შეხვედრით და მათ მიერ, სულისა და გულის დასატყობათ შესრულებული კლასიკური ჰანგებით, სულ სხვა სფეროში აღმოვჩნდი... კლავიშებზე მათი თითების თამაშით მართლაც რომ ზალა ციური ხმებით იცხებოდა, სულს მიტყობდა, ჯოჯოხეთად ქცეულ წუთისოფულში სიცოცხლესა და ადამიანობას მაყვარებდა...

მცორე დღეს ჩემი კეთილისმყოფელი ქ-ნი ტილლო თავისი შეილებით ეინაზულე და გავემგზავრე ჩემს სოფელში ლა მირუარ-ლა კრუაში ბასტიანისას. მართლაც, რომ სარკესავის არის ახატული ეს სოფელი ლემანის ტბასთან ფერდობზე. ფიჭვნარ-ნაძვნარის ტყეში, თვალწარმტაც მიღამოს გზა არშიასავით მისდევს და მის ფერდობში კოტრად გაშენებულ სახლკარს გავცემრი, შორს მაღალ მთებს მივჩერებივარ და დიადი სანახაობით ვსტებები. შეუძლებელია აქ, ამ კორდზე ადამინმა არ ჩამოვდე, ბუნების საიდუმლოებას გაყუჩებული არ მიაურრო, მის გამოცნობაზე არ ითიქრო, მის გამჩენს მაღლი არ შესწირო და მის საღიღებლად ლოცვა არ დაიწყო..

**ვოლნებობა:** მართალია დედამ სიღარიბის გამო ვერ შაშაულა, მარა გადმომცა ჯანმრთელობა და კეთილა გული. ჯოჯოხეთურმა ცხოვრებამ ეგება დამაზიანა, მარა ვერ დამასახიჩრა... ხშირად ტალახში ჩავარდი, მარა შიგ ღორივით არ ჩავწოლივარ. ბევრი უმსგავსო ადამიანი შემხვდა, მარა ბევრიც ვიპოვე პატიოსანი, რომელთა სულს ჭუჭყი ვერ მიჰყარებია და ვითარცა აღმასი ისე ბრწყინავენ...

მაშ, ვასწი წინ მეღვრად ვლისა მგელაძევ! ვინ იცის ევება მართლა ვისწავლო და ცოდნით აღჭურვილი კავ-



## რების უსამართლობას უფრო მედგრად და ნაყოფიერად შევეძროლო?!

ჰაი, ჰაი, რომ შევეძროლები, წამოვიძახე და წამოვდექი. ჩემი ხმა მაღლა ამწვანებულ ფერდოებს ყიჯინით მოედო, მოპირდაპირე გორებმა მისი გამოძახილი გადმომცა... და, ბასტიანის სახლისკენ მიმავალ დაკლაკნილ გზას ამაყად შევყევი...

მუსიონ ბასტიანის ოჯახი და პანსიონერები მონატრიბულ რჯახის წევრივით შემომეგბენ. ენა არ ვიცოდი, მარა სიხარულით, ხელის ქნევით, მუნჯური ახსნით ყველაფერი გავაგებინე. ჩემი კარგად ყოფნა ხელის ხელებზე მოჭერით და ალფროთვანებით ვაგრძნობინე.

მეორე დღეს მზის ამოსვლას გარეთ შევეგებკ, მის სხივებში გავეხვიე, წყალვარდნილში ვიბანავე და ბავშვივით გამხიარებული სახლში დავბრუნდი. მეგობრის მიერ ნაჩუქარი ახალი ტანისამოსით შევიმოსე, სასადილო ზალაში, თაიგულით შემქობილ მაგიდასთან ვისაუზემე და გარეთ ჩემს საყვარელ ბუნებას მივაშურე. გზაში ფოსტალიონი შემხედა და წერილი მომაწოდა. რაკი წერილის წერა და კითხვა არ მიყვარს, იგი გაუხსნელად ჯიბეში ჩავიდევი და გულმოდგინე მლოცველივით ბუნების სილამაზის დათვალიერებას შევუდექი. მხოლოდ სადილის შემდეგ გავჩხენი წერილი, რომელზედაც თბილისის ბეჭედი ერტყა... გაუხსენი. ოთხვერდიანი თაბაზი წერილი ანბნებით იყო გაჭედილი. ჩეელებრივი სალამისა და მოკითხვის მერე სპარსეთის შესახებ ქარაგმულად გადმოცემული ამბავი იყო. აქეე იყვნენ თავრიზისკენ გამგზავრებული, ფსევდონიმებით დასახელებული ჩემი ნაცნობები, რომლებიც წასვლის წინ ნატრულობდენ: „ნეტავი ვლასას თავი აქ მოვვცა ახლაო.“

ბიჭოს! წამოვიძახე და წამოვდექი. ტყეში წაკელი, ფიჭვის ძირზე ჩამოვჯექი და წერილი ყურადღებით წავიყითხე; გაბნეული სიტყვები მძიებათ ავაბი, მიკიბული აზრები გავარკვიე და წერილის შინაარსი ნათელი გავზადე.



ბიჭოს! მე აქ სწავლისა და ცოდნის მისაღებად უკუმარესობა და მიმდინარეობის განვითარება მესწავლის და მიმდინარეობის სამობლოს და ხალხს გამოვლენილი განასახიერების მიერ განასახიერების ხალხი თავისუფლების მოსაპოებლად სისხლს ლერის, მის მისაცელებლად ჩემი ამხანაგები გარბიან — და მათ შორის ჩემს ყოფნას ნატრულობენ. მნატრულობენ იმიტომ, რომ ბომბების გაკეთება ვიცი და ზემოქმედება და ღონე ეს ჯოჯონეთის მაშალები მტარვალ სატრაპებს თავზე გადავაყარო — ამით ამხანაგებიც დასახელო და დამონავებული ქვეყნის განთავისუფლებაშიც მონაწილეობა მივიღო.

წერილი მრავალხელ გადავიკითხე. წერილზე ხელს „კარპეტას“ ფსევდონიმით ჩემი აღზრდილი ახალგაზრდა ილარიონ რუსეიშვილი აწერდა. წერილს ვაკოცე, ჯიბეში ჩავიდევი, ზე შამოვიქერი. თქვენი ჭირიმე ბიჭებო! თქვენთან გავჩდები, მძლავრად შევძახე, ხელები გავშალე, სიამის ნექტარი მოელ ტანში გამიარა, ერთი წამით შეყვარებულიერი რალაცა თვალს გადამეფარა. მალე გონის მოვედი და მტკიცე ნაბიჯით სახლში დავბრუნდი. საჩქაროთ ჩემი საცელები, მეგობრის მიერ ნაყიდ წითელ ჩემოდანში ჩავალაგე, მეგობრის მოცემული ფულით პანსიონი გავისტუმრე, ჩემი მოულოდნელი წასვლით დალონებული ბასტიანი და მისი პანსიონერები დავტოვე და საღამოს ფოსტის ეტლით ლოზანაში ჩავედი.

კეთილ ტილლოს ოჯახობას, მოსწავლე ახალგაზრდობას გამოვეთხოვე. ჩემს საყვარელ მუსიკოსს სკრიაბინს, ძველ რევოლუციონერ პეტროვს გამოვემშვიდობე და საღამოს მატარებელით უენევაში მიედი. ეტლით პირდაპირ გიორგი ვალენტინეს-ძე პლეხანოვს სახლში მივადექი. სანამ მისი მეულლე როზალია მარკოვნა და ქალიშვილები ლოგინს გამიშლიდენ, პლეხანოვს თავის სამუშაო კაბინეთში ავყევე და ჩემი ხვაშიადი განვეუტადე. რომ ჩემი ამხანაგები სპარსეთის რევოლუციაში მეტატიუებიან. მებრძოლნი თავრიზში მიწვევენ. თქვენ რას იტყვით?

პლეხანოვი ჩატიქტდა, დიდრონი გრუზა წარმები შეკრა, ცეცხლის მფრქვევი თვალები შემომანათა, პირდაპირ შემომხედა და მითხრა: — თქვენ რა დაგაწყვიტეთ?

— წასელა, გოორგი ვალეტინეს-ძევ! წასელა და იმ ჰესოტ შაიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელმაც პარლამენტი დაანგრია, დეპუტატები აწამა, ახლად გამოლვიდებულ ჲალხს ყელში დანა გაუყარა. — გარკვევით მიეაძახე.

— ვოტ ეტო პონიმაიუ, ეტო რევოლუციონოე დელო! ვი ისტინი რევოლუციონერ! — მიპასუხა მან. მკლავები გაშალა, შეუკარებულჭავით მკერდზე მიმიკრა, გულში ჩამიხუტა, სახე დამიკოცა. — ნადო ოტომისტიტ ეტომუ პროკლიატომუ შახუ კოტორი ტაკ უესტოკო პერებილ ნაროლნის პრედსტავიტელები, ი კაკ ნიბუდ ემუ რდნუ ბომბუ ბრძოსიტ, ნო, ნადო სტარატსია პობედიტელემ ვერნუტსია იზ სლავნოგო ბოია!

ორივე ხელი მძლავრად ჩამომართვა და ხმა შალლა იმეორებდა: — ვოტ ეტო ია პონიმაიუ! ეტო რევოლუციონერ!

— ა ჩტო მი ზდეს სიდიმ ი ბუმავუ მარაემ, ეტო ნე დელო, — ა ვოტ, ეტო დელო!

და ჩეენს ხმაურობაზე შემოსულ როზალია მარკოვნას ხელი სტაცა, ჩემთან დედასავით მოიყვანა და ალცროვანებით შესძახა: „აი რევოლუციონერი, აი რაინდი, კეთილშობილი ქართველი თავრიზში ამხანავებთან მი-იღლტვის, რომ უსაშინელესს დებოტ შახს შეებრძოლოს!“ აი ეს მესმის და ჩეენ სამივე ერთმანეთს ვკოლნიდით, პლეხანოვის თვალებში სიხარულისა და მადლობის კრემლი ბრწყინვადა, მისი რევოლუციონური გული მაგრად სცემდა, ღელავდა. მისი მეგობარი და მეულლე ექიმი ქალი ამშვიდებდა, დალავებით მგზავრობის მოწყობაზე გვესაუბრებოდა.

როცა უკვე ლოგინში ვიწევი პლეხანოვი შემოვიდა, ბავშვივით მომეფერა, ძარღვიანი მკლავები გამიშირჯა და ლიმილით შელანში ამოსერილი თავისი თითები მაჩვენა:

„შე რა რევოლუციონერი ვარ, მელანს და ქალალდს ვერ-ბევიო, რევოლუციონერი თქვენ ხართ, საბრძოლველად საზღაპრო ქვეყანაში მიღიხართ!“

— თქვენ ჩემისთანა მიღიონებს გონიერს უხსნით, მტერ-მოყვარის გარჩევას ასწავლით, თქვენ ხართ ჩენი გზის ნამდვილი მანათობელი ვარსკლავი, — ვუპასუხებ-დი მას ჩემი დამტვრეული რუსულით.

პლეხანოვი ბრძოლაში მიმავალს, მშობელ მამასავით შეალერსებოდა. თავს გაუფრთხილდიო მარივებდა, ჩემს გამარჯვებით დაბრუნებას ნატრობდა, მარტოთ ლასა-ტოვებლად არ ვემეტებოდი; ცოლი კი მას დასაძინებლად იწვევდა და მეც ოცნებით დამთვრალი მალე ძილს დავ-ნებდი.

მეორე დღეს ვინახულე ჩემი მდიდარი მეგობარი და სპარსეთში გასამგზავრებლად ფული ესთხოვე.

„შენ მართლა გიყი და გადარეული ყოფილხარ, — მი-პასუხა მან. ფულს გპირდებოდი იმისათვის რომ გეს-წავლა და კაცი გამოსულიყავი და არა იმისათვის. რომ წახვიდე და გაშმაგებულ შახს თავი შეაკლა“-ო. უარით იამომისტუმრა. მეტი გზა არ მქონდა, ისევ ქართველი ლა-რიბი ემიგრაციისათვის უნდა მიმემართა. ვარლამ შავ-დიამ წითელი ჯერის თანხიდან ასი მანეთი გაღმომცა და გამარჯვებით დაბრუნება მისურვა. ემიგრაციაში კი ბევრი დალონდა, ბევრიც ჩემს გატაცებას შექარიდა და ამბობდა: — „პლენ პალეზე“ მშიერ ღოღვას თავრი-ზის ბრძოლაში სახელოვანი სიკედილი სჯობიაო...“

სალამოს ისევ პლეხანოვის ოჯახში დაებრუნდი და უმცროსი ქალიშვილის საქმართ, ახალგაზრდა ფრანგი გავიცანი. მოფერებით ყური ავუწიე და ვუთხარი: ლა-მაზი და საუკეთესო ოჯახის ასული მიგჟავს ცოლად თუ მას კარგად არ მოუვლი, იცოდე, როცა სპარსეთში შახს დავამარცხებ, იქიდან ერთ ბომბს შენთვისაც ჩამოეიტან მეთქი. პლეხანოვმა ეს მას გადაუთარებმნა და ფრანგმა ბევრი იცინა და გაუკვირდა — შახის ჩამოსაგდებად აქე-დან მიღისო? გაზეთებში ყველა დღე თავრიზის ბრძო-



ლის ამბები იბეჭდებოდა. ყოველ დღეს, ყოველ დღეს მნიშვნელობა ჰქონდა ალყა შემოკრულ პატარიში სათვის და მეც ვჩქარობდი წასკლას. . .

მეორე დილას გამოვემშვიდობე ჩემს საყვარელ პიროვნებას, გამტაცებელ იღეალების მაჩვენელებელ გიორგი პლეხანოვს, მის მეულლეს როზალია მარკოვნას და მათ ქალიშვილებს. გამოვემშვიდობე ჩემს ქართველ კემიგრანტებსაც, საკუთარ სამშობლოსავით მშვენიერ ზეეიცარიის საუცხოვო ქალაქს უენევას და ციურიხში პალე ბორისის ძე აქსელროდთან გავემგზავრე. აქ, მარტინოვის ბინაზე დამხვდა, ციმბირიდან გამოქცეული აბრამ გორგარენის მეულლე, სილია, რომლის მებრძოლი ქარიკატურლაში იყო, თეითონ კი თავის პატარა გოგონათი აქ ცხოვრობდა და საეჭიმო კურსებს ათავებდა.

სამწუხაროთ აქსელროდი ვერ ვნახე და ისევ მარტინოვმა მიშოვა ერთი ოდესელი ებრაელის პასპორტი და ამხანაგებშიც სამზავრო ფული შემიგროვა. იმ ლამეს ყველა ამხანაგი მეპატივებოდა, განსაკუთრებით სილია, რომელსაც ციმბირში გადასახლებიდან ვიცნობდი, მაგრამ მე შეყვარებულსავით თავრიზისაკენ მივისწრაფოდი საზღვართან ჩემი ებრაელობა საეჭვო გახდა და თან პასპორტი, ფულის გადაუხდელობის გამო, ვადა გათავებული ალმოჩნდა, მაგრამ ეანდარმებს რიხიანად დაფუსახელე ოდესაში „ჩემი აფთიაქის საწყობის“. მისამართი და დავპირდი ფულს იქ გადავიხდი მეთქი. ჯანდარმებმაც ეს პასპორტზე წამიწერეს და თავი მიმანებეს.

თბილისში შეუმწინევლად ჩავედი. რევუტოვის ქუჩაზე, ანტონ გელაძის სახლში დაებინავდი, სადაც დამსვდა ჩემი „კარაპეტა“ — იღარიონ რესერვშვილი და რომლის შემწეობით ვინახულე ზოგი ხელმძღვანელი პარტიული ამხანაგი. მივიღე შესალერი დარიგება, სახელიძლვაზელო გეგმა და წარმომადგენელობის მოწმობა. გავეცანი თბილისში მომქმედ სპარსეთის გამანთავისუფლებელი ცენტრალური კომიტეტის წევრს, ნოხით მოვაჭრე სადაც შეითან ბაზარში. მივიღე მისგან ჯულფის საზღვარზე



მომქმედ კომიტეტის კავშირი, საჭირო ფული და ჯული სამართლის ფაში მიმყოლ შიკრიკად ერთი სპარსელი. „ტიტულისკი ლისტოკის“ რედაქტორმა პეტრე გელეიშვილის მეოხებით (საღაც იგი მაშინ მსახურობდა) დამნიშნა თავის კორესპონდენტად და საგანგებო მიელინებულად თაერიზში. ვიშვეთ ერთი ვლადიკავკაველის პასპორტი და მისი სახელით გაზრდის თანამშრომლად გავემგზავრე ნავთლულის საღვარიდან სპარსეთის საზღვარზე მდინარე არაქსის პირად მდებარე ჯულფაში.

## ჯ უ ლ ფ ა

თბილისიდან საღამოს გასული, მეორე ლამეს არაქს გამოლმა მდებარე პატარა სავაჭრო და საბაჟო ქალაქ ჯულფაში ჩავედით. აქ ჩემმა შიკრიკმა შეუმჩნევლად მიმიყვანა და მომათავსა ერთ ყავა-სასადილოში, რისტის ეზოშიც. მგზავრებისათვის ლამის გასათევი განცალკევბული ოთახები ჰქონდათ. მეორე დილითვე შიკრიკმა გამაცნო ერთი ვაჭრულად გამოწყობილი სპარსელი, რომელმაც კავშირის ნიშანი იცნო და გაიგო ეინც კიყავი და საიდანაც მოვდიოდი, დიდი სიხარულით და მორიდებით მიმიღო, ორ მის ამხანაგს გამაცნო და ამნაირად, ჯულფაში მომქმედ სპარსეთის განმანთავისუფლებელ კომიტეტს შევუერთდი, რომელსაც მდინარე არაქს გაღმა მდებარე სპარსეთის ჯულფაში მოვაჭრე-მოსამახურებთან კავშირი ჰქონდათ. როგორც ჯულფის საღამოენო მოსამსახურებს, ისე მოვაჭრეებს და გაღმა-გამოლმა საქმის მქონე პირებს ბორანის საშუალებით ხშირი მიმოსელა ჰქონდათ და თავრიზის ამბებს თვალყურს ადევნებდენ, აჯანყებულების და შახის ჯარის მოძრაობას ეცნობოდენ, სპარსეთის ხალხის სულიერ მდგომარეობას გებულობდენ და ყოველგვარ ცნობებს თბილისსა და კავკასიის სხვა ქალაქებში გაბნეულ მომქმედ სპარსეთის



განმათავისუფლებელ კომიტეტის წევრებს ატყობინებდენ. ამათ იცადნენ რუსული ენა და ჩვენც ამ ქნით ესარგებლობდით

## სპარსეთის რევოლუცია

**ზორ დაბაად მაშროთა, იაშასუნ თაშა ირან!**

„გაუმარჯვოს თაეისუფლებას, გაუმარჯვოს განატლებულ ირანს!“ აი, ლომუსგი, რომლის ქვემაც გაიღვიძა და იწყო ბრძოლა სპარსეთის მრავალტანჯულმა ზალხმა.

როდესაც მამალა-ალი შახმა თეირანში პოლკოვნიკ ლიახვეის გაპირებით და პეტერბურგის პოლიტიკის კარნახით პარლამენტი დაანგრია, ხალხის წარმომადგენლები დახოცა და მოწინავე პირები აწამა, გადარჩენილი დეპუტატები და საზოგადო მოღვაწეები კავკასიაში გამოიქცევ და იქ სპარსეთის საკონსულოებს შეაფარეს თავი. აღმოსავლეთი სპარსეთი შახმა ცეცხლითა და მაცვილით დამორჩილა, იქ ლიახვეის დიქტატურა გამოაცადა, მარა შორს აზერბაიჯანში მდებარე ქალაქი თავურიზი აჯანყდა და სათარ-ხან—ბაგირ-ხანის, მებალე ქარბუსეინის ვაკეაცობით და ადგილობრივ ენჯუმენის (ადგილობრივი მთავრობა) ხელმძღვანელობით მთელი სამხედრო საწყობები ხელში ჩაიგდეს, სამხედრო და მოვაჭრე ხალხი მიიმხრეს და თავრიზში თავისუფლების დროშა ააფრიალეს, დესპოტ შახის ჩამოსაგდებად დაირაზმეს.

კავკასიაში საიდუმლოდ შეიკრიბენ სპარსეთის პოლიტიკური მოღვაწენი, გადარჩენილი რევოლუციონერები და სპარსეთის გამათავისუფლებელი, კონსტიტუციის აღმდეგნი და თავრიზის აჯანყებულების დატემარე კომიტეტი დააარსეს. იარალის, რაზმების, ცულის და ხელმძღვანელ პირების თავრიზში საიდუმლოდ შეგზავნა იწყეს ჯულფას საზღვრებიდან და ოსმალეთიდან.

თავრიზის აჯანყებამ საგირხან ბაგირ-ხანს ჰლაპრული სახელი გაუთქვა, რამაც კავკასიის აბლად დამარცხებული რევოლუციონერების თვალი მიიპყრო, მათი გული თავრიზის ბრძოლებისკენ მიიზიდა.

ამავე დროს სპარსეთის გამანთავისუფლებელშა კომიტეტმა კავკასიაში ძლიერ პოლიტიკურ პარტიას, პარტ-ალ-დემოკრატიას დახმარებისათვის მიმართა, რასაც პარტიის ხელმძღვანელები თანაგრძნობით შეხვდენ. პარტიამ თავის ძევლი ჩაზმის ნაწილი, სამედიო პირების ხელმძღვანელობით დარაშმა, იარაღითა და ბომბებით აღჭურვა და აჯანყებულ თავრიზს ჯგუფ-ჯგუფად მიაშველა.

პირველ ჯგუფს გაჰყვენ ქარხნის ორი მუშა: ერთი ტერორისტი, მამაცი კახელი „გურჯი“ - - გიგო მათიაშვილი, რომელსაც ჩემვან ჰქონდა ნასწავლი ბომბებისა და ჯოჯოხეთის მანქანების გაკეთება. მეორ კი — „ჩიტი“, რომელიც თაერიზში სახელოვნად დაიღუპა. ჯგუფის პოლიტიკური ხელმძღვანელი იყო თათრულისა, სომხურის, რუსულის და ფრანგული ენის კარგად მცოდნე სედრაკ ბარეონიანცი.

ეს ჯგუფი, მოხელეებისა და ვაჭრების დახმარებით, არაქსით ვადავიდენ სპარსეთის ჯულფაში, აქედან საიმედო აზერბაიჯანელი მეგზაურის შემწეობით გაუიდენ სოფლებსა და მთებში, და ამ გზით შეუმჩნევლად შეიპარენ თაერიზში, გააძლიერეს აჯანყებული რაზმი და მალე ბომბების ქუხილით ჩეაქციონრებს თავზარი დასცეს.

მეორე რაზმი გავიდა ბაქოდან ევლაპით, ვადაცურა მდინარე არაქსი, შეუერთდა კავკასიის აზერბაიჯანში სპარსეთის გამათავისუფლებელ კომიტეტის მიერ შეკრებილ შეიარაღებულ ძალებს და მწყობრად დაწყობილი „ვინტოვკებით“. ბერდანის თოფებით, მაუზერებით და ბომბებით შეიარაღებულნი და სამხედრო პირის ვლადიმერ დუმბაძის და ვალიკო ბაქრაძის („უელეზა“) ხელმძღვანელობით ვაემართენ თაერიზისაკენ. გზაზე ოეაქციონერი ხანების სოფლები გაარღვევს, ევლაპიდან თავრიზში მდევრები დაბრკოლებანი ვადალახეს და თევნახევარზე მეტი ფეხით სიარულის შემდევ თაერიზში შეიჭრენ და მათი ვაჟაულობით მტერი შემუსრეს, საზღაპრო სახელი გაითქვეს!!!



მესამე ჯგუფი, ბომბებითა და მაუზერებით კულტურული შეიარაღებულები, აღმოსავლეთ სპარსეთში დაქორდან, ლენქორან-ასტარით ენზელ-რეშტში შეიძარენ და იქ ცნობილ რევოლუციონერ მილისას და გემებ-მუზამ-სულთან-ხანებისას დაბინავდენ შეთქმულობის მასაწ-წყობად. სპარსეთის რევოლუციონურ კომიტეტის ხელმ-ილვანებლობით დაიმალენ სილავან ივანიძე და თუში „სერგო გურჯი“.

შახმა და პოლკ. ლიახოვმა თეირანიდან საიმედო ჯა-რები თავრიზის დასამორჩილებლად გაგზავნა, სამრუდრო ინისტრი სპეცდარის მეთაურობით, მარა იგი დამარცხე-ბული უკან დაბრუნდა.

პოლკოვნიკ ლიახოვმა თავრიზის აღება პრინც ეინ-დოველს მიანდო, რუსის ოფიცირობა და შენეიდერის ფირმის ზარბაზნები გაატანა. რამდენიმე თვის ფეხით სიარულის შემდეგ, ჯარმა აჯანყებულებს აღმოსავ-ლეთით ალყა შემოარტყა, ცეცხლი გაუჩინა და მცოვ-რებლებში შიში დაბადა...

სპარსული ადერბაიჯანის პროვინციების ხანებმა მთის ყაჩაღები შეკრიბეს და მარანდის გუბერნატორ სუჯან ნაზიმისა და მარანდის ხანის სამად-ხანის ხელმ-ილვანელობით თავრიზის დასავლეთით, ჩაის ხიდთან გასა-ცარცუავად შიადგნენ. ამნაირად 1908 წლის იენისში აჯანყებული თავრიზი ოთხი თვის ბრძოლის შემდეგ კვლავ ქალაქის კედლებში გამოამწყვდიეს. უსურსა-თოდ შეწუხებულებს, ტყვია-წამალით შესუსტებულებს, დაჭრილებისათვის უექიმოდ და უწამლოდ დარჩენი-ლებს იარაღის დაყრა მოსთხოვეს. შიგ ქალაქში აჯანყე-ბულების წინააღმდეგ ხალხი აამხელრეს, ვძირ სათარ-ხანზე თავდასხმა მოაწყვეს. რუსისა და ეკროპულ კონ-სულების აგენტთა წყალობით, შახის სასარგებლო ავი-ტაცია გააჩაღეს, დაშინებული ხალხის მოსაყიდვებულად ფული დაარიგეს.

აი, ასეთ დროს მივალწიე მე ჯულფამდე და იქ გა-მანთავისუფლებელ კომიტეტის სამ ახალგაზრდა, გამო-



უცდელ, მარა თავისუფლებისთვის ბრძოლის სიყვარულით გატაცებულ წევრებთან თავრიზის გამოხსნაზე ემსჯელობდი.

ერთ სალამოს შეგვატყობინეს, რომ თბილისიდან ჯულფაში მოსული მატარებელით მოვიდენ ამერიკელი თუ ინგლისელი მისიონერები — რამოდენიმე ქალი და კაცი, რომლებიც ურმიის ამერიკულ საავადმყოფო-სკოლებში მსახურობდნენ და ჯულფის გზატკეცილით თავრიზში მიემგზავრებოდენ. ამათ შახის მოხელეები და მცველები მიჰყვებოდენ. კომიტეტის წევრებმა ითათირეს ადგილობრივ გავლენიან პირებთან და შემატყობინეს — თუ ამაღამ, შეუმჩნეველად მდინარე არაქს გადავიდოდი, ხვალ ღილით ბორანით გადასული მისიონერები საქმეს გამიკეთებდენ,, როგორც ამაღის ნაცნობს, ეტლით ყველა საშიშ გზას გამატარებდენ და თავრიზში შემიყვანდენ. ცხადია, დავთანხმდი. შუალამეზე მომგვარეს ერთი გამხდარი, ძლიერ მაღალი აზერბაიჯანელი კონტრაბანდისტი აღი, რომელმაც თავისი გაშეშესული გრძელი თითებით ხელი ჩამომართეა, ამათვალ-ჩამათვალიერა და თარჯიმანის საშუალებით შემეკითხა ცურვა თუ ვიცოდი. ცუთხარი, რომ მე კარგი მცურავი ვიყავი და ცურვაში ჯილდოც მექონდა მიღებული, მარა მან მაინც გვიპასუბა: რომ აქ არაქსი მაგრად მიექანება, ცივია, და, რომ სადამოენო ბორანით შეიძლებოდეს გაყვანა უცკოტესია. ცოტა შემდეგ თავი გააქნია და დაუშატა: მაგას ნამდვილი გურჯის თვალტანადობა აქვს და მეცვალ-ყურეებს შეუმჩნეველად არ დაუჩჩებაო და თუ გაბედავს ისევ არაქსის გადაცურვა სჯობიაო. სხვების ყოუმანს აღარ მოვცუადე. წამოედექი, კონტრაბანდისტს ხელი მოვალე და თათრულად ვუთხარი: „იაბში ყარდაშ აღი, თეზულ გელდ!“ და წასასვლელად გავიწვიე. აღის ჩემი გამბედაობა მოეწონა. შევთანხმდით, იგი რუსის საყარაულოს დასათვალიერებლად წავიდა. ერთ საათში დავბრუნდები, მზად დამხედიო, დამიბარა. კომიტეტმა მოილაპარაკა: ხვალ ერთი მისი წევრი სადამოენო ბორანით



სპარსულ ჯულფაში გადმოვიდოდა, ჩემი გადამუქანდა და სახელებულ ბინაზე მნახავდა, მისი ის წევრებთან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის და როგორც გაზრდის კურსს სპონსორის მიერთა და მათთან ერთად თავრიზის გზას გაუცდგებოდი.

მიუხედავად იმისა, რომ ჯულფიდან თავრიზაშიც მიმდევალი სამხედრო გზა რეაქციონერებით იყო გაკრული და თავრიზიც ალყა შემორტყმული იყო, საიმედო თოვლელების წყალობით, კომიტეტს მაინც ჰქონდა თავრიზთან საიდუმლო კავშირი და იქაურ ადგილობრივ მუშაობაში კარგად გამარტვის. მეც შვეიცარიელი მდიდარი მეგობრის ნაყიდი ტილოს წითელი ჩემოდანი გაუცენი, ჩაეაღავ შიგ ევროპიდან წამოლებული შალის მოყვედ შეკერილი სამგზავრო ტანისამოსი, კეპკა ქუდი, ყელიანი შალის ჩულქები, მაგარი ყვითელი ფეხსაცმელები, თეთრი საყელოები და სამაჯურები, საწვიმარი, კბილების საწმენდი ჩოთქი და მარილი, საპონი, ორი წყვილი საცვალი, პასპორტი, კომიტეტის მიერ გადმოცემული სამგზავრო ფული და უბრალო სპარსულ ტანისამოსში გამოწყობილი ალის უცდიდო.

აღნი თავის ღროზე მოვიდა. ჩუსის საღარაჯვებისათვის საიმედო პირებიც მიეჩინა. მზად ვიყავით, კომიტეტის წევრები გადავყოცნ. ნაშუალმევის 2 სათზე, ღრუბლიან ღამეში, სინათლე ჩამქრალ ოთახიდან ალი და მე აჩრდილებივით გამოვედით, ნანგრევებსა და ქობმახებში ფეხაკრეფით ვიარეთ, არაქსის პირს სიფრთხილით ჩავყევით. ალი წელში მოხრილი მიდიოდა, არემარეს აყურადებდა, სირაჭლემასავით ფეხებს მიაბიჯებდა და ჩემი ჩემოდანი მიჰქონდა. არაქსი კი, ღამის სიჩრუმეში მიჰქონდა, მიშენდა, გაქანებული კიდე-ნაპირებს ქვეთქებოდა, აზვირთებული, მრისხანედ კასპიის ზღვისკენ მიიღწეოდა. რომ უხმაუროდ გვევლო, ფეხებზე გავიხადეთ, ზოგჯერ შიშველ ფეხებს სილა-ლამში ამოსულ წელებში მივაძოტებდით. ხან ეკალი შეგვესობოდა ფეხებში, ხანაც ბუძგატა ბალახი გვეხვეოდა წელებზე და ასე, საცოდავად მივიკლანკებოდით.



ერთ ალაგას ალი მგელივით დაცუცქედა, ლამეს კიანთებული თვალები მიმოაელო, ჩაჯდა, მიწას უურდებითობას დაადო, დიღხანს სყურა და მიწაზე დაჯდომა შანიშნა, თვითონ ტანზე სწრაფად გაიხადა და მეც წამესმარა. მალე ორი ტიტველი, ლამის წყვდიადში ვიდეპით, მძლავრად მიმქროლავი არაქსი გაკვირვებული გვიც-ქერდა და თაეცი მძლელვარე ზეირთებით გვემუქრებოდა.

ალიმ წამოსასხამის ქვეშიდან შეხვეული მოპრდილი ტიკი გამოილო, მძლავრად ჩაბერა, წინდაწინ საგანგე-ბოდ გაჭრილ ყელში ჩემი ჩემოდანი და ორთავეს ტანი-სამისი ჩადეა, მაგრად თავი მოუკრა, კისერზე გამაიკრა და გაშლილ მდინარეში შემიძლვა.

ლამის გრილი ნიავი სახეზე მეცა, მდინარის ნოტიო ნისლი ტანზე შემომეხვია, არაქსის წყალმა ფეხები გა-მიცივა, კოჭებიდან წყივებზე შემომადგა, წინ, სავალ გზაზე მღვრიე, აქაფებული წყალი მიტბორავდა. ალი, უანჩასავით გამხმარ და მალალ ფეხებს წინ მიადგამდა, ხელით აზეირთებულ და განრისსხებულ მდინარისაკენ მიწვევდა. მალე წყალი მთელ სხეულზე შემეყინა. ალიმ კი, საცურავად მკლავები გაშალა, მის სვეტივით ვიწრო კისერს შხუილით წყალი შემოადგა, შემოეხვია. გამომბუ-ლი ტიკი, მესამე აჩრდილივით წყალზე გაცურდა. მე მოუსევი მხარული, მდინარე ილინცურად გადავუძრი და ბრძოლის სურვილით გატაცებულნი, შეხურებულ მაყ-რებივით, შუა მდინარის ტალღებში შევიჭერით, მის მძლავრად ავორებულ ზეირთებში ხელჩართული ბრძო-ლა გავაჩალეთ...

წყალი მეტად დაქანებული და მძლავრი გამოლვა, ჩენ კარგა შორს წაგვილო, მარა, ჩაკი მდინარის დედა ტანი მშეიდობით გადავცურეთ და ტალღების ცხვირში ცე-მისავან განვთავისუფლდით, მოუჩქარეთ და მალე ფეხე-ბიც დავიდგით, ფეხამდგარი მიეცურ-მივდიოდით. ალი ჩემს ქვემოდ იყო ჩატანილი და თვალს არ მაშორებდა, მარა ახლა უკვე გამარჯვებული ვიყავით, ნაართან ფართოდ გაშლილ წყალში მივაბიჯებდით... სიხარუ-



ლისაგან,, თუ მეტისმეტი ბრძოლა-ლელვისაგან წავდარ-  
ბაცი, თვალს დამიბნელდა და ქვიშა-წყალზე დაეცეცი  
ალიმ ტიკის თავი მოხსნა, წამოსასხმები ამოილო, ერთი  
ძირს დამიგდო, მეორე დამახურა. გამამშრალა, დამზალა,  
გამამხნევა ,შემაქო: — „იახში (ყოჩალ) გურჯი,,—  
იძახდა.

ალიმ სპარსული ჯულფის ნაპირები დაბეჯითებით  
შეათვალიერა და სადამოენო პუნქტისკენ წამისღვა.  
მეც სიარულში შევთბი და სპარსეთის მიწა-წყალზე წელ-  
გამართული მიეყვებოდი. გავიარეთ არაქისის პირად გა-  
ტიტვლებული, გადახრუქული მდებარეობა, დანგრეული  
გომურები, აქა-ის დაბანაკებულ აქლემების, ჯორების და  
კირების ქარავნებს წავაწყდით და უკანა ეზოთი ერთ სა-  
საღილოში შევედით. აქ ბნელ კარებში ვიღაცამ ხალი წა-  
მავლო და უსიტყვოდ ერთ ვიწრო ოთახში შემიყანა,  
ძონძების მავგარ ლოგინში ჩამაწვინა და კარები გამომი-  
ხურა. ისე მციოდა, რომ სუნით შემაწუხებელი ჭუკუია-  
ნი ძონძები მაინც დავიხურე, თავზე წამოსასხამი დავი-  
ღარე, თუმცა ლადო აღნიაშვილის სპარსეთში მოგზაუ-  
რობის აღწერა გამახსენდა, მარა მაინც ტკბილად ჩამე-  
ძინა.

ლილას მოლას ყვირილმა, მისმა გრძელმა ლოცა-მო-  
წოდებამ გამომალებისა და გამომარევია. ჭუკუიანი ლოგი-  
ნის ცუდი სუნისაგან პირი გამწარებული მქონდა ფაჩე-  
ჩილ თმაში განცეცული თავი საეჭვოდ მეფხანებოდა,  
ტანს მაქექიებდა, თავს ციხის კარცერში ნაჯღომიერი  
ვერდნობდი, ამ ბნელ საკნიდან ჰაერზე გასეირნებას ვისწ-  
რაფოდი. ამასობაში კარი გაიღო და შუატანის, შავ წვერ-  
ულეაშიანი, ფერმერთალი კაცი შემოვაღა, ქართველი  
ხარი? მკითხა და ქართულად მომესალმა. ხელ-პირის და-  
საბანად დოქით წყალი მომიტანა. დავიბანე, თეთრი სა-  
ყელოთი და სამაჯურებით შვეიცარულ სამგზავრო ტა-  
ნისამოსში გამოვეწყვე. კეპკა დავიხურე. ფეხები უკლია-  
ნი ჩულქებით და ყეითელი ფეხსაცმელებით დავიშვენე.  
მეღუქნე გაოცებული მათვალიერებდა მართლა რომ ეს



ქართველები (ცრაცი) ტუტულები ხართო! ასეთი თვალი გადასცავს მარტინ სარგებლის მიღებაში რომ მიღიარდა თავს იკლავ გიჟი არა ხარ? აქ გაგაწამებენ, ცოცხლად შეგწვავენ, თვალებს დაგთხრიან, მოგვლავენო. რა! გადაგრია: რის თავისუფლება, რა თავისუფლება! საარსეთი სანამ ამას გაიგებდეს, შენ თავს ნადირი გამოხავსო. აფსუს ბიჭოო! მეტბნებოდა ბოლოს დაბლა ჩამიყვანა და რომით ჩაი დამალევნა. მალე კომიტეტის ჩემი ნაცნობი წევრი შემოვიდა ორი უცნობი თათარით. თათრები ვამაცნო და მითხრა: ამათთან ბაზარში გაიარ-ვამოიარე, „საქმე“ მოწესრიგებულია და მშეიდობით იმგზავრეო.

ჩემი კორესპოდენტობის მოწმობა და პასპორტი ჯიბე-ში ჩავიდევი, ჩემოდანი ეტლში ჩასადებად ვავამზადე, ჩემს მედუქნეს იოსებ მოვსესიანცს დროებით ვაძევეთხოვე, როგორც უცხოელი, უცნობ ჯულფას, პატარია სადამოენო ქალაქს დათვალიერება დავუწეულ და აქედან ჩემს გაღმონაცურავ აზეირთებულ არაქსის ტალღებს ამაყად ვავსცეროდი.

პირველყოფილ ადამიანებში მეგონა თავი, როცა აქა-ური დაბეჩავებული და დაგლახავებული ვაჭარ-მოხელე-ბელოსნები, თავიანთ მიწურ ქოხმახებში დამსხდარნი დავინახე. აქვე ნახევრად ტიტველი, ჩამოკონკილი გლეხები ვირებს მიერეცებოდენ. ღმერთო ჩემო! აქაურ ხანებს ეს ხალხი როგორ გაუტყავებიათ და დაუმონაცებიათ სულიან-ხორციანად?! მაგონდებოდა ისტორიიდან, თუ ამ ხანებმა როგორ დაანგრიეს ჩეენი დიადი საქართველო, მისი მაღალი კულტურა და გულში ვიმეორებდი: ეს მონობის ჯაჭვი უნდა დაიმსხვრეს და დიახაც რომ ღირს ამ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება...

უოტა ხნის შემდეგ დამოქნის ახლოს სასტუმროსთან სუფთად გამოწყობილი თავრიზში მიმავალი მისიონ-რები გამოვიდენ, რომელთა შორის ერთი ინგლისელი თუ ამერიკელი მასწავლებელი ქალი იყო. მათ ცნობის-მოყვარე ხალხი შემოესია. მათ სუფთა ჩაცმულობას მოხელეებიც კი შურით ათვალიერებდენ, მეც იმათად მლე-



ბულობდენ და მორიცებულად მიყურებდენ. ცხადია მეცნი  
მისიონრებთან ახლო ყოფნას ვცდილობდი, მათთვის გვია  
წყობილ ეტლებთან დავდიოდი. აქ ორი მგზავრი გავიცა-  
ნი, რომლებიც მისიონრების მფარველობით უწოდიაში  
მიღიოდენ. ეს თბილისელი აძმორები, იქ მისიონრების  
სკოლაში მასწავლებლად იყვნენ დანიშნული და ცოტა  
ქართულიც ესმოდათ.

ამასობაში ეტლებიც ჩამოაყენეს, ბარგები ჩაალაგეს,  
წინა ეტლში ქალი და სამი მისიონერი ჩასვეს, მეორეში  
მასწავლებლები, მესამეში კი, სხვებთან ერთად მცე მო-  
მათავსეს და ჩემმა მხლებელმა სპარსელმა ჩემი ჩემოდანი  
გადომომცა.. იოსებ მავსესიანცი თავისი დუქნიდან ისევ  
დალონებული მიყურებდა და შეუმჩნევლად მემშვიდე-  
ბებოდა. ჯულფას ერთადერთი ქუჩა მალე გავიარეთ და  
თავრიზის შარა-ზგის დასაწყისთან რუსის მოხელეებმა  
შეგვაჩერეს. თითოულ მგზავრზე, ცხენზე და ეტლზე  
ფული გადაგვახდევინეს. ეს გახლდათ ამ გზაზე მოსია-  
რულე ყველა მგზევრისათვის სავალდებულო ბაერი, გადა-  
სახადი — ამით გზის გამკეთებელი რუსი მოიჯარადერე-  
ბი დახარჯულ თანხას ინაზღაურებდენ და, ვინ იცია რამ-  
დენ ჯერ მეტს იღებდენ. სოფლებიდან შემოსულ მენა-  
ხირებს დაწესებულ ფასს აზდევინებდენ, ხალხს ირმავ  
ტყავს აძრობდენ.

როცა მეორე „ზასტავას“ (საბაერო პუნქტს) გადაესცილ-  
დით, ეტლებს გზის დამცველი სხვა ცხენოსანი რაზში შე-  
მოერტყა და ახალი გადასახადი მოვცოხოვა. ასე გრძელ-  
დება ეს თავრიზის გზის გათავებამდის, რომელიც ასეთ-  
ნაირ საბაერო პუნქტებად არის დაყოფილი. როცა ჩვენი  
ცხენები ისცენებდენ, ჩემი ორი ლერი ფრანგულ-ნებელუ-  
რით და თათრულით ვცდილობდი თანამეგზაურებს მივ-  
სალმებოდი, მეკითხა — მგზავრობით დალლილი ხომ  
არ იყვნენ. ერთხელ, ამ გადამწვარ მინდოორში წყლის ახ-  
ლოს ამოსული მინცვრის ყვავილები დაეინახე, მოვკრიფე,  
მცენარის ლერწით შევკონე და მისიონერების უცხო მან-  
დილოსან მასწავლებელს მივართვი: „სილ ვუ პლე მად-



შეაწელ! ტრე ეოლი ნესპა!“... მანდილოსანმა გამიღიმა, თავაზიანად ჩამომართვა და მითხრა: „მერსი შესიობ მხოლოდ კა, მისმა მუნიან სახელარსაცით ჩამომქენარმა კავალერმა ქეციანი წარბები შეერა, ორაზროვნად შე-მომხედა. ვფიქრობდი როგორმე მათი გული რაჩევო, რომ გავირვების დროს წამადგებოდენ, მარა სამწუხა-როდ, ამის წინააღმდეგი გამოდგა. ახალგაზრდა ორ მას-წავლებელს კი, საკმაოდ დავუახლოვდი და ისანიც ახალგაზრდული სითბოთი მექცეოდნენ.

ადრე გამომგზავრებულნი, თავრიზის შუაგზაშე მდე-ბარე ქალაქ მარანდას მივალწიეთ. ქალაქს თავისი შამა-ცი შეილებით, ძლიერი ხანი სუჯაი ნაზიმი გუბერნატო-რობდა, პატრონ-ბრძანებლობდა. მარანდი მთის ძირას არის გაშენებული და შუაში წყალი ჩამოუდის. ქუჩაში გავლის დროს, შეშინებული და გაოცებული ჯალში ავიც-ქერდა, რაღაც არაჩეცულებრივი მოძრაობა და არევ-და-რევა იყო. ეტლები ზედა-ზედ შევიდენ სასტუმროს ალაყაფის კარებში, რომლის ჭუჭყან ეზოდან პატრონი და მოსამსახურები გამოგვეგებდენ. ვიწრო, ჩამტვრეული ფიცრული კიბით მეორე სართულზე აგვიყვანეს. სას-ტუმროს ოთახებში, ერთი მხრით მისიონრები და მას-წავლებლები მოათვესეს, შუაში მგზავრები, მე კი შეორე მხრით მომცეს ერთი ვიწრო, უტახტო, ნოხით ძრავიბუ-ლი ოთახი, რომლის ერთ თავში ლოგინი იყო მილაგებუ-ლი. წყალი მოვიტანე, დავიბანე, დავიბარცხნე, მუთაქაზე თათრულად ფეხმოკეცილი დავჯევი. ლულა-ქაბაბი. ნებ-ვი და ყურძენი მოვატანიე და შევექეცი. თან სახლებში, ეზოში, ქუჩებში და ყველგან ჩემს გარშემო არაჩეცელებ-რივ მოძრაობას, ხმაურობას, შეიარაღებული ხალხის უთავბოლო სირბილსა და ყვირილს ვაყურადებდი.

დალამდა, ოთახში მოსამსახურემ ლამფა შემოიტანა და კუთხეში დადგმა ვერ მოასწრო, რომ დაუკაკუნდალად კარი გაილო და უბოლიშოთ სამი შეიარლაებული კაცი შემოვიდა, რომელთაც წინ ლურჯ მაუდას ტანისამოსში გამოწყობილი უფროსი მოუძლოდა. მომესალმა, თათრუ-



ლად ვინაობა მკითხა. მიესტყვი რასაც მეკითხებოდა, მარა მაინც რუსულად ვუთხარი: „არ მესმის რა გნეშავთ“? მან გასაგები რუსული ენით ამზსნა რომ ჩემი ვინაობის გასაგებად სამხედრო შტაბში გუბერნატორი სუჯაი ნა-ზიმი მიბარებდა. გიახლებით მეთქი ვუთხარი და უკან გავცევი. გოლცებულმა და შეშინებულმა მოსამსაწურებე-მა კიბეზე ჩამაცალეს. ვიწრო ქუჩაში სიბნელე და ნისლი იყო ჩამოწოლილი, არც ერთი ვარსკლავი არ ჩანდა, ხან-ჯლებით შეიარაღებული ორი კაცი ჩირალდნებით ვეი-ნათებდენ გზას. ერთ მოსახვევში ჩირალდანაზ გამუქე-ბული ალაყაფის კარი გამოჩნდა, რომლის ეზოშიც დიდი შავი შენობა მოჩანდა. აქ შეიარაღებული ხალხით სავ-სე ეზო გამატარეს და გრძელ დერეფანში შემიყანეს, რომლის კედლებზე ნაეთიანი სანათურები ბოლავდენ, თვალებ დაბრიალებული და კბილებ დაკრეპილი შეია-რაღებული დარაჯები ჩამწერივებულნი იდენ. როცა მათ შორის მიედიოდი ასე მეგონა ხანჯლებს ზურგში მიყრიდენ. დერეფნის ბოლოში დარაჯება კარი გააღო და შიგ რუსის მოლაპარაკე შემიძლევა.

ჩემს წინ ნოხებით მოფენილი და ლამპებით ვ-ნათე-ბული დიდი ზალა გაიშალა, რომლის თავში ორ რი-გად ფეხმორითხმული ზანები, მოლები, სამხედრო პირები ისხდნენ, შუაზე ხავერდის ბალიშებზე სუჯაი ჩაზამი მრისხანეთ იჯდა, დიდრონი ულვაშები ჩამოეშვა და მსხვილი ქარვის მძივიბს ნელ-ნელა თვლიდა... ამათ წინ წავდექი, ქუდი მოვიხადე, ზრდილობიანად მიევსალმე და გვერდით გაეჩერდი, შეპარვით კრებული ავათვალიე-რე. ესენი ჩემს სამგზავრო ტანისამოსს, სქელ შავ ომას, არწივისებურ ცხვირს, ქორის თვალებს, განიერ გულმ-კერლს ათვალიერებდენ. სუჯაი ნაზიმმა ზღილობიანად შემეჟითხა სპარსულად თუ ელაპარაკობდი. სანამ ვუპა-სუხებდი, მიმყოლმა მომასწრო და უთხრა, რომ რუსუ-ლად ვლაპარაკობდი. „თქვენ ვინ ბრძანდებით და ასე არე-ულ დროს საიდან მოდით აქ?“ მკითხა მან. როცა გად-მომითარგმნეს, საპასუხოთ ჩემი პასპორტი ამოვილე. რო-



მელიც რუსული გვარით თავდებოდა, შემდეგ კრისტენი პოდენტის მოწმობა გავშალე და მთარგმელს მაჟუცი, რომელმაც თავდახრით და გულზე ხელის დადებით სუჯაი ნაზიმს მიართა და შიგ წერებული განუძარტა. კრებულის წევრებმა ორთავე მხარიდან წამოიწიქეს და მოწმობებს დაკვირვებით სინჯვა დაუწყეს, თანაც ჩაც ციებით მათვალიერებდენ. „თქვენ გურჯი არა ხაოთ?“ მკითხა სუჯაი ნაზიმ. „არა ბატონი, მე ვლადიკავკავა-დან გახლავარ და მივემგზავრები რუსეთის იმპერატორის და მისი მთავრობის ნებადართვით ქალაქ თავრიზში ჩვენ გენერალურ კონსულთან პატიხანოვთან.. იქ ჩინდა ავწერო დღევანდელი საარსეთის მღვმარეობა და თ ამ გაზეთის საშუალებით, რომლის წარმომადგენელიც ვარ მსურს ქვეყანას ვაცნობო, რომ ჯულფიდან მოვემზავრები და აქ თქვენს საბრძანებელში შემთხვევით არ ვავჩერილვარ, ამას დაამოწმებენ ინგლის-ამერიკის მისიონები, რომლებიც აქ ბრძანდებიან,“ დაუმატე მე.

—დიახ, თქვენ მათთან იმგზავრეთ და თქვენი ვიზობის შესახებ მათ ვეკითხეთ, მარა არაფერი იციან, — მომიგო სუჯაი ნაზიმმა და კრებულს რაღაც შეეკითხა და პასუხად მიიღო — ნამდვილ გურჯს ჰგავსო. მივხვდი რომ საქმე ჩემს „გურჯობაზე“ იყო და დიდათ განრისებულა ბრძანლებოდენ. მეღუქნე იოსებ მოისენიანცის ნათევამი თვალშინ დამიღვა, თავდაცვის გრძნობამ გაიღიაძა, გონება ამოძრავდა. სანამ ნაფიქრი წესრიგში მომჯავდა სუჯაი ნაზიმმა მომშართა: „თავრიზის გარშემო აბლა დიდი ბრძოლებია გამართული, იქ ჩვენც რომ გაგიშვათ თქვენ მაინც ვერ შეხვალთ.“ ხანის ასეთმა კილო საუბარმა გამათამამა, იმედი მომცა, ჯოჯოხეთურ შთაბეჭოლილებებიდან გამომიყენა, და შეებედე: „დიდებულო ხანო! უმორჩილესად ვთხოვთ თქვნს მომხრესა და ჩვენი მეფე ნიკოლოზის წარმომადგენელს პოტიხონოვს თავრიზში ტელეფონით დაველაპარაკო.“ — ტელეფონი არ მუშაობს, გადაჭრით ბრძანა მან, თავრიზისკენ წასვლა შეუძლებელია. ახლა ბევრი საქმე გვაქვს, თქვენ განა-



ბას ხეალ გავარკვევთ, მანამდის კი ჩვენი ყარატულის ქვეშ იქნებით სასტუმროშიო, მარა სანამ ჩემი წაჟავანის ბრძანებას გასცემდა კიდევ შევბედე: — თავრიზის მმარბის გაგებას მაინც მოვახერხებ და ავწერ გაზეთებისოვის. ჯულფიდან, ჩემი მთავრობის საშუალებით, თეირანში მის უმაღლეს ბრწყინვალებას შახს და მისი ჯარების ხელმძღვანელს, ჩემ პირად მეგობარ პოლკოვნიკ ლიაბოეს ვაცნობებ ჩემ მდგომარეობას და რომ თქვერ მარანდში ბრძანდებით გამაგრებული. თეირანიდან მომცემენ საშუალებას პრინც ეინდოველეს ჯარს შეუერთდე სადაც ახლა ჩემი ნაცნობი რუსის ოფიციელი იპრავიან და ვფიქორბ მაღლე თავროზს აილებენ და სათარ-ხანსა და გურჯებს დაამარტებენ. ლაპარაკი ხელებ გაშლილმა, წელში გამართულმა დავამთავრე და ეტყობოდა შთაბეჭდილებაც მოვახდინ.

— ხვალამდის, ასე ბრძანა ხანმა. პასპორტი და მოწმობა უკან დამიბრუნა და რუსულად მოლაპარაკეს რაღაცა განკარგულება მისცა. მდაბლად, მარა ღირსეულად გამოვეთხოვე, ცოტა იმედ მოცემული გამოვტრიალდი და თამამი ნაბიჯით გამოვედი კარებიდან:

“შე იმავე გზით სასტუმროში მომიყვანეს, და ორცა ოთახში შევედი ჩემი ჩემოდანი გულმოდგინედ გასირჯეს, კბილების საწმენდი ფხენილი და ჩიოქის თეთრი „ღუტლიარი“ წაიღეს, კარი არ დამახურვიეს და ორი თოფიანი ყარაული კარებში ჩამიყენეს. თვითონ რუსულის მცირნე უფროსმა მითხრა: შენ ნამდვილი გურჯი ხარო.

სასტუმროს დერეფანში ვინც გაივლიდა, ყველანი შეშინებული იყურებოდენ, — აქ საშიში გურჯიაო, იძახოდენ.

თუმცა არაფერი მინდოდა, მარა ვახშამი მაინც შევუკვეთე და უფროსს საჭმელის მოტანა ვთხოვე, რაც ლიდი სიამოვნებით ამისრულა. როცა ხელისგულზე სპარსული თეთრი ვერცხლის ფული საკმაოდ დაინახა ხასიათი ვაჟკეთდა. ოსმალეთიდან შემოტანილი კონიაკი მომიტანა, ნაშალი ფულის მოცემის დროს თვალები მსუნავ ძალლ-



სავით შემომაბრწყინა. ეს შევნიშნე და რამოდგენიმე თეთრი ფული ვაჩქექ. ჩაც ნახევრად მშიერ სპარსელი-სათვის უბეღნიერესი შემოხვევა იყო. შევუდექი ვახშ-მობას. კონიაქს კარებში ჩამჯდარ დარაჯებს ვსთავაზობდი, ფლავსა და ქაბაბს ვაწვდიდი, რასაც მამლებიერი ყლაპავდენ, კონიაქს ხუხავდენ, იახში გურჯიო, იძახდენ. მე კი, სწორედ ეს გურჯობა არ მინდოდა — პეტ-რე-მოციქულივით უარსვყოფდი.

უფროსი რუსულის მცოდნე სადლაც წავიდა. მოსამ-სახურის პირით, რომელიც ლია კარებში მომჩერებოდა, მისიონრებს გავაგებინე. რომ მათი ნახვა მინდოდა, მარა ეს მათ არ ისურვეს და რაკი დატყვევებული დამინახეს, არამც თუ არ დამეხმარენ, არცერთი მათგანი დერეფან-შიც არ გამოჩენილა.

გაუხდელი ლოგინზე მივწერი და თვალებდახუჭული ჩემი მდგომარეობის გარკვევას შევუდექი. ხვალ სუჯაი ნიჭამი ჩემს გურჯობას გამოარკევს, ჯულფის სადამოე-ნოზე კავკავიდან არ მოვსულეარ ამასაც შეიძულებს. მაშინ შეიძლება რუსის მთავრობას გადამცის. ამას რომ იზამდეს რა მიშავს! რუსის მთავრობასთან მისელა ამ მდგომარეობასთან — ცხონებაა, მარა, თუ ჩემს ქართვე-ლობაში დარწმუნდა მაწამებს. ყოველნაირად ეტყობა, რომ ისინი ჩენენბს თავრიზთან დაუმარტებიათ, ვაბორო-ტებულნი, აქ ჯარს აგროვებენ და ცოტა ეჭვიც კი საქ-მარისია რომ დაეიღუპო. მისიონრები დამემალენ და ჩემ-თვის თითისაც არ გააქანებენ. მაშ, რად დაპირდენ ჩეკებს ჯულფაში დახმარებას გაუუწევოთ? შეიძლება დახმა-რება უბრალო რამე ეგონათ და როცა გინრისტებულ ხანს შეხვდენ პილატესავით ხელს იძანენ? იმ მანდილო-სანს ნუ თუ გული არ აქვს. დატყვევებულ თანამდგრავრს რომ მხედავს, — თვალით მაინც დამენახოს, მანუგეშოს? მისიონრებია, ქრისტიანებიაო! სად არის აღამიანობა? ქრისტე ჯერ კიდევ დილანს იქნება ჯვარზე გაკოული!..

როგორ მოვიქცე? დაენებდე და ცხვარივით გამატყა-ონ, მაწამონ? არასოდეს! კბილების კრაქუნით წამოვი-



რახე, თვალები გავახილე, წამოვდექი. ერთ დარაჯულ შეიგარებში ჩასძინებოდა, ორთავე ხელით თოფს ჩასჭიდებოდა, გარუჯულ კისერ წაწვდილი, საკარულზე თვემიბჯენილი მომაკვდავ კაცსავით ხრიალებდა. მეორე დარაჯი წასულიყო, აღარსად სჩანდა. უკვე გვიანი იყო, ქუჩიდან ხმაურობა არ ისმოდა, სასტუმრო მიძინებულიყო. დერეფნის იქით, სამზარეულოში, მბეჭდავი სინდოლე კროიდა... დარაჯი კისერ მოგრეხილი ისე ხროტინობდა, თითქოს იხრჩობა; ეტყობოდა ძლიერ დალლილი იყო და უსწორო წოლისაგან სისხლი სწორად ვერ მოძრაობდა.

გავიპარო? უიარალოდ სად წავიდე? თოფს ჰელიდან გამოვალი, მარა რომ გამიგოს? წაუჭირო პირსანოცი ყელში, რომ იყვიროს? არა, უცებ ავალეტ თოფს, კონდაბით თავში დაკრავ, უსულოთ აქვე გავაგორებ, კარს გამოვტურავ მის ტანისამოსს ჩავიცამ, ვაზნებს წელზე შემოვირტყამ, ვითომ რაიმე ბრძანება მიმაქვს, ჯულფი-საკენ მოვქუსლავ... მერე, ლირს ამ საწყალი კაცის მოკვლა, კეშმარიტების ძიებაში კეშმარიტების ფეხით გათელევა?! არის ეს სამართლიანი და რევოლუციონური? თვით მაცხოვარმა გეთიშმანის ბალში, მისი გაცემის ლამეს, მამა ლმერთს შესთხოვა: გადამარჩინე, დამიხსერ ისე,, როვორც ეს შენ გნებავსო.

ჩაშ, მოუცადო დილას, ვაცალო განგებას და მივენდო ჩემს ბედს? რომ დავიღუპო? რომ უბრძოლველად მაწამონ და დამკლან? ჩამომაცვან სარზე და ცეცხლი შემინთონ ისე რომ ვერაფრით წავადგე ცეცხლის რკალში გამოწყვდეულ გმირ თავრიზს? არა, მე ისეთ დიდ იდეას ვაკუთვნი ასე უბრძალოდ ვერ დავიღუპო, ისეთი დიდი საქმეები მიცდის, ასე უდროოდ ვერ ჩავკვდები! ისეთ დიდ გზაზე მივდივარ, ჯერ მესამედიც არ გამოვლია. დედა ჩემსაც სიმწარით იმისთვის კი არ გამოუზრუივარ და იმისათვის კი არ ლოცულობს და ევედრება ცისა და ქვეყნის გამჩენს, რომ აქ უსახელოდ ჩამკლან! არა, ასე ლაშირულად სიკვდილს ვერ დავწებდები, ჩემი გარდაც-

ვალების ასპარეზი სხვაგვარი უნდა იყოს, მან მე საქონელ-  
ნო საქმისათვის ხელჩართულ ბრძოლაში უნდა მოწინაშე-  
როს... ამიტომ გამხარდა საქართველომ, სოციალ-დემოკ-  
რატიულ პარტიამ, მისმა მამებმა, რომ აქ გავქრე? არა,  
ჩემი ბედი ეს არ არის, ჩემი გარსკლავი ჯერ ვერ ჩაქრე-  
ბა, ვფიქრობდი და ჩამინებოდა. ჩემს გონიერაში ლადო  
კეცხოველი, ვერა პეროვსკაია, უელიაბოვი, მხიარული  
და მამაცი ასინკი ისახებოდენ რომ თვალი გავაპილე,  
მეტყობოდა რომ ძილშიც და გამოლეიძების დოასაც  
თავის გადარჩენის საკითხი და თავდაცვისათვის, ზედო-  
რივი ძალის გამონახვა ერთმანეთს ეცილებოდენ.

წამოვდექი გავიარ-გამოვიარე, ცოტა ჩავახველე, მარა  
დარაჯი არ იძროდა, ხმა არსაიდან არ ისმოდა, თაოქოს  
ყოველივე ხელს მიწყობდა, როგორც მოვისურვებდი ისე  
გავსულიყავი აქედან. ბოლოს გადავწყვიტე არსად არ წა-  
ვალ, მოუკდი ხვალინდელ დღეს და, თუ შეპყრობა დამი-  
პირეს, მაშინ დარაჯს ვებრდლენები, ვაგლეჯ იარაღს და  
მასთან ბრძოლაში მოვკვდები, საწამებლად არ დავ-  
ნებდები.

გაყუჩებულ ღამეში ცხენების ფეხის ხმა და ეტლის  
თველების რიხინი მომესმა. სმენად გადვიქეცი. ხმა თან-  
დათან მოახლოედა, ჩვენი სასტუმროს ალაყაფის კა-  
რებს მოადგა, ჭიშკარის ჭრიალი ატყდა, ეტლი ეხოში შე-  
მოვიდა. მალე სანახევროდ ევროპიულად ჩატული სტუმ-  
რები კიბეს ამოყვენ, მათ პატრონ-მოსამსახურეები სან-  
თლებითა და ოღონის აღმოსავლეთი ყალბი ლიმილით შეეგე-  
ბენ და ოთახში მიიწვეის. სტუმრებმა ჩემს ლია კარში  
ჩაძინებულ დარაჯს ახელ-დანედეს, ჩემი ჩატულობაც  
აათვალიერეს და პატრონს რაღაცა შეეკითხეს. მიცე-  
მულ პასუხიდან მხოლოდ უკანასკნელი სიტყვა დავიჭი-  
რე: „ბურდა გურჯიო“. ცოტა ხნის შემდეგ, ახალგოლი-  
ლებიდან ერთი 30—35 წლის, შავგრემანი კაცი ჩემს  
ლია კარს მოადგა და ზრდილობიანი თათრულით ჩემი  
ვინაობა შემეკითხა. მე რუსულად მივუგე, რომ კორეს-



პოდენტი ვარ, თავრიზში მივდივარ და ოოგორუ მსე-  
ლავთ აქ შემაჩირეს და დამატყვევეს მეთქი. ჩემი შოსაუბ-  
რე რუსულის კარგი მცოდნე აღმოჩნდა. „ძალიან კარგი,  
მესმის, მივხვდიო,“ ჩაილაპარაკა და მომცილდა. კარებ-  
თან გაჩირებულ მის მხლებლებს სომხურად ჩაუღაპა-  
რაკა — ვფიქრობ „ერაციე“ უნდა იყოსო. დერეფანში  
გაიარ-გამოიარა, თითქოს ათვალიერებდა სანთელი ხომ  
არსად ჩანსო, ან გაღვიძებული ხომ არავინ არისო, პატ-  
რონს ვახშამი დაუკეთა და ჩემი ოთახისკენ მოპრუნდა,  
ახლოს მოდგა, მხარით კედელს მოაწვა, თავისი დიდრონი  
შავი თვალებით პირდაპირ სახეში ჩამხედა, გარკვეული  
რუსულით ხმადაბლა, მარა გასაგონად მყითხა: „ოქენე  
ქართველი ბრძანდებით არა?“ შეუძლებელი იყო ჩანის  
მოგზავნილად არ მიმელო და გადაჭრით მივუვე... არა ბა-  
ტონო, ვლადიკავკაველი ვარ, აი ჩემი პასორტი და მოწ-  
მობა,“ — ჯიბიდან ამოღებული ქაღალდები მივაწოდე.  
ქაღალდები საქელდახელოდ მკრთალ შუქწე გადაავა-  
ლიერა და უკან დამიბრუნა. საუჯაო- ნიზამთან დაბა-  
რება, შასთან საუბარი და მისიონრების ამბავი დაწვრი-  
ლებით გამომყითხა და წავიდა. გაკვირვებული დავრჩი  
და მის გამოცნობაზე თავს ვიმტვრევდი...

სწორედ ამ დროს ჩემს დარაჯსაც გამოელვიდა, ჟეიშ-  
მუშან. დაბრეცილი და ამღვრეული თვალები კუჭყიანი  
ხელებით მოისრისა და გაოცებით შემომანათა. დარცხვე-  
ნილმა უაზროდ ყურება დამიწყო... და, აი კიდეც რუსუ-  
ლის მცოდნე დარაჯების უფროსი წამოვადგა. იგი  
უშინოთ იღლარჯებოდა, სქელ ტუჩებიდან დიდრონ კბი-  
ლებს აჩენდა, თვალებს ნაბავდა. ეტყობოდა კარგად შე-  
ზარხოშებული იყო... როცა მეზობელი ოთახის კარი გა-  
ილო, შიგ სომხურად მოსაუბრენი იცნო და მათ სპარსუ-  
ლიად მიესალმა. სომხებმა იგი ვახშემზე მიიპატიეს.  
წინათ ჩემთან მოსაუბრე შავგვრიმანმა კაცმა, ვახშემზე  
მიწვეული დარაჯების უფროსი თავის მევობრებ-  
თან დატოვა, ჩემთან მოვიდა და კარის დარაჯთან მოუ-  
რიდებლად რუსულ ენაზე საუბარი გამიშართა.

„მე თავრიზელი სომეხი არაქელა მოვსესიანუა ვარ, დაიწყო მან. სპარსეთის ქალაქებში ვვაჭრობ, ხანგძლიან და გავლენიან პირებთან საქმეები მაქვს და მათი ნლობით ვსარგებლობ. პარტიულად ინჩაკისტებს ვეკუთვნია და თავრიზში მებრძოლ ქართველებიდან ვიცნობ ვასოს, ვლ. ლუმბაძეს, უელზნას და „გიგო გურჯა“. ისინი ამ დღეებში ერთ ამხანაგს ელოდებიან. თვალდატანობით, მარჯვენა ხელზე ცერის უქონლობით და სხვა ნიშნობლივი თვისებებით, ვფიქრობ ეს კაცი თქვენ ხართ. სუჯაა ნაზიმს თავრიზში, აჯიჩიას ბილთან ბრძოლა პეტონდა, მარა დამარცხდა. ხელ-ახალი იერიშის მისატანად იგი ახლა სოფულებში ხალხს ეძებს, მარა ხალხი მის წინააღმდეგაა აღელეებული. თუმცა, უიარალოდ და უსურსაონდ დარჩენილი აჯანყებული თავრიზიც ძლიერ შეწებებულია. მე ჯულფაში სავაჭრო საქმეებშე მივიჩქარი, ნებართვისათვის სუჯაი-ნაზიმი უნდა ვნახო, რომელთანაც კარგი განწყობილება მაქვს და პშირად ბანქოსაც ვთა-მაშობთ ერთად. მას თქვენზე ლაპარაკს ჩამოუგდებ და ვეტყვი, რომ პირადათ გიცნობთ, როგორც ვლადრეავეა-ველს და როგორც კორესოდენტს. იმედი მაქვს პისი ნებართვით თან წაგიყვან ჯულფაში. იქ დამოუნიდან წე-სიერად გამოსვლის საბუთებს მოვიწყობ, რომ მუმდევ აქ სუჯაი-ნაზიმის წარუდგინო, სიმართლეში დაუჯერო და თავრიზისკენ წახვიდე“.

ამის გამგონე თავს არ ვუჯერებდი. გაცემისაც მეშინოდა მარა ერთი ცხადი იყო, თუ დალუპვა მელოდა ბრძოლის საშუალებაც მექნებოდა და უმალვე მიუვე:

— ჯულფაში მაინც უნდა დავბრუნდე და თუ ამის ნებართვისათვის სუჯაი-ნაზიმთან დამეხმარებით, იქვენვან დიდათ დავალებული დაერჩები.

— არხეინად იძინეთ, დილით აღრე მზად იყავით. და-მიბარა და წავიდა. მალე, განვებით მოვლენილი არაქელა და ჩემი დარაჯის უფროსი ერთად ჩავიდენ დაბლა და როგორც მათი ლაპარაკიდან გავიგე, სუჯაი-ნაზიმთან მიღიოდნენ.



ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისევ მარტინ დავით რჩი, ვლელავდი. ხან წამების სურათი მეხატებოდა ჩამართებული ნაც მებრძოლი სულისკვეთება მიძლიერდებოდა და მავაკაცებდა, გძირად მხდიდა. ამ დაუსრულებელ ღამეში დავრწმუნდი, რომ არ არის სიმტკიცე სიკვდილისა და წამების მოლოდინში არ შეირყეს, მხოლოდ არის უმაღლესი მოვალეობის შეგნება და მაღალი იდეალისაოვის თავიანწირვა აღამიანს რაინდობას რომ მიანიჭაბს...

ბავშვივით კარზე მიმდგარი, არაქელას ველოდებოდი. გვიან მოვიდა და მომაძახა: დილით წაგალთო.

გათენებული ძლიეს იყო, დარაჯის უფროსი არაქელას ქალალდზე ხელს რომ აწერინებდა, მოსამსახურეს ჩემი ჩემოდანი ჩამოქონდა, დარაჯი ეტლისკენ მიმაცილებდა და მშეიდობით მგზაურობას მისურვებდა. არაქელამ მის გვერდით დამაჯინა, წინ ორი სომები სანოვაგით ჰავსე კალათებით ისხდენ. სომებმა მეტლემ ცხენები გარეუა და ჩვენ მარანდის ქვევით გზატკეცილზე მივსრიალებდით, მზის სხივები სახეში მეფინებოდა, ბრწყინვალე დღე მითენდებოდა. არაქელასადმი ეჭვი თან და თან მეფუანტებოდა და ნდობით შევყურებდი ამ ჩემს მხსნელს.

წამოლებული ღვინო-კონიაკით შეხურაბული ჯულფას მიეუახლოედით. გამოჩენდა რუსების „ზასტავა“, სპარსული ჯულფა, არაქსი და გაღმა ჯულფა რუსის, ყაზარმებით და რკინისგზის საღვურით. „ზასტავასთან“ მისელამდე ჯორავრემების ჯოგები მინდორში, ზოგან დაწოლილი აქლემებით, გრძელი კისრებით და პატარვანი თავებით იცოხნებოდენ. ვირები ყოყინით არე-მარეს აყრუებდენ, მწყემსები ჯოხით მიერექებოდენ...

აქ შევამჩნიე ჩემი ნაცნობი მედუქნე იოსებ მოესე-სიანცი. მან სომები მგზაერები იცნო და ხელის ნიშნებით ეტლი გააჩერებინა. არაქელას სომხურად წაულაპარაკა, ეტლიდან ჩამომიყვანა, ჩემი ჩემოდანი თავის წამოსასხმელს ქვეშ ამოიდო, მეც წამოსასხამი მომასურა და გზიდან გადამიყვანა, გორაკები საჩქაროთ გადაშატრა და არაქსის პირთან ერთ დანგრეულ გომურში შემიყვანა,



შვეიცარული ტანისამოსი გამხადა, სპარსული ჩამეცვა, რეაცია  
სახრე მომცა ხელში და ვირებ-ჯორების მწყემსადაც და-იმითავა  
მაყენა. ამ ქოხის ირგვლივ ჯოხით უნდა მევლო. კოომ  
ვირებსა და ჯორებს ვმწყესავდი. ფრთილად ცალილი-  
ყავი, რადვან მარანდიდან უკვე შელეფონით მეძენდენ.  
ქოხთან ვიქნებოდი. როცა ის, არაქელსთან ერთად,  
საქმეს გააკეთებდა, მომაკითხავდა და წამიუვანდა.

ახლა მივხვდი, რომ სუჯაი ნაზიმს კი არ გაუნთავისუფ-  
ლებრივარ — არაქელამ მომიტაცა და ამისათვის უნ-  
და შემიპყრონ. ხელში ჯოხი მოვიმარჯვე და ვირებს  
და ჯორებს ერთგულად დაუწყე მწყესგა, მარა როცა და-  
ლამდა ერთად მოიყარეს თავი, მათი პატრონებიც მოვი-  
ღნენ ბარგითა და ბარხანით და კველამ ერთად დაპინავ-  
დენ. მე ისევ მარტოობა და ვარსკლავების მშერა მერვო.  
მოწმენდილ ცის კამარაში ვარსკლავები აკაშკარდენ.  
ერთ მათგანს ჯულფის მთის ტიტელ მწერვალისკენ  
უყურებდი, რომ გაეარჩიე ჩემსკენ მომავალი იოსები. მან  
საჭმელ-სასმელი მომიტანა და დამარიგა ფრთხალად  
ცყოფილიყავი. ლამე აქ უნდა გამეთენებია და დილით  
მომაკითხავდა. იგი წავიდა. მე მიღამოებს ვათვალიერებ-  
დი; თუ საფრთხე მექნებოდა, წყალში გადასახტომ ად-  
გილს ვეძებდი. მდინარის სიო ქროდა, სიცივე მატუ-  
ლობდა, ვარსკლავები ცაში ერთმანეთს სცელიდნენ...  
აგრე ცას გადაეკრა ხშირ ვარსკლავებით მოქედილი იე-  
რუსალიმის გზა. სამხრეთიდან თითის-ტარა და მრუდე  
სასწორი (რომელსაც ქართლ-კახეთში სომხის სასწორს  
ეძახიან) გამოჩდენ, დასავლეთისკენ ზომლი-მრავალი ნე-  
ლა მიიწევს, ჩრილოეთით ირმის ნახტომი, — შვიდი ვარ-  
სკლავი და მათ გასწვრივ ერთი მოციმურე ნათელი ვარ-  
სკლავია.

დრო გაეიდა... ვარსკლავები შემეჩერდენ. აღმოსავლე  
თით დილის ვარსკლავი აინთო და ლაულაებს, მერე ცა  
საალდგომო კვერცხივით შეიღება და ცისკრის ვარსკლა-  
ვიც უჩინარი გახდა... მე კი სიცივისაგან ვხტუნავ; წრეს  
ვუკლი მიწას ვტკეპნი, გაწითლებულ ხელებს ვისრი-



სავ და ხიდისკენ მიმავალ გზასაც ედორაჯობ. უკუძღვა  
გამოჩნდა საქონლის გადამტანი „დროვი“, რომელზედაც  
ერთი სპარსელი და იოსები სხედან ხელს მიწნევენ. სი-  
ბარულით მიერბივარ და „დროვზე“ ვჯდები. ხიდთან და  
რაჯმა საზღვარზე გადასასვლელი ქაღალდები გასინჯა  
და გავიშვა. ხიდის მეორე თავში რუსის ჯარისკაციაც  
მას მიბაძა და რკინისგზის საღვურისაკენ გავსწიოთ...  
იოსებმა გზაში გადმომსვა, მდინარის პირას დანვრეულ  
მიწურთან მიმიყვანა, ხელსახოცში გამოკრული ეველი  
და პური მომცა და გამაფრთხილა — აქაც როგორც  
მწყემს ისე უნდა გამეტარებინა მთელი დღე. ეს დღეც  
მზის სწილებზე თბობით გავატარე.

შუალამისას, შორიდან ვიცანი ჩემს საძებრად წამო-  
სული ჯულფის კომიტეტის წევრი. მან სიხარულით მო-  
მეხვია, სუჯაი-ნაზიმის ხელიდან გამოსხტომა მომილო-  
ცა და ჩემს ნაცნობ სასტუმროში მიმიყვანა, დამაპინავა.  
ლამე კარგად გავატარე. დილას იოსებმა და არაქელამ შა-  
ნის მოხელეებიდან, უკანა რიცხვით აღებული, მოწმობა  
მომიტანეს, ეითომ აქედან მათი ნებართვით ეიყავი, წა-  
სული. ეს მოწმობა არაქელას სუჯაი-ნაზიმის საჩუქრებ-  
ლად და იმის დასამტკიცებლად უნდოდა, რომ მე შესიე-  
რად აღებული ნებართვით ვმოგზაურობდი.

იოსებ მოვისესიანცი დაშნაცაკანი და სპარსეთში ცნო-  
ზილი ეფრემ-ხანის ამხანავი იყო. რუსეთის კატოლიკოთან  
ჯამოქცეული ჯულფაში ვაჭრობდა და თავის მშვენიერ  
მეულეს რიცხვისეს და შეილებს თავრიზში აცხოვერებდა  
და როგორც გამოცდილი დაშნაცაკანი სპარსეთის ოცნე-  
ლუციონურ მოძრაობას ხელს უწყობდა.

არაქელამ დავკირდა, რომ მალე თავრიზში იქნებოდა  
და ჩემს მდგომარეობას სათარ-ხანსა და ქართველ ამხა-  
ნაგებს გადასცემდა.

მეორე ღამეს, ცნობილ საქოს მეთაურობით, თავრიზში  
მებრძოლ დაშნაცაკანების დამხმარე სომხები შეიკრი-  
ბენ. ჯულფის კომიტეტის წევრმა საქო ჩემს ოთაბში  
შემოიყვანა და გამაცნო. თავმდაბალმა, უბრალო ქცევის



და მტკიცე გამომეტყველების საქომ გამანდო, რომ სპარსეთში და საქონიში მათი გამომდებით, მაუზერებებით და ვინტოვებით შეიძარალებულნი მდინარეს გადავლენ, რომ სპარსეთში მცხოვრები სომხებისა და მათი გამოკდილი მეგზაურების შემოერთებით, შეუმჩნეველ გზა-პილიკებით ივლიდენ და თავრიზში შეიძარებოდენ.

საქოს თავრიზში ქართველების ყოფნა ავუსტენი და მათიან წაყვანა ვთხოვე. კომიტეტიც ამ აზრისა იყო და საქომაც დამპირდა, მაგრამ წამსვლელების კრებამ მოითამბირა, უცნობი მოსაზრებით უარი შემომითვალა და გულდაწყვეტილი დამტოვა. ისინი კი იმავე ღამეს ნავტიკებით არაქსზე გადავიდენ, რამდენიმე დღის მემდეგ მშეიღობიანად თავრიზში შევიდენ და მებრძოლთა რაზმი გააძლიერეს.

ერთ ღამეს სპარსეთის ჯულფიდან კომიტეტის ჰიკრი მოვიდა და ამბავი მოგვიტანა: მარანდაში გუბერნატორის სახლი, სამხედრო თაობირის დროს, ავეთქებულა, სუჯაი-ნაზიმი, მისი უფროსი შეილი და მთელი შეკრებულობა დაუხოცია. შახის მომხრე ხანები, ძოლები და მოხელეები შეშინებული გარბიან. მარანდაში გურჯი რომ იყო დაჭრილი და სადღაც იმალება, ეს სულ იმის მოწყობილი ამბავია. ამას, ხანის ცოცხლად დარჩენილი ახლობლები და იმ გურჯის მნახველები ამბობენთ. აი შიგთან გურჯი! აი იემან გურჯი! გაიძახოდენ და მთელ სპარსეთის ადერბაიჯანში რაღაც ამბები ხდებათ.

ეს დაუჯერებელი ამბები, საღამოს ტელეფონით, ჯულფის დაწესებულებებს ოფიციალურად ემცნო და მთელი მხარე პირუტყვულმა შიშმა შეიძყრო. საღამოს ჩემს ოთახში შევიკრიბეთ. კომიტეტის ერთ წევრს თვითონ ენახა მარანდიდან ჩამოსული მოწმეები, რომლებისაც საშინელი აფეთქების ხმა გაეგონათ და თვალით ენახათ სუჯაი-ნაზიმისა და მისი სამხედრო პირების დაგლეჯილ სხეულთ ნაწილები.

თუ ეს ამბავი მართალია; ამ აფეთქებით იწყება დიადი საქმე. თავრიზიც დახსნილია და სპარსეთის რევო-



ლუციაც გამარჯვებული, მე და განერმარტე: ჯულიუსი ჩემი გამგზავრება თავრიზის აშხანავებმა იცავდეთ. ჩემი რანდაში ჩემი დაჭრია და სასტუმროში ჩემი ოთახის ლია კარებში დარაჯის დაყენება, ესეც ალბათ ბევრმა გაიგო და რაღაცა სასწაულით თავრიზშიც გაიგეს. იქ შევანან ამხანავები და მათ შორის გიგო გურჯი და მათიაშე ეილი და ვფიქრობ, ჩემს გადასარჩენად თავი არ დახვევს. გიგო გურჯამა ჩემვან ნასწავლი „ჯოჯოხეთის მაშხალა“ გაამზადა. იგი ფოსტით ან ვინმეს ხელით, ძეირთას საჩუქართან ერდად სუჯაი-ნაზიმს გაუგზავნა. სუჯაი-ნაზიმმა გახსნა საჩუქარი და „მაშხალამ“ იფეთქა და დაანგრია იქაურობა. ეს ყველაფერი გიგო გურჯის თავდადებულების საქმეა და არა ჩემი. საბედნიეროდ მათი პრძოლის მორალი გაუტეხელი ყოფილა, ბრძოლის მეოთხი კი ჭიუიანად გამოანგარიშებული. სწორედ ეს სალევა გამარჯვების იმედებს, გავათავე მე.

როცა გაიგეს, რომ „ჯოჯოხეთის მაშხალების“ მკეთებელი ვიყავი, ფრთხები შეისხეს და საზღაცროდ ამამალლეს. ამით გათამამებულმა დაუყონებლივ სადაპოენო პუნქტის ხელში ჩაგდებაზე და სპარსეთის ადერბაიჯანში აჯანყების დაწყებაზე მოვუწოდე.

იმ ღამესევე მატარებლით ალექსანდროპოლ--ერევნის სააფთიაქო მაღაზიებში ხალხი ვატრინეთ „ბერტოლეტის“ მარილის საყიდლად. შეთქმულებაში მონაწილეობის მისაღებად მახლობელი სოფლებიდან მოხალისეებს გაშოვიყვანდით. მარანდის შემაშინებელი ამბების გვერდენით შახის მოხელეებში, იარაღიან დარაჯვებსა და მათ უფროსებში გადმოსაბირებლად ხალხს მოვნაზავდით.

სასწრაფოდ ასაღები პუნქტების სია შევაღვინეთ, სასაინფორმაციო ცენტრი მოვაწყეთ, მის სათავეში კოშიტეტის ერთი წევრი ჩავაყენეთ, შიგნით-სამაქმედო ადგილებთან და გარე-კავკასიაში მომქმედ კაიიტეტითან ინფორმაციის მიწოდება დავავალეთ. სწორია ცნობების მისაღებად მარანდაში ჩენი ხარჯით საიმედო ვაჭარი გავგზავნეთ.



მეორე სალამომდე ოთახში ჩავიკეტე — შეთქმულობის გეგმას ვაწყობდი, უფითოლოდ და უკაპსულოდ ბოძები როგორ გამცეცობინა, ამაზე ვდიქრობდი. სალაბოს შევიტრიბეთ. მარანდიდან ჩამობრუნებულმა ვაჭარმა ყოველივე დაადასტურა, იმ განსხვავებით, რომ რეაქციონერები თავზარდაცემულია, ხალხი ლელავს, სათარ-ხანის სახელს ფიცულობს, მის ვაჟკაცობას მზესა და მთვარეს ადარებსო. გურჯის არამც თუ ნახვის, გაგონებაც რეაქციონერებს შიშის ზარს გვრისო. ვაჭრები რეაქციონერებმა ისე გაძარცვეს, რომ სულ სათარ-ხანი, მხარეზე არიანო.

ამასობაში მივიღე ბერტოლეტის მარილი. უმ პარილის, სუფთად დაფხვნილი ერთი წილი, ასეთივე სულთად დაფხვნილ შაქრის სამ წილში აურიე, გავუარი და საკმაოდ ძლიერი ასაფეთქებელი ნიერიერება მავიღე, წვრილი ბომბის გული სპირტში ჩავალ პე, თოფის წამალში მოვზილე, გავაშრე და ცეცხლის გამტანი ფითოლი გავაკეთე. „გრემუჩი“ კაპსულის მაგიერ თოფის ჩამახის ეზელი, ვაზნების გილზი ვიხმარე. თუნუქის ლამაზი ჩავყარე ლურსმები, რეინისა და თუნუქის ნაჭრები და ასაფეთქებელი ბერტოლეტ-შაქრით ავაესე, გავატარე შიგ თოფის წამალში მოზელილი ბამბის გრეხილი, ბოლო მოუმავრე ძაფით, მივაბი-მივაკარი ელზები და ლამპის თავი ხრახნილით მოუჭირე. ამნაირად ვავაკეთე რამოდენიმე პრიმიტიული ბომბი, რომლის ხმა սაჭაოდ ძლიერი იქნებოდა. რომ მარანდაში მომხდარი ამბი, შემდეგ, უდისციპლინო, მშიერ და ფეხშიშველ შეიარაღებულ ჯარისკაცისათვის თავზარი დაგვეცა და იარაღი აგვეყარა.

ამ დროს, რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად, კომიტეტში გვესტუმრა ყარსის თუ ალექსანდრეაბოლის თავადიშვილი იბრავიმ-ბეგი ჯანგიროვი, — კავკასიიში გიმნაზია დამთავრებული, ბუნებით იარაღის მოყვარული და სამხედრო საქმის არა უცოდინარი. იგი ზაეი, მაღალი და მსხვილი იყო, ღილი ცხვირით, გრძელი მკლა-

ვებით და დიდრონი თითებით. მაღალყელიანი ჩექები  
ეცვა, შავი, მოკლე „კვეტუა“ გულზე ასკნილი ჰქონდა.  
თათრულსა და რუსულის კარგად მცოდნეს მიმზიდველი  
ხმა ჰქონდა, კარგი მოსაუბრე, გამტანი ამხანაგი და დარ-  
ბაისელი ადამიანი იყო. მას ჩენითან ორი ახალგაზირდა  
კავკასიელი თათარი მოჰყვა. ჩენ შეტვედრისთანავე და-  
მეგობრდით.

მარანდადან ჩენი გაგზავნილი ვაჭარიც ჩამოვიდა. მი-  
ლებული ცნობები გადამეტებით დაგვიდასტურა. პალე  
კონტრაბანდისტებმა რეაქციონერებიდან გაცარკული  
ალი ჯაფაროვი მოიყვანეს, რომლისთვისაც რეაქციონე-  
რებს ლაშაზი ცოლი და კარგი ცხენი წაურთმევიათ.  
თვითონ, რუსის კატორლიდან გამოქცეული, შეუ ზნის,  
საშუალო ტანის კაცი დიდი ცოდნა-გამოცდილებით და  
ჰქონდანი თვალების მოძრაობით ლაპარაკობრდა. როცა  
მას უთარეს რომ გურჯი ვიყავი, ფეხებში ჩამივარდა,  
ძლიერ ავაყენე. ივედრებოდა მხოლოდ მარტო მე გავყო-  
ლოდი. სუჯაი-ნაზიმის მოკელით და მარანდის ამბით შე-  
შინებულ რეაქციონერებში ჩემი გამოჩენა კმარაბდა,  
ხალხი მომექმარებოდა, ათასხელ გაწამებულები სელ-  
მძლვანელს და მხსნელს ელოდებაო, იხვეწებოდა.

სპარსეთის ჯულფიდან ცნობა მივიღეთ, რომ ძახლო-  
ბელ მოებში შახის მოწინააღმდეგე რევოლუციონერებია,  
გასიზნული. კომიტეტმა იბრაგიმ ბეგის, ალი ჯაფაროვის  
და ჩემი თანდასწრებით გადასწყვიტა ეს ხალხი საბრძოლ-  
ველად დაერაზმა. ამ მიზნით ჩენ არაქსი გადავურეთ  
შევეღით სოფლებსა და მოებში და აქაური ხალხის სა-  
შუალებით რევოლუციონერებთან კავშირის დაკავებას  
შევეცადეთ. ხალხს მდგომარეობას ვუხსნიდით, მარა  
მტერთან უაზრო შებმას და სისხლის ლერას გაფურბოდით.  
შეტი სიტრობილით რომ გვემუშავა, ჯულფაში სასედო  
ვაკრის სახლში დავბინავდით. აქ მოგვისწრო კოშიტეტის  
წეერმა და გადმოგვეცა, რომ რაიონის გზების დაძცველ  
უფროს ოფიცერთან შესაძლებელი იქნებოდა საიდუმლო



ლაპარაკი. გამოძიებამ ეს დაგვიდასტურა. ეს გამოცული წერილი და ყოჩალი ოფიცერი, (თუ შეიძლება უსწავლელი კაცი ითვალისწინებული ეწოდოს!) მტკიცედ ასრულებდა თავის მოვალეობას, მარა ამისათვის თავის დროზე ჯამავირსაც ვერ ღებულობდა და უქმაყოფილო იყო. თან მარანდას ამბების გავლენით კიდევ უფრო ყოფილობდა. ჩეკმა ვაჭარმა, სხვა საიმედო ვაჭრებთან ერთად ქეიფი გაუტართა. ქეიფში იბრაგიმ-ბეგმა და მე ვადლეგრძელეთ, (ჩემი სიტყვა იბრაგიმ-ბეგმა გადუთარებმნა) —ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლა, და მებრძოლი ჯულფის გუბერნატორობა ვუსურვეთ. შეზარხოშებული ახალგაზრდა ოფიცერი აინთო, თვალები გაუბრწყინდა, მარა ამისათვის მოფიქრება მოითხოვა და დაამატა: მაშინ მე ჯულფის გუბერნატორობის მოწმობა სათარ-ხანის ხელმოწერით უნდა მიეიღოთ. ეს კარგი ნიშანი იყო. მაწვეულმა ვაჭრებმა დამაჯერებლად ელაპარაკეს.

ოფიცერის წასელისთანავე მუშაობას შევუდექით, რომ ჩემთან მზარეული შემოვიდა და მოკრძალებული სუსტი ქართულით მითხრა — მივხვდი ვინც ყოფილხარო. აქ წინად გიგო გურჯამა გამოიარა და ყუთი დამიტოვა. თუ შახის წინააღმდეგ მებრძოლი გურჯი გამოიაროს, გადაეცი მითხრაო. სიხარულით წამოვხტი... მზარეულმა ყუთი მომიტანა, გასანთლული „კლიონქაში“ იყო გახვეული, რომ სინესტე არ მიჰყარებოდა. ფრთხილად გავხსენი, ყველა ნაწილი თავთავის ალაგას იყო ჩაწერაშილი. ქალალში გახვეული ორი კარობკა სავსე იყო „გრემუჩი“ (ასაფეოქებელი), დიდრონი კაპსულებით. დინამიტი ნახვარ ყუთამდე იქნებოდა. ამის მნახველმა მზარეულს ხელი ვსტაცე, ბავშვივით გადავკოცნე, ბურთივით მაღლა შევაგდე. სიხარულისგან ყველა ამხანაგი დაეცოცნე, გურჯ გოგის მაღლობა შევეთვალე და მთელი ადერბაიჯანის რეაქციონერები, მათი ხან-მოლები საბრძოლველად გამოვიწვიე...

„ბედი მრმე, ქვაზე დამსეი“ — ამას ქვია. ბომბების კეთებას შევუდექი. მაგარი ყუთების უქონლობის გამო



სპარსული ვიწროყელიანი თუნუქის დოქტი მოვიცანე, შეგ მოზელილი მაგარი ძალის დინამიტი ჩაეკარე. ღითი-ლები კაპსულში გავამავრე და დინამიტში დოქტის ჯელი-დან ჩაეკარჭვე. როცა პაპიროსის ცეცხლს ფითილს მიუ-დებდით, შუშეუნს დაწყებდა, ნაპერწკლებს გამოყრიდა და როცა გადაისროდით, ისეთი ძალით გასკდებოდა, რომ მთელ ჯარს მოშლიდა, დოქტის ნაშსვრევები თუ კაცს მოქველავდა და დასჭრიდა.

ახლა ჯულფიდან წამსვლელი მე აღარ ვიყავი. პარ-სელი „ოფიცერიც“ რომ არ მოგებმარებოდა, ბრძალას მაინც დავიწყებდით. ბომბების ხმარება ყველას გასწავ-ლე.

მეორე დღეს კომიტეტის წევრმა გურჯი მოლა ტოიყ-ვანა — იგი აჭარელი ეფენდი აბაშიძე იყო, გამხდარი და მალალი კაცი. ისე დადიოდა, თითქოს მიწაზე ცეხებს არ ადგამდა. აბრეშუმის ჩანთაში ყურანი ჰქონდა ჩადე-ბული და სპარსელებს უკითხავდა. ყურანი თავისუფ-ლებისათვის ბრძოლის წინააღმდეგი არ არისო, ქადა-გებდა. „რეინა მიშოვეთ ძიავ, რკინა და რეაქციონერების სეირს გაჩვენებთ“ -ო. მას ბათუმის რუსულ სკოლაში ნას-წავლი ახალგაზრდა კაცებისული თათარი ახლდა, რომელ-მაც თათრული და რუსული ჩინებულად იცოდა. ბერძო-ვიერთდა აკრეთე ხევსური შაქრო ვეშაგური, ჯუჯვეი, უსიტყვო და ულაპარაკო კაცი, მარა უშიშარი, გულადი და შესანიშნავი მსროლელი. მასთან ერთად მოვიდა არ-ტილერისტად ნამსეხური ზეინკალი სომეხი არშავა, ეს სამაგალითო ადამიანი და გატაცებული მებრძოლი. რო-მელსაც უამხანაგოთ ყოფნა არ შეეძლო. კომიტეტი! წევ-რმა ამავე დღეს სოფელში გვიყიდა ერთი „ეინტოვეა“ და რევოლუციერი მათ მათი „პატრიონებით“. მზარულმა კი სარდაფში დაეანგული ხანჯალი გვიპოვა, რომელიც გაეჩარჩეთ და ჯობის ტარიის შუბად გავაკეთოთ.

ახალმოსულებიდან, ბათუმის სკოლის მოწაფე თა-თარმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. გაიგო თუ არა დარა-



ჯების უფროსი „ოფიცერი“ — ყოჩალ სულთან სათარ-ბანის ბეჭედ დაშვრულ მოწმობას თხოულობდა, მასინვე ჩაიკეტა ოთახში. დანითა და სხვა ხელსწყოთი სპარსე-თის განმათავისუფლებელი კომიტეტის მშვენიერი ბეჭე-დი გააკეთა. ყოჩალ-სულთანის სათარხანის სახელია ჩი-ნებული მოწმობა შეადგინა, რომ სათარხანის დადგენი-ლებით იგი ჯულფას გუბერნატორად ინიშნება და გან-მათავისუფლებელ კომიტეტთან და გურჯ ტრიასთან ერთად ჯულფაში ბრძოლებს ხელმძღვანელობს. პეპი-დი დარტყა და ხელი მოაწერა.

როცა ეს გამზადდა, კომიტეტმა შეიძინა რუსის ვენე-ლის ტანსაცმელი მთელი თავის მოწყობილობით. წეხვია იგი აბრეშუმის ფუთაში და შეინახა.

წინა მეცაშირეს საშუალებით კომიტეტმა ყოჩალ-სულთანი ჩვენს ბინაზე მოიწვია. ცხადია, უბედურ შემ-თხვევისათვის თადარიგი მივიღეთ: ვინტოვკა-რეკოლ-ვერით და შუბით საიდუმლო კუთხებში დარაჯები და-ვაყენეთ. დაღამდა. მეცაშირემ ყოჩალ-სულთანი, თავის ბჟლებელ-მრჩეველით ოთახში შემოიყეანა. აქ იგივე ვაჭ-რები, კომიტეტის წევრები, მე და იბრაგიმ ბეგი ვიყავით.. მე ახლა შვეიცარული ტანისამოსი მეცვა და საიდუმლოდ დინამიტებით შეჭურვილი ვიყავი. მასპინძელმა მას მოახ სენა, რომ სათარ ხანიდან შიირიქმა მისი დანიშვნის შე-სახებ დასტური მოიტანა, რასაც კომიტეტის ბეჭედი და მისი მდივნის ხელმოწერა ამოწმებსო. ამ დროს ძეორე ითახილან სპარსელი შემოვიდა, გულზე მიღებილი დი-დი დალაქული კონვერტი შემოიტანა და მოწიწებით ყოჩალ-სულთანთან მივიდა და ცალ მუხლზე დაჩოქტლმა მიართეა. ყოჩალ-სულთანმა კონვერტი გახსნა, ცეკვედს დახედა და თავის მრჩეველებს გადასცა, რომლებმაც ეს სქელი, საგანგებო ქალალდი წაიკითხეს, გადააბრუნეს, გადმოაბრუნეს, რალაც ყოჩალ-სულთანს გადაულაპარა-კეს და ქალალდი წინ დაუდვეს.

სანამ ყოჩალი სულთანი გამოერკვევოდა, იგივე კაცი შემობრუნდა, თავზე დადებული აბრეშუმის ფუთა შემო-



იტანა, ყოჩალი სულთანის წინ დაწოქებული ვეაჩერდა. მხლებლებმა ფუთა აიღეს, ნოხზე დადევნ, განსხვეს გუნერლის წითელი შინელი მის წინ გაშალეს. ყოჩალი სულთანი დაიბნა, გაწითლდა, აღარ იცოდა რა ეთქვა. წითელ შინელს სხვა მოწყობილობაც მოჰყვა და იგიც ჩვენ წინ მდვდელ მთავარივით შემოსვას შეუდგა და როცა შემოსილმა გულდაწეული გაიარა და მრისხანე სასე მიიღო, ვაჭრებმა მის წინ მოწიწებით თავი დახარეს.

ყოჩალი სულთანი სათარხანის მხარეზე დაღვა.

დღეიდან თქვენ განკარგულებაში ვარო, მისდა უნებურად წამოიძახა.

ჩვენ მიულოცეთ, მაგრაც ხელი ჩამოვართვით. იგი ისევ მის ძეელ ტანსაცმელში გაეხვია, საგურბენატორო ტანსაცმელი ფუთაში ჩაალაგებია. მისი ჯულფაში ითვირთალურად შემოსვლის დღე დავნიშნეთ, დალეპული ფიცის ასრულებას საიმედო კაცები მიუჩინეთ.

დიდ ბოჭკაში დინამიტით გატენილი თექქეცეტი რკინის მილის ნაკერი ჩავუშვი, გაუკეთე გრძელი აირილი, ავავსე რკინის ნაკერებით, და შიგ ცემენტი ჩავასხი. თავი დავბეჭდე, მავთულებით გავკარი და ოთახში დავდგი, რომლის აფეთქება ჯულფას დაანგრევდა, ერთ პოლქს მოშლიდა...

ჯულფას აღებას შევუდექით. შეკერეს წითელი დიდი დროშა, ზედ ვარსკელავი და მთვარე ამოქარებეს. ეუეშ სათარხანს გაუმარჯვისო წააწერეს. მთავარ-სარდლათ ვინტოვკა გადაკიდებული იბრაგიმ-ბეგი იყო, მის თანაშემწეო კი, რევოლუციონით შეიარაღებული ალი ჯაფაროვი. ჰაფი-ეფენდის ჩანთით ყურანი ეკიდა. სანდრო და ერშაკა წელზე ბომბებ შემორტყმული აყურადებდენ და ბომბად ქცეულ ოთხფუთიან ბოჭკას უთვალითალებდენ. მე კი ნაღმები მეჭირა ხელში და თუ ლალატი იქნებოდა მათი აფეთქებით იქაურობა უნდა დამეწვრია. ჩემს გალმა კავკასიელები, თუნუქის დოჭკების ბომბებით და სასროლი დინამიტებით მოგვეხმარებოდენ, თუ ეს სა-



ჭირო გახდებოდა. ყოჩალი სულთანი მცირე შეიარაღებული ჯარით შემოვიდოდა ჯულფაში. ან ის ან სხვა ვინმე ლალატს თუ გაწევდა, ქალაქს ავაფეთქებდით.

საბედნიეროდ ყველაფერი რიგიანად დამთავრდა. გაფრთხილებული მოლა მეჩეთის მინარეტზე გადმოდგა და ხალხს დიადი ამბის შესახვედრად მოუწოდა. შემინებულმა ვაჭრებმა დუქნები დაკეტეს, ფოსტა-დამრადის მოედანს მიაშურეს. აქ მოხელეები, დარაჯები, ბავშვები ერთმანეთში ირეოდენ. ამ დროს წითლად გამოწყობილი გენერალი, ყოჩალი სულთანი „ზასტავიდან“ ეტლით შემოსრიალდა. მას შეიარაღებული მხედრები მოაცალებდენ. როცა ეტლი მოედანზე გაჩერდა შემინებული ხალხი ცახცახით შესკუეროდა. მოულოდნელად მათ თავზე აივნიდან წითელი დროშა გადაიშალა. „იაშასუშ მაშრუთა!“ „იაშასუშ სათარხან!“ „იაშასუშ ყოჩალი სულთან!“ ძალილით მხედრებთაგან თოლებმა იგრიალა, გარსემორტყმულ ხალხის წინ კომიტეტის წევრები წარდგენ, დიადი ამბავი აცნეს, ყოჩალი სულთანს გუბერნატორიბა სათარხანის სახელით ოფიციალურად მიულოცეს, ჯულფაში და მის რაიონში წესიერების დამყარება დაავალეს. ხალხი ყოჩალი სულთანის წინ დაემხო, დროშას შეხედა, მის წარწერაში დაკარგული თავისუფლების აღდგენა იცნო და ალლახს მადლი შესწირა. კომიტეტმა ხალხს მდგომარეობა აუხსნა, ვაჭრებმა მას მხარის დაჭერა დაპირდნენ, დარაჯებმა ერთგული სამსახური და ცორჩილება. ჰაიდის ეფენდიმ შარიათის და ყურანის მნიშვნელობა განმარტა, იბრაგიმ ბეგმა მოპოებულ თავისუფლებას უმშევნიერესი სიტყვა მიუძლენა, შემდეგ კი ჩემი სიტყვა გადათარგმნა. მე ბოჭკა ბომბზე ერყავი წემდგარი და საუკეთესო შემთხვევა მქონდა ამ ლაბერაჟებულ ხალხს გავცნობოდი. სუჯაინაზიმის წერილით მიღებულ პატარა ბომბით ჩემი ციფრნერების ამოქლეტას ეუამბობდი და ჩემს ქვეშ მდგარ დიდ ბოჭკაზე ვუჩვენებდი, რომ აქაც ათიათასხელ უფრო ძლიერი იმ-



გვარი ბომბია და თუ შახის მომხრეები არ დაჟღნტბდეთ ბიან, ეს სულ მათ ამოსაწყვეტად აფეთქდება მეტქი-ცალკე-მარჯოს სპარსეთის რევოლუციას, გაუმარჯოს თავრიზს, გაუმარჯოს სათარ-ხანს ვიძაბოდი მე და ამას იქანება მთელი ხალხი, რომელიც ალტაციით შემომეტვია.. მე-დუქნე იოსები ძმასავით მკოცნილა.

ყოჩალი სულთანი პურმარილით მიიღეს, ხელისუფ-ლება გადასცეს, პოსტა, დამორნა და ხაზინა, ჩააბარეს ქალაქის მმართველობა დანიშნეს, სათარ-ხანის ქარებე გადასცლა შახს აცნობეს და რეაქციონერებს თავზარი დას-ცეს.

გალშიდან რუსის ჯარისკაცები, გამოლმა „ზასტავას“ მოხელეები განცვიფრებული გვიყურებდენ. ახალმა ვუ-ბერნატორმა ჯულფადან გამავალი გზებზე გაამაგრა. რეაქციონური ხანების წინააღმდეგ აზმები ჩაასაფრა.

ჩენს ბოჭკა ბომბის რეინის სალტები შემოვაჭედეთ, სა-ხელურები გაუკეთეთ, ოთხ კაცს მხრებზე დაუდეთ და სადემონსტრაციოდ გზებზე ასე ვატარეთ. ეს სურათი რუსმა მოხელეებმა პეტერბურგის „ნოვოე ვრემია“-ში გამოაქვეყნეს. აქედან „რეჩ“-მაც გადაიტანა ეს ჯნობა და რუსეთს მოედო. აღერბაიჯანში დასპარსეთში, ვინ იცის ამის შესახებ, როგორი სენსაციური ჩემები გავრ-ყალდა!

კომიტეტის ერთ წევრთან ჯულფა დაეტოვეთ და და-ბა ალამდარ-გერგერში გავემგზავრეთ. თან მიგვექნდა ბოჭკა-ბომბი, ნაღმები, ღინამიტები, თუჯის ლოქები, გადასასროლი ბომბები, თოფები დ შუბები, წინ თავი-სუფლების წითელი დროშა მიგვიძლოდა, ყველა მხრიდან აღფრთოვანებული ხალხი და აქრიალებული ბაკშეები გვიერთებოდენ, მათ შორის საცოდავი სანაბავი ქალები იყვენ, რომლებსაც პირისახე დაფარული ჰქონდათ, მა-რა დაგლეჯილ ჭრებიან ძონებში მზეზე გამხმარი და გაშვებული წვივები და გულმკერდი უჩანდათ.

ასეთი ამბით გავიარეთ თავრიზისაკენ მიმავალი სამხედ



რო გზა, გადაუხვიეთ დსაველეთ-სამხრეთით, გადავაღვეძინთ თავზე ალამდარ-გერგს და მზის სპიებზე აფერადებული განმათავისუფლებელი დროშით შიგ შევითოთ და გამარჯვება მიულოცეთ. თავკაცები შემოგვეგებენ, შე-საწირავი ცხვარი დავვიყლეს, — გზის ერთ მნარეზე ცხვრის თავი დადეს, მეორე მხარეზე ტანი და შუა ზავეა-ტარეს. ეს ქალაქის მცხოვრებთა მიერ ჩვენი მშვიდობიანად მიღების ნიშანი იყო. ბაზარი, დუქნები და სახელოს-ნობი დაკეტეს, ჯამედან მოლა თავგატეხილივათ ყვი-როდა, ქალაქის კუთხებიდან და მეზობელი სოულები-დან ხალხი მორბოდენ, გაოცებულნი ფითილებიან პომ-ბებს, ნაღმებითა და დინამიტებით შეიარაღებულ ვებრ-ძოლებს შესცემროდენ. კომიტეტის წევრმა მათ ჯულ-ფაში მომხდარი ამბავი ამცნო, თავრიზისა და სათარ-ხა-ნის მედგარი ბრძოლა დაუხსიათა და სიტყვა იბრავიმ-ბეგს მისცა. იბრავიმ ბეგმა თავისი მომხიბლავი ენით სპარსეთის მდგომარეობა დაახასიათა და შაბის უნამუ-სო საქციელი გაეციცხა, რომ იგი ქვეყანას და ხალხს (მიუ-თითა იქვე, ნახევრად ტიტოველ ხალხზე) შიშველ ტან-საც რომ ვერ ფარავს და ფეხშიშველი დადის უცხოე-ლებზე ჰყიდისო ხალხში ტირილ-ქვითინი ატყდა. მერე ორატორმა განთავისუფლებულ სპარსეთში მრეწველო-ბა-ქარხნების გახსნისა და ქვეყნის აღორძინების შესაძ-ლებლობა დახატა, საპონ-სანათო და სხვა საჭირო ნივ-თები აქვე გაკეთდება და მით ქვეყანა გადახალისდება, დაცულული და დაავადებული ცხოვრება აყვავდება, პირდალებული ხალხი მშობელ მამასავით შექურაბდა სიმართლის მღალადებელ იბრავიმ ბეგს და აი სალოლ, აი მაშალა, იახოშ, იძახოდენ... ბოლოს აღტაცებაში შე-სულ ხალხს მან გაუზიარა რომ ჩვენ გამარჯვების ძალა და იმედი რომ არ გვქონდეს, ბრძოლას არ დაცაჭყებ-დითო. თქვენ უკვე ნახეთ ჩვენმა პატარა ბომბმა ჩარან-დაში მტერი როგორ დამარცხაო. თუ ქვეყნის მოლალა-ტეები არ დაგვნებდენ, აი, ამ დიდი ბომბებით და ლინაში-ბით ვიბრძოლებთ და დავამარტებთ. აქ არის ამ გა-



ნანთავისუფლებელი ბომბების მკეთებელი, ჩეუნია-სალუსტი ხის საყვარელი გურჯი, რომელიც სუჯაი-ნაზიმმა და გრიგორი უკვევა, მარა ხელიდან გაუსხლტა და მისი შემწელით ჯულფა გავანთავისუფლეთო.

ხალხში „იაშასუნ გურჯი“ ძახილი ატყდა, ყველა ჩემს დანახეას ლამობდა. ცხადია, მშევნიერად ნათქვაში სიტყვა დამატებას არ თხოვლობდა, მარა მე მაინც ინსტიქტით „დროვზე“ შევხტი, „ბოჭქა ბომბს“ შეეიცა-რული ტანისაცმელით მივეყუდე დ ხალხს საბრძოლველად მოუწოდე. ჩემი სიტყვები უკვე აღარ ისძლდა, — ხალხი გულმოლგინებით ყეიროდა: გურჯეს გუმბარჯოს! თავისუფლებას გაუმარჯოს! სათარ-ხანს გაუმარჯოს! და შახს წყელვა-კრულვას უგზავნიდა...

იმრავიმ ბევრის პირით, ხალხს მოედანზე დარჩენა კოტოვე. მათში ათი ლონიერი ვაჟაცი აეარჩიე და ს:ნდროვეშაგურთან ერთად იქვე აბლოს, გორის კლდიან ფერდობზე ავიყვანე. კლდის ძირში ერთ თუჯის დოქტორ ვაკე-თებული ბომბი შევეღვი, ზედ ყმაწვილებმა კლდის დიდ-დრონ-დიდრონი ნატებები დააფარეს, გრძელ ფითილს პაპიროსის ცეცხლი მივადევი, აშუმხუნდა, იქაერთობას სწრაფად გავსცილდით, საიმედო ალაგას გადაეცედით. ბევრი აღარ დაუყოვნებია, ბომბმა იქექა, იქუხა, გაღმა მთებში გაირახრახა, რეაქციონერების სახლებს გაღასძანა, მთელი მიღამო შეანძრია, შეანზარზარა. დაპტერული კლდის ნახეთქები ძირს ხეობას თავზე გადააყარა. ბომბის ხმის სიძლიერით გაოცებული ხალხი ყიეინითა და იაშასუნ გურჯის ძახილით მთას მოაწყდა. დიდი და პატარა გაკვირვებას ველარ მალავდა. მოლები—„დიდ არს ალლახ“—იმ, თეალებ აპყრობილი ზეცაში იხედებოდნენ. ხალხი დარწმუნდა, რომ რაღაც საკვირველი მხი ნელი ძალა მოევლინა და სულიერად რევოლუციის მხარეზე დადგა. დიდ საყვაეში შეგვიპატიქეს, ცხვრითა და ფლავით გაგვიმასპინძლდნენ, ყავა-შარბათით დაგვატებეს...

დაბა ქალაქის გამვე პირები აირჩიეს. კომიტეტის წევრი მათთან ერთად ქალაქის საქმეებს განაგებდა, ჩეენ დავ



ბინავდით. შტაბი გაემართეთ, ადგილობრივი მალული შეიარაღებული ხალხი შემოვიერთეთ, მათ შორის ხსმა- ლეთიდან გამოქცეული ერთი ოფიცერი აღმოჩნდა. 17 შეიარაღებული მებრძოლი გაეხდით. იბრაგიმ-ბეგი მთა- ვარსარდლობდა, ალი ჯაფაროვი მას ეხმარებოდა, ოს- მალო ოფიცერი ჯარის გაწრთვნას ეწეოდა. იარაღში ჩამჯდარი მოლა ჰაფის ეფენდი, ყორანისა და თავისუფ- ლების შეთავსებაზე ხალხს შარიათის განმარტებებს ა- ღლედა. სანდრო და არშაკა ბომბ-დინამიტების დამზა- დებას ხელშძლვანელობდენ, ყველა კი ჯულფიდამ გამო- სულ კომიტეტს ემორჩილებოდა.

ვაკერებმა პური, ჩაი და შაქარი, სოფლელებმა ცხერე- ბი და ხილი მოვიტანეს. ერთ კუთხეში არსენალი გავაწ- კეთ, ზედ დარაჯი დავაყენეთ, ქალაქში შემოსავალი გზები დარაჯებით გავეარით. ფხიზლათ გაეაზრნეთ. დილას დარაბანდის ხმითა და ოფიცირის კომანდირობით ჩაეხი ჯარი ჩამშეკრივდა. კომიტეტის წევრების (ოვო- ლუციუონური მთავრობა) სალამზე, რევოლუციონური ლოზუნებით მოგვცეს პასუხი. ზარისა და საყირის ხმაზე ხალხი მოგროვდა, ქალაქი გაიჭედა. გვარობის ნა- წილი შტაბში და გზის მეთვალყურეთ დაეტოვეთ. ბარაბანითა და საყირით, ბომბებითა და ნალმებით სოფელ გერგისქენ გავსწიეთ, სადაც დიდ სასახლეში ამ კუთხის ბატონ-პატრონი, რეაქციონერი ხანი, პოლკოვ- ნიკი იჯღარ-ლაშქარი თავისი ამალით ცხოვრობდა. სო- ფელში ჩვენ სიმღერითა და ყვირილით შევიჭრით. შე- შინებული ხალხი, ზოგი გარბოდა და ზოგიც გვიერთებო- და. სასახლის ეზო ბანიანი სახლებითა და საყარაულო სიმაგრეებით იყო გარს შემორტყმული. გუშინდელი ბომ- ბის ხმით და დღეს საყირ-დარაბანდით და ყიეინით შეშინბულმა ხანმა კაცები გამოვიგზავნა — მე თქვენს მოსვლას სიამოენებით მოველიო.

ცივი და ნათელი დილა იყო, მზის სხივები კოჭებამდე მოსულ თოვლის აბრწყინებდა, მისგან ანარეკლი პირათლე თვალს გვიხუჭავდა. დარაბანდითა და საყირით დამფრ-



თხალი ყველები გაფიჩნებულ ხის ტოტებიდან ფრინდებოდნენ, ხანის ხშირ-ტოტებიან ხეებზე ჯდებოდენ ფაქტისერ წაწევდილნი, ხანის სასახლეს ყვაასა და ვაის დასძახოდენ-დაჩხაოდენ. მივუახლოვდით, მოვცესალმენ, ფარ-თოდ ეზოს კარები გაგვიღეს, მარა კარების მიხურვის ჟავიერ, ამხანავები კარებში ჩაჯდენ. ჩვენ თოფ-ბომბ-ნალებით შეკურვილები შიგ შევედით. გავიარეთ საყარაულო-სა დარაჯო მიწის თაღები, ეზოზე გადამგარ ბურჯ-იმაგ-რის ბანზე სანდრო სასროლი ბომბებით და მხარზე ნალმ-გადებული, პაპიროსით ხელში დაეაყენეთ, არშავა თო-ფით გვერდში მიუყენეთ.

ჩვენ გაგვატარეს ჩამდენიმე მოხვეული ბურჯ-ზალი, ყველა მოხვეულში ბომბით ამხანავს ვტოვებდით. რო-გორც იქნა მივაღწიეთ, დარბაზის კარები გაიღო და ლურჯ მაუდის ტანისამოსში გამოწყობილი, ამა წამოს-ხმული მხნე და მამაცი გამომეტყველების იჯლაო-ლაშ-ქარი ბანი შეგვეგება. ბუხრის წინ მიგვიძლვა. თუთონ დაჯდა და ჩვენც დავჯექით. ოჯახი და ამალა ფეხზე იდ-გენ, კარებთან შეიარაღებული ყორან გადაეყიდული მო-ლა აბაშიძე იღვა. ბომბითა და რევოლვერით შეიარაღე-ბული თვალებს ქორივით აყიანთებდა. წელზე ბომბითა და გაზნებით შემორტყმული იბრაგიმ ბევი კი პალ-ბალიშზე ჩამოჯდა, მუხლებით ნოხზე დაიჩოქა და წინ შემართული თოფი ხელებით დაიჭირა. მე მხარზე დინამი-ტებით გატენილი რეინის მილი მედო და ასაფეოქებლად ცეცხლმოყიდებული პაპიროსი მზად მქონდა .

იბრაგიმ ბევგმა მოკლედ აუხსნა, რომ ჩვენ სისტლის ლვრა არ გვინდა, მარა თუ არ დაგვემორჩილება. ამ გურჯის გაკეთებული ბომბით, სუჯაო-ნიზემის დღეს და-გაუცნებთო. იჯლაო-ლაშქარი ანაზღეულად შეკრთა, წარ-ბები შეკრა, მრისხანე თვალები დაგვანაზვა, მარა წამსვე თვალები დაიმორჩილა. მიხვდა მეტი გამოსავალი არ ჰქონდა ; ნაძალადევად გაიღიმა და დაგვემორჩილდა. თა-ვისიანებს უბრძანა სუფრა გაეშალათ და პურმარილი მო-ერთმიათ. თვითონ კი წამოდგა, ვერცხლის ყდიანი ყო-



რანი მოიტანა, ნახევრად ბალიშზე დაიჩიქა, ყორანი წინ დაიღო, ხელები სახეზე მიიფარა, გარკვევით რამდენიმე იოთავა სიტყვა თქვა, თვალები დანაბა და ყორანს ემთხვია. დაიფიცა რომ არ გვიღალატებდა. ოჯახი და ამაღა ფურშა-სულები უკან იდგნენ. ხანმა პურ-მარილზე მიგვიწვია, რაც შერიგების ნიშანი იყო.

იბრაგიმ ბეგმა, ხანს ფიცის პირნათლად შესრულება, სახელმწიფოსთვის ხორბალისა და ბრინჯის, და მის განკარგულებაში დარჩენილ იარალის, ჩვენ სამხედრო შტაბში გაღავზავნა დაავალა. გამოემშეიდობეთ და გუშინდელი ზეიადი ხანის მოტებით გამხიარულებულ ხალხს შევუერთდით.

მეორე დღეს იჯლარ-ლაშქარიდან ოცდა ხუთი კარანდილის თოფი და ვაზნები მივიღეთ, რამაც კველა გააკეირეა. აქაური სოფლის ოფიცრები და მთებში შეხინული შეიარალებული ხალხიც შემოვიერთდა, რაშიც დიდი როლი იბრაგიმ ბეგმა ითამაშა. ასე რომ, მთელი რაიონი ჩვენს შხარეზე გადმოვიდა.

ალი ჯაფაროვი ქალაქ ხოიზე გალაშქრებას გვიჩინებდა, მარა ჩვენი გულისყური თავრიზის გზისკენ იყო მიპყრობილი. მარანდის აღებისათვის ეემზადებოდით რომ სათარ-ხანისთვის საშუალება მიგვეცა ქალაქ სოფიანს დასცემოდა და ამით სამხედრო გზა და მისი ახლომახლო ქალაქ-სოფლები გაგვეთავისუფლებინა. ეს გაგვიადვილებდა კავკასიიდან ჯულფის საღამოენო გზით სურსათ-სანოვაგვე, იარალი და წამლები თავრიზისთვის შიგვეშელებინა. ცოცხლად დარჩენილი სპარსელი დებუტატები და პოლიტიკური ხელმძღვანელები, ანარქიით მოცულ ქვეყანაში შემოვიდებანა და მერე შახის ჩამოსაგდებად ბრძოლა აღმოსავლეთ სპარსეთში გადავვეტანა. ეს დიდ დროსა და ბრძოლებს თბოულობდა, თეირანი ჩვენგან ათასი ვერსით დაშორებული იყო და შახის დამცველი ძლიერი ძალები მას იცავდნენ, მარა საბალოო გამარჯვებისათვის სწორად ეს ჯარები იყვნენ დასამარცხებელი.



ამ ურკინისგზო ქვეყანაში არ შეგვეძლო ერთად უტოლის დასაჩუდენი სამხედრო გზა მიგვეტოვებინა და უსგადაშა ზვეტილება თავრიზს ვაცნობეთ. თავრიზში და სათარ-ხანშა ჩენი ალანი მოიწონა. ყოჩალი სულთანს უბრძანა, რეაქციონერებით გამაგრებულ ხოისათვის და მაქოს ხანისათვის გზები შეეკრა და ჯულფა დაეცვა. ჩენგა-კი მარანდას აღებისთვის მშადებასა და ახალი ცნობის მიღებამდე ალმანდარში დარჩენას მოითხოვდა. ამ სოან ერთად, თავრიზელი ქართველები და სათარ-ხანი გვატყობინებდენ. რომ ბომბის მკეთებელ გურჯის შოსაკლავად რეაქციონერებს ყოველი ზომა აქვთ მიღებული და გავფრთხილებოდით.

ცოტა მერე თავრიზიდან ახალი ცნობა მიღილეთ. რომ ალამანდარის შტაბის განკარგულებაში ორმოცდაათ, ცხენოსან მებრძოლს აგზავნიან. ბნელ თოვლიან ლამეში მათ ჩენი ამხანაგები შევაგებეთ და ალამანდარის მთებიდან შტაბში მშვიდობიანად ჩამოიყვანეს. რომლებსაც ადგილობრივი ხალხი ნათესავებივით მიეგებენ და მსურვალედ მიიღეს.

თავრიზის ბრძოლის ცეცხლში გამოცდილ- გამობრძედილი სახელოვანი ვაჟაცები პირველად ვიხილეთ. ამათ სახალხო გმირის სათარ-ხანის ხელმძღვანელობით პირველად აჯანყდენ, მტერი დამარცხეს და თავრიზის დიდებით შეიმოსეს. მივეგებეთ, თავრიზის დაცვაში მიღებული ჭრილობები დაუკოცნეთ...

სათარ-ხანი ბრძანებას გვაძლევდა, დღესა და საათს გვინიშნავდა, რომ გამოცდილ ცხენოსნების ხეუმელვანელობით და ბომბებით მარანდას თავს დავსხმოდით. ამავე დროს თავრიზიდან ძლიერი ცხენოსანი ძალა გამოიდოდა, სოფიალნი აიღებდა და მარანდას სამხრეთ-აღმოსავლეთით მოადგებოდა. ამრიგად, განთავისუფლებული ჯულფა და თავრიზი ვაერთიანდებოდა. სათარ-ხანი მართლა გენიოსი გამოდგა და ადვილად გაიგო შექმნილი ნდგომარეობა. ყოჩალი-სულთანის ჯარი — ხოს, მაქოს და სხვა საშიშ ხანებს დარაჯად დაუყენა და საშუალება



არ მისუა ჯულფაშე წამოსულიყვენ. ამით, მათ მარანდის საკენ წასასვლელი გზები მოუჭრა და ჩეენ მარანდაშე თავდასხმა გაგვიაღვილა.

სიხარულით შევუდექით ბომბების და დინამიტების მზა დებას, ხალხის დარაზმეას. გაფაციცებით ვათვალიერებდი ბომბის ფითოლებს; ესინჯავედი დანამული არ ყოფილიყო, რომ ამხანავის პაპიროსიდან ნაპერწკალი ქარმა ჩემს მარჯვენა ხელში დაჭერილ კაბსულზე დააგდო და ასფერქა. სისხლით შევიღებე, ხელი თოვივით ჩამომეკიდა, ჩავიკეცე... ამხანავები მოცვილნენ, იოდი, მარლა, ბაბბა და ბინტები ვამოიტანეს, მარა დამსხერეულ თითებს და ხელის გულს ვერაფერი მოუპერხეს. იგი მთლიანად შეხვიეს, სისხლის დენა ვერ შეაჩერეს. გულ-მკერდზე შერწყმბილი კაპსულის პაწაწკინა ნაჭრებიდან მიღებულ ჭრილობებში იოდს მცხებდენ. ბამბითა და პირსახოცით შეხვეული ხელი, სისხლით გაერენთილ ლრუბელს დაემსგავსა. მოიყენეს სოფლის ექიმბაში, ბამბა შემომაძრო, თაფლში მოზელილი წამალი დამადო, სისხლის დენა 'შესწყდა, მარა ტყივილებმა მიმატა. დრო მებრძოლების გამგზავრებას მოითხოვდა, თავზარდაცუმულმა ძალა მოვიკრიბე, სათითაოდ ყველა გადავკოცნე, გამარჯვება ვუსურვე და საბან-ბალიშებში გახევეულით „დროგით“ ჯულფაში წამოვედი და ყოჩალი სულთანის ბინაშე, ურმიის ასერიკელების საავადმყოფოში მიძავალი, ბერლინში ।წვლა და თავაუკეტული, ასევე აზრდა ცემი აღა ხანი პოვივათ ასეუაზრდა კუთი თავის როლში შეკრიცა და ევროპიდან წამოლებული საოპერაციო დანებით თავზე დამადგა. დაჭრილი ხელის გამოკლებით საბანში გამხვიდა და მაგრად შემკრეს. ფეხებზე ორი კაცი დამაჯდა. ორმაც საოპერაციო ხელი დაიკავა. ექიმმა ალარაფერს პოერიდა აშინლად დატეხილი ძვლები, დაფლეთილი ტყავი და ხორცი თითო-თითოდ ამოაცალა — ამოჭრა. უსაშინელესი ცკივილები ვიგრძენი — ვყვიროდი, ვილანძლებოდი, ვი მუქრებოდი... ექიმი ამას ყურადღებას არ აქცევდა, თავის საქმეს განაგრძობდა და ახალ-ახალ ჭრილობებს მიმატებ-



და, დაგლეჯილ ხელის გულს პატარა ფიცარზე დემოდა და დაძენძილ თითებს წმენდა, ცალ-ცალკე ზვევდა და მიმართულებას აძლევდა, გულწასულს სასუნებელი წვე-თებით მასულდგმულებდა. როცა გონს მოეედი ექიმი აღარ იყო; ტკივილებმა დამლალს და ჩამეძინა. შეორე დილას ექიმმა მომაკითხა. როცა „შეხვეულ ხელზე სისტლი ვერ ნახა, „სეირ გუტ“ კმაყოფილებით თქვა და დარიგე-ბები მომცა — ერთ კვირას ზელი გაუხსნელი დატოვეთო, მერე კი სპეციალისტთან წადიო. მაღლობა ვალავუხა დე და დამტოვა.

ექიმობისათვის თბილისში საიდუმლოდ წასვლას ვაწ კობდი, რომ სანდრო ხეესურმა ცხინი მოაჭენა, ოთახში შემოიჭრა, მომეხვია, მარანდას აღება და ჯულფა-თავ-რიზის გზის განთავისუფლება მახარა. თბილისში წას-ვლის ნაცვლად სანდროსთან ერთად ეტლში საბან მოხუ-რული ვიჯექი და თავრიზისაკენ მივქროდი. სუჯაი-ნა-ზიმის ყოფილი კაბინეტი, ახლა უკვი გამარჯვებულმა, ხელმეორედ ვნახე.

აქ ვნახე ეიდარ ხანი. იგი რუსული განათლებით იყო და ეკროპიულ ენებსაც ფლობდა., მეჯლისის, (პარლა-ნენტის) დანგრევის მერე თავრიზში მუშაობდა და ახლა აქ, იბრაგიმ ბეგთან გეგმას აწყობდა, რომ ყოჩალი სულ-თანთან დაკავშირებით, ქალაქი ხოისი და სპარსეთის მთელი ადერბაიჯანი გაენთავისუფლებინა.

მეორე დღეს თავრიზის გზას გავუდექით, გაკიცრეთ ახალ განთავისუფლებული ქალაქი სოფიანი და ალყაშე-მორტყმულ თავრიზში შევედით. მიმიკეანეს რევოლუ-ციონერების მიერ გახსნილ ახალ საავადმყოფოში. აქ ქართველი მებრძოლები ძმურად გადამეხვიცენენ და გა-მამხნევეს. ექიმ-ფერმალმა, ისევ ხელ-ფეხ გაკრულს, ჭრილობა შემიხსნეს და ხელახლა მიექიმეს.

ბალიშე მისვენებული ბან ბუხარში ცეცხლის აღს და ხან ფანჯარასთან თოვლის ფანტელებს თვალს ვადევ-ნებლი, რომ გარედან ეტლისა და ტერნების ფეხის ხმა მომეშა, კარებში დარაჯი შემოვარდა და დაიძახა — სარ-

დალი სათარ-ხანი მოდისო და კედელზე აეკრა. კველა-  
ნი წამოდგნენ, კარებში შუა ტანის კაცი შემოვიდა მაჟ-  
დის ღურჯი პალტო და ლაკიროვანი ჩექები ეცვა, მაჟ-  
ზერ გადაკიდებულს მაღალი ქუდი ეხურა, რომლის ჭვეშ  
შევარდენისებური თვალები მოსჩანდნენ. იგი ჩემი ლოგი-  
ნისენ წამოვიდა, — იაშასუნ გულჯი ლასაო, ძრიცე  
ხმით მითხრა და მომიახლოვდა. — იაშასუნ სარდარ სა-  
თარ-ხან! შევძახე. — პირდაპირ შემხედა, ამათვალიერა,  
ყოჩალ გურჯი ლასაო, გაიმეორა და სკამზე დაჯდა, სიყ-  
ყვარულობით მომიკითხა. როცა ექიმდან ჭრილობის  
მდგომარეობა გაიცნო, თქვა: მხოლოდ სიმსივნე დააცხ-  
რეთ, თორემ ეს ისეთი ავებულობის ვაფაცი ჩანს, ხელი  
მალე მოურჩებათ. მეც მოვიკითხე სათარ-ხანი და ეკრო-  
პიდან პლეხანოვის მიერ დაბარებული სალაში გადავეცი.  
ვინ არის პლეხანოვი? მკვირცხლად იყითხა მაა. განუ-  
მარტე, რომ თავისი უფლებისთვის მებრძოლი პიროვნებაა  
და თქვენ გმირულ ბრძოლის იქიდან თვალყურს აღვ-  
ნებს და იცავს მეთქი. სათარ-ხანს ჩემი მხრიდანაც მოვახ-  
სენე მისი გამანთავის უფლებელი ბრძოლის შესახებ და  
ვინატრე მალე მორჩენა, რომ გვერდში ამოუღვე და მას-  
თან ვიბრძოლო. როცა ეს აი დინ ფაშამ გადაუთარემნა,  
სათარ-ხანმა კიდევ წამოიძახა: სალულ გურჯი ლასაო,  
და მისიანებს მიმართა: ხომ ხედავთ, სხვა ქვეყნიდან მო-  
სული ამხანაგები ჩვენი თავის უფლებისთვის იბრძვიან,  
მხარის გვიკერენ და თავის უფლებისათვის ბრძოლას გვაყ-  
ერებენო, ჩვენც ამას თავდადებული ბრძოლით უნდა  
ვუპასუხებდეთო. თქვა ეს და დაგვტოვა.

შეორე დღეს აი დან ფაშამ მნახა და თაერიზის მთაერო-  
ბის შეირ გამოცემული სათარ-ხან—ბავირ-ხანის შეღალი  
მომიტანა, რითაც ომში დაჭრილებს აჯილდოვებდეს,  
თან ბრძალი და ეროვნული დროშა კედელზე დამიკიდეს,  
ორი ცხვარი და ორი ძარი ხილი და ყურძეხი სუფრა ხე და-  
მილავეს. ჩემი სიცოცხლის მეორედ მომცემი არაქელაც  
მოვიდა ამხანაგებით, მნახეს გამამხნევეს. სასიხარულო  
ცნობაც მივიღე: ჩვენებმა ქალაქი ხოი აიღეს და მისი მი-



დამოები დაიმორჩილეს. ამ ნაირად, შუა ადერბაიჯანის მდებარეობა ჯულფდან მომავალ შარა გზით თავორიზის ენჯუმენის, (მთავრობის) ბელში გადმოვიდა. ახლა დარჩის სამხრეთ-დასავლეთით ქალაქი მარალა და მისი რაიონი, სადაც ცნობილი რეაქციონერი სამაღ-ხანი ფართაშებდა, ართებილისკენ სასტიკი რახიმ-ხანი, და ზედ თავრიზის მთებში პრინცი ეინდოველი რაგულიარული ჯარითა და ზარბაზნებით იყო გამავრებული. შიგ თავრიზი საქმაოდ მოწესრიგებული იყო და ახლა სოფლებიდან და კავკასიოდან რაკი გზა გაიხსნა, სურასათ-სანოვაგის შემოტანას შეუდგა, თუმცა რეაქციონერების მიერ გაძარცულ სოფლებს ბევრის მოცემა არ შეეძლო.

რეაქციონერებს რევოლუციონერებისათვის წიხააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ; ისე დასაწყლებული და დაბერავებული იყვნენ, რომ ყველას შიშითა და კრძალვით უცქერდენ, თვალი თეერანისაკენ ეჭირათ და მის გამარჯვებას ალას ევედრებოდენ..

ასეთ დროს ახალგახსნილ ჯულფის გზით, თავრიზში მოვიდენ სპარსეთის გამანთავისუფლებელი ცენტრალური კომიტეტის წევრები, მათ შორის თბილისში მოვაჭრე საღიკოვი და სპარსეთის პარლამენტის (მეჯლისის) თავრიზელი დეპუტატი, დემოკრატების ლიდერი ზა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე თალი-ზადე. ამათ გვინახულეს. საღიკოვს თბილისიდან ვიცნობდი, თალი-ზადე კი, ევროპიული ენების მცოდნე, კეუიანი და საუცხოდ მოლაპარაკე კაცი იყო. სპარსეთის საქმეებისათვის ეცროპაში დადიოდა და ნახულობდა ყორესსა და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებს. მან გაგვაცნო სპარსეთის რევოლუციაზე და მის სახელმწიფოებრივ მდგრადრებიაზე შექმნლი საერთაშორისო აზრი, განსაკუთრებით, ინგლის-რუსეთის ინტერესები და აქედან გამოშევის მათი წარმომადგენელების და განსაკუთრებით რუსეთის საკონსულოში პატიბანოვეისა და მის ახალ მოადგილეთა შუშაობა. თავრიზში ესენი ტერიტორიალური ზელუხ-



ლებობით სარგებლობდენ და გარედან მოზღვაუსული იყოთ რეაქციონერ ხანების ბანდებს ცნობებს აძლევდნენ: თავრიზიდან სურსათ-სანოვაგე და არალი გაქონდათ, შიგნით აგიტაციას ეწეოდენ და შეთქმულებას აწყობდენ. ამ კონსულ-აგენტების წაქე-ზებით, თავრიზში დარჩენილი რეაქციის გავლენიანმა მოსამსახურებმა სათარ-ხან ბაგირ-ხანს შორის შერი ჩამოაგდეს; თავრიზის ეს ორი გმირი ერთმანეთს გადაკიდეს — გვითხრა მან. ამ ნიადაგზე კონსულების მუშაობა უფრო დაწერილებით გავიცანით.

შემთხვევით გაცივებულ და ჩემთან საავადმყოფოში მოთავსებულ ავალმყოფ იბრაგიმ ბეგთან ვლაპარაკობდი. ჩემი კრილობები შუშდებოდა, ოთახში დავდიოდი.

ერთ დილას, იბრაგიმ ბეგს და მე სათარ-ხანის „კარუტა“ მოვადგა და საავადმყოფოდან მისას გავვაქროლა, ზარბაზნებითა და მხედრებით გამაგრებული ქუჩებით გვატარეს, მიგვიყვანეს, ეზოს კარები გაგვიღეს. აქ აატარა ეზო-ბალში სათარ-ხანი შემოვევება, ბუხარით ვამთბარ ზალაში შეგვიძლვა, სადაც შეკრებილი თავრიზის პოლიტიკური ხელმძღვანელები, დეპუტატები, ენჯუმენის (მთავრობის) წევრები და მოლები გავვაცნეს. ყველამ სიყვარულობით შეგვაძლა, ტკბილად მოგვიყითხა. აქვე, ბეორე ოთახში სათარ-ხანის სამხედრო საბჭოს ბინა იყო, ოომელიც ტელეფონით ფრონტსა და მეჯლისს აერთებდა. ცოტა საუბირს შემდეგ, სათარ-ხანმა განკარგულება ვასცა და ჩვენებურად გრძელ გაშლილ სუფრასთან მიგვიწვია, რომლის გარშემო სკამები იყო შემომწკრივებული და იატაკზე ფეხებართხმულ სხდომას ავაკილებდა. ოჯახის სატოვრებელ ბინიდან თავისა შეიდი წლის ვაეკი, ხანჯალ-რევოლვერით შეიარაღებული გამოვეიყვანა და გაგვაცნო: — აი ჩემი მემკვიდრე თანაშემწერ გვითხრა და დაამატა: — როცა მტერი ძლიერ მაწუხებს ესა და ბებია მისი მამხნევებენო... სამწუხაროდ, სათარ-ხანის გმირ დედას, რომელიც აჯანყებაში შვილს იარაღს აწედიდა და, არც მის მოსიყვარულე მეულლეს,



ზნეჩეულებისამებრ, ჩვენთან ყოფნა არ შეეძლო და საუცხადო ხოვოდ გაწყობილ სუფრას მხოლოდ მამაკაცების დაუსახის სედით...

სათარ-ხანი იბრაგიმ ბეგსა და ჩემს შორის დაჯდა. იგი პატარად მოსინდა და თავისი ენა მახვილობით ოხუნ-ჯობდა: მეგობრებმა განვებ დამაჯინეს თქვენს შორის, რომ ამით ჯავრი იყარონ და ერთხელ მაინც დამაბატარა-ვონო. სასადილო მხატვრულად შესრულებული ნაპო-ლეონის სურათითა და სხვა ძეგრძასი ნიერით იყო მოკაზ-მული, რომლებიც რევოლუციონერებს მოწინააღმდეგე ხანების ბინებიდან გამოეტანათ და სამახსოვროდ სელმ-ტლანელისთვის მიერთმიათ. გარეთ, პატარა ეზო უვაეი-ლების ბალად იყო ქცეული, ფანჯარასთან ქანდარაზე შე-ვარდენი იჯდა... უხვად მორთმეულ საჭმელებში ბოთლე-ბით ლვინო ჩანდა. მასპინძელი მოლებს მოხერხებულად უხსნიდა რომ დღეს სხვა დღე იყო და ჩვენი მომშეველე-ბელი ამხანაგების ხათრისათვის ლვინოც რომ დავლიოთ ალახი არ გვიწყენსო. მათ კი შარბათს სთავაზობდა.

სადილზე პოლიტიკური ბაასი გაიმართა. ჩემი რიგი რომ დაღვა მათ დავუხსიათე, თუ სპარსეთის რევოლუ-ციის ბედს, ყველა თავისუფლების მოტრფიალე აირები და პარტიები როგორი ინტერესით ეკიდებიან, რომ მთე-ლი კულტურული კაცობრიობა თქვენ შემოგყურებს და ჩვენც ჩვენი სახლ-კარი დავტოვეთ, რომ ჩვენი, შეიძლე-ბა უმნიშვნელო ძალით, მარა მაინც შემოგიერთდით და თქვენთან ერთად ვიბრძეით. მარა გაფრთხილებთ — ყვე-ლა მხარდაჭერა, ყველა მოხმარება ფუჭად ჩაიელის, თუ თქვენ მებრძოლი სპარსელები გაუტეხელ ერთეულად არ იქცევით და თუ მტრების მიერ თქვენ შორის დაავსილ ინტრიგებს აყვებით. სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი, ეს ორი უდიდესი გმირი სპარსეთის რევოლუციისა, ერთად უნდა გაუძლვეს ბრძოლის ცეცხლით ანთებულ სპარსელებს და იგინი სრულ გამარჯვებამდე მიიყვანონ. არ კმაო მარ-ტო მხედრული სიმარჯვე, აგენტა პოლიტიკური გად უნ-და უჩვენონ განთავისუფლებულ ხალხს მეთქი. როცა



იბრაგიმ ბეგმა ჩემი სიტყვა გადაუთარებნა, სათარ-ხანი კონკრეტულად წამოდგა — მე სიტყვა არ ვიცი, ჩემი სიტყვა ჩემი ჰომეიოზითისა და ხმალიაო თქვა. აღდენ ხანს თქვენ გიძლვებოდით, ასლა თქვენ მიერ არჩეული ამდენი ნასწავლი ხალხია ენჯუ-მენში, გავიძლვენ და როგორც გვიბრძანებენ ისე მოვიქ-ცევითო. მერე მე ხოტბა დამასხა, ქება გადააჭარბა, ხელი გამომიწოდა და მარცხენა ხელი მაგრად ჩამოვაროვი...

მესამე დღეს თავრიზის ხეივანში მყოფ ბაგირ-ხანი კეს-ტუმრეთ. აქ პირველად ვნახე ეს ქვითების მაღალი კე-დელი, რომელიც აღმოსავლეთით თავრიზს არტყია და რო მელშიც ჩატანებული ბურჯ-ზარბაზნები იდგენ. ხეივან-ზე წამომდგარი ხრამ-გორები კაცის სიმაღლე სანგრებით იყო გათხრილი. აქა იქ გადაურცულ საყარაულოში დღიან ლამიანად დარაჯები იდგნენ, მთებს ჭოგვრიტებით ათეალიერებდენ და მით სპარსეთის თავისუცლებას იცავდენ..

ბაგირ-ხანი ხეივნის მთებზე გადმომდგარ მტრის ჯარს, პრინც ეინოველის ხელმძღვანელობით, მამაცად იგერი-ბ-და. სამხედრო ბანაკად გადაქცეულ ხეივნის ურა-ერთ სახლში ჩენ აგვიძლვენ მაღლა სართულში, რომლის გრძელ აივანზე მაღალი, შავი, წარბ-შეკრული ჭრიცე სახის გამოშეტველი, მხლებლებით გარშემორტყმულ — ბაგირ-ხანი შეგვედა, უბრალოდ, მარა თავანიანად მოგვესალმა. ბაგირ-ხანი მხლებლებიდან ისე განირჩეოდა როგორც კურო ხარი ჯოგში და მე ის კიბეზე საცლამ-დე გავარჩიი...

როცა ჩენ ერთმანეთს მიეესალმეთ, მიუხედავად გარეგ ნული მისი თაედაჭერილობისა და ადგილობრივ ადათ-ჩევეულებისა, მე მაინც გადავკონე, როთაც მის შილე-ბელ მოლებში უხერხულობა გამოვიწვიე...

ჩემი საუბარი აქაც ბაგირ-ხან — სათარ-ხანის შორის შერყეული მდგომარეობის განმტკიცაბა იყო და მათ გარ-შემო შემოქრებილ გავლენიან მებრძოლ პოლიტიკურ შოლვაწეების გულისყურს აქეთ ვაჭცედი. ორივე გმი-



რის ძმურ მოქმედებაზე და თაერიზის ენჯუმენტის კარგულების ასრულებაზე ვუთითებდი.

სათარ-ხანს ეუბნებოდენ: ბაგირ-ხანი რა ხანა? ის ქვის მთლელი მუშაა, რა შენი საკადრისია, შენთვის სირ-ცხვილია, რომ ისიც ხანად და სარდლათ იწოდებოდეს. მათ შორის კავშირის გაწყვეტას ლამობდენ.

ბაგირ-ხანს აქეზებდენ: სათარ-ხანი გუშინდელი ყაჩალია, მოქეიფე, ლვინის მსმელი, მთელი ქონება მან ჩაიგდო ხელში, სახელი და დიდება მას აქვს, ნამდვილ სარდლად ის იწოდება, ენჯუმენი მას ემორჩილება, ნახევარ თაერიზს ის განაგებს, როგორც მას უნდა, მოელი გურჯები მასთან ცხოვრობენ, მათი ბომბებით გაეცით ბულ სახელს ის ითვისებსო.

ასეთ ხმებს ავრცელებდენ რეაქციონერები, რუსი კონსულების შემწეობით და ორ თავისუფლებისთვის შებრძოლოთ ერთმანეთს ჰკიდებდენ...

მე შევეცადე ბაგირ-ხანი დამერწმუნებია იმაში, რომ ევროპაში სათარ-ხან, ბაგირ-ხანი თანაბრად უყვარდენ. ჩვენი დიდი კომიტეტი. რომელმაც ასეთი ბომბებით შეიარაღებული ხალხი გამოგზავნა შათ მიერ დაწყებულ ბრძოლის დასამთავრებლად, და შახის ჩამოსავდებად, ეს კომიტეტი სათარ-ხანს და ბაგირ-ხანს ერთხაირად უყურებს. თქვენ თუ ერთმანეთს გადაეკიდეთ, თავრიზი ორ ბანაკად გაიყევით, ენჯუმენს არ დაუჯერეთ. მათ საერთო განკარგულებას არ დაემორჩილეთ, თქვენ მტრის გასახარებელ საქმეს იზამთ. საქვეყნო საქმეს წახსდენთ, საშვილიშვილოდ შერცხვებით.

ბაგირ-ხანის კრებულ მხებლებიდან ხშირად მესმოდა: „მართალს ბრძანებს გურჯი, სწორად ამბობა!“...

რამდენიმე დღის შემდეგ, მე მიმიკანეს ენჯუმენში, სადაც სამხედრო საბჭო იყო შეკრებილი. სათარ-ხან და ბაგირ-ხანის თანდასწრებით მე მათ სხდომას დავესწარი და როცა ოფიციალურად მომესალმენ, მე ჩემს სიტყვაში თავრიზის ბრძოლა, სათარ-ხან ბაგირ-ხანის გმირობა აღვნიშნე და ორთავეს მოუწონე, რომ მათ ცეუგ-



ნიათ დიდი ისტორიული როლი და თაერიზიდან მტრის განვითარების შემდეგ ენჯუმენის უმაღლეს განკარგულების ქვეშ დამდგარან და მათ თაერიზში უდიდესი რევოლუციონური წესრიგი აღუდგენიათ, ეს მოქმედება და შეგნება მე იმედს მაძლევს უფრო განმტკიცდება და მალე მისი გავლენით და სათარ-ხანის და ბაგირ-ხანის მებრძოლთა ხელმძღვანელობით აღმოსავლეთ სპარსეთში გადავალთ და შახი დაემხობა, განაწამები სპარსეთი, ძველი კირისის ქვეყანა — ირანი განთავისუფლებული — კაცობრიობის წინაშე წარსდგება. მე ბელნიერი ვარ, რომ გმირ თაერიზის უზენაეს რევოლუციონურ ენჯუმენში ვარ, სადაც შეკრებილია ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენელები და მისი სახელოვანი სარდლები სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი...

სამხედრო საბჭოში შევდიოდი და დაშნაკუკავან რომ ზორიანთან ერთად ბომბებისთვის საჭირო მასალის შეძენის და მისთვის საჭირო ხარჯების. საერთო კომისიის წევრებთან ერთად ვამტკიცებდით.

1908 წლის იენისში აჯანყებულმა თაერიზმა კავკასიის მთავარი გზა ჯულფიდან ხელში ჩაიგდო, თითქმის უმთაერესი დასავლეთი ადერბაიჯანი დაიკავა, თვით თაერიზში და აღებულ ქალაქებში წესრიგი დაამყარა, რომ სამათ-ხანმა იერიში მოიტანა და ზედ თაერიზის კარიბებს ახლო-მახლო კედლებთან ბრძოლა გამართა. მთელი თაერიზი ქალიან-კაციანა მებრძოლ ბანაკათ გადაიკავა. ქალები—ვაჟეკაცებს სამხედრო იარალით შემოსვაზე ეხმარებოდენ, სახელდახელოდ საჭმელს უმზადებდენ, საბრძოლველად ისტუმრებდენ, ბავშვებს, დაჭრილებს, ავადმყოფებს უცელიდენ...

ენჯუმენიდან იმ წამსვე, სათარ-ხანი თავის რაზმით, საიძელო პირებით და თანშეზრდილი ქურთებით გარშემორტყმული ბრძოლის ველზე მიიჭრა, ქალაქის კედლები გაამავრა; მტრის მდგომარეობა და ზრახვანი თავის შიკრიბით გამოარკვია. აჯი-ჩაის ხიდის და თაერიზის გზისკენ რაზმები და მცველები წინ წასწია, ცრეოსანი



მზევერავები დაგზავნა, რომ მტერი მოულოდნელად შეაორე მხრიდან არ შემოჭრილიყო. ბაგირ-ხანმა ჩეკენის მთისკენ ზარბაზნის ცეცხლი ვახსნა და მით ეინდოველის ჯარი თავის ბანაკს მიაკრა. მთიდან მომავალი ბილიკები, ხრამები ფარული რაზმებით გაკრა...

ენჯუმენი და საშეცრო საბჭო საჩქაროდ შეიკრიბა, მდეომარეობას გაეცნო, ტელეფონებით მოელ თავრი-რიზის გარშემორტყმულ სადარაჯოებს შეუერთდა..

ჩევენს ბიუროდან წითელი დროშის ქვეშ დარაპეტული ქართველების რაზმი, სიმღერით ბრძოლისკენ გაეძართა, ბომბებით ჩანთა გადაკიდებული, ყიუინით მიღიოდენ, ეუჩაში გამოფენილი ხალხი „იაშასუნ გურჯის“ ძაღლით წვდებოდა, შეიარაღებული ჯარი მათი ხილვით ტბევ-დებოდა, ბრძოლისაკენ მიისწრაფოდა. სპარსელებმა ჯარში სიმღერა არ იცოდენ. მხოლოდ კავკასიელი თათ-რები, არსენა ჯორჯიაშვილის ლექსი, თათრულ-ჯართუ-ლად, თბილისის კილოზე მღეროდენ.

თოვდა, თბილი დილა იყო. მოელი ბალხი თავისი უცლების დასაცავად თავრიზს ჩაალიოთ გარს შემორტყმოდა. ეუჩებში შეიარაღებული რაზმები, მთიდან მოვარდნილ ნიალვარსავით მიედინებოდა — მიილტვოდა. პირჩამოფა რებული დედები, თავიანთ შეილებს ლოცავდენ, დიადი საქმის დასაცავად აცილებდენ.

მე და იბრაგიმ ბეგეს, სათარ-ხანის „კარეტით“ სამხრეთ-დასაცაველეთისაკენ მიგვაჭროლებდენ; ორი შეიარაღებული მხლებლები წინ კოფოზე გვეჯდა და ხალხი „იაშასუნ გურჯის“ ძახილით მიგვაცილებდა. ჩევენ გავჩერდით მა-ლალ კედლებით შემოვლებულ დიდ ბალთან, რომლის კედელი ფართოდ გადანგრეული იყო და თოვლზე დარაზ-მული ჯარი საომრად ეწყობოდა. სათარ-ხანი სარდლობდა. „იაშასუნ გურჯის“ ძახილით მოგვეგებენ. ჩევენ ია-შასუნ-მილათ! იაშასუნ-ჟიცი! იაშასუნ სადარ სათარ-ხან! შევძახეთ.

შეიარაღებულ გმირებს ჩუსულად მიემართე: „თქვენი სახელი შორს გაისმის, მოელი ქვეყანა თქვენს საარაკო



გმირულ ბრძოლას თვალს ადევნებს. დღეს მტერი გათხოვთ კანკალენი მამდა, თქვენ საყვარელ თავრიზშე, სპარსეთის რევოლუციის დროის გულშე ერიში მოიტანა, მაგრამ სულ რამოდენიმე საათში ნახავთ, მათ თქვენს მიერ უკან გამრუხებულს და მათი სისხლით, თოვლით მოსილ ველებს შეღებილს! არ არის სპარსეთში ისეთი ძალები, რომლებიც თქვენს სამართლიან ძალას წინ ალუდგეს. შახი, ხალხის სისხლის მსმელი რეაქციონერები თქვენით უნდა დაემხონ. ტანჯული, წამებული სპარსეთი თქვენით უნდა განახლდეს, დიდებით ალდგეს, გაუმარჯვოს თქვენს სახელოვან ბრძოლას! გაუმარჯვოს თქვენს გმირს სათარ-ხანს. კური თხეულ იყოს თქვენი შშობელი სახელოვანი სპარსეთი! „იაშასუნ ფიდაი!“ დაესჭიქვ, როცა იბრაგიმ ბეგმა თავის მძლავრი მელავები გაშალა, მისი მძლავრი ხმით და ტებილი ენით მისებურად, თავისუფლად გადაუთარებნა...

სათარ-ხანი მაგრად მაჩუქენა ხელს მართმევდა, სალოლ გურჯი ლასა მეუბნებოდა. ჯარი — იაშასუნ გურჯი გაიძომდა. იბრაგიმ ბეგი აცრემლებული მეხვეოდა.

ჩენი ჯარი დასებათ დაყოფილი, დანაწილებული თავის მეთაურებით ბალებში და ჭალებში გაიშალა შუა ჯარი დაიძრა, მათ ბომბებით ქართველი რაზმი მიუძღვდა.

ბაღა : ე კედლებიდან, წინ გადატანილი, პატარა წათხ დიუმიანი ზარბაზნების ცეცხლი ჯარს წინ უძლოდა; მტერს თავზე ასკდებოდა. უკან დაშნაკელების რაკეტები, როსტომ ზორიანის ხელმძღვანელობით, შეუილით ჰაერს მიაპობდა. სათარ-ხანი თავის რუს არაბულ ცხენზე თორმეტი მასთან შეზრდილი ქურთებით, რვა ვერსის მანძილზე გაშლილ ფრონტზე დაქროლავდა - - სადაც გაჭირვება იყო იქ მიიჭრებოდა...

მე და იბრაგიმ ბეგი ვიდექით ერთ მაღალ ადგილს დადგმულ ზარბაზნების ახლოს, რომლებიც მმურად, ბოხი ხმით ერთი-მეორეს ეცილებოდა და მტრის თავზე სკდებოდა, და აქედან ვათვალიერებდით გადათეთრებულ მიღამოებში წარმოებულ ბრძოლას.



სალამოს მტერი უკუგდებულ იქმნა, რომელმაც შეისრულა გორებზე გაშენებულ სოფლებს შეეფარა და აუსარებელი მოკლული და დაჭრილი დატოვა ბრძოლის ველზე. ჩვენები წინ წაწეულ სანგრებში გამაგრდნენ...

მთაეარი ჯარი თავრიზის სიმაგრეებში დაპრუნდა. ტყვეები ციხეში ჩამწყვდიეს, დაკითხეას შეუდარენ. ენ-ჯუმენი და სამხედრო საბჭო სათაბიროდ შეიკრიბა, ჩვენი ამხანაგები ბიუროში მოგროვდა, დაჭრილ-დაკარგული არავინ იყო, მორიგი მცველები დატოვენ და დასძინებლად წავიდენ.

ამის შემდეგ იბრაგიმ ბეგი ჯარების ხელმძღვანელად იქმნა დანიშნული ხოს რაიონში.

გავიდა რამოდენიმე დღე, მდინარე აჯაი-ჩაის წილს გაღმა, დილა აღრიან მტრის რაზმი შემოეპარა თავრიზის მიღამოებში და მწყემსებს—მეჯოგეებს ცხვარი და საქონელი მოსტაცეს-გაირეეს. ცხენოსანი რაზმები გამოუდგენ, თვითონ სათარ-ხანი ეტლში ჩაჯდა, წე გვერდში მომიჯინა, წინ ყვირილელი მერქვილაძის რაზმი მიგვიძლოდა. სათარ-ხანი გასაფრენად გამზადებულ ქორ სავით იჯდა, თვალებს აკიათებდა, მტერს დაეძებდა. ცოტა ხნის შემდეგ, ქურდულად მომხდურმა ყაჩალებმა საქონელს თავი ანებეს, რამოდენიმე მოკლულ-დაჭრილი დასტოვეს და მოჰკურებლეს.

რამოდენიმე დღის შემდეგ, ეინდოველმა მოახერსა რა მოდენიმე რაზმით, რუსის ოფიცირების ხელმძღვანელობით მთებიდან სამაღ-ხანის მიშველება და თავრიზის გასაცარცვავად გამრიცვებულ ქურთ მთიულების საშუალებით — გამთენის, სამხრეთიდან, მთებიდან ძირს დაშვება, ჭალებ-ბალებით სანგრებში შემოჭრა და ერთი კუთხე სიმაგრეებისა ხელში ჩაიგდო. ჯერ კიდევ გაოენებული არ იყო, რომ სათარ-ხანი თავის მამაც რაზმით მტრის ალავას მიიჭრა, — მდგომარეობის გამოიჩვევას შეუდგა, რომ ჩასაფრებულმა და თავრიზის ბალის კედლებში შემოპარულმა მტერმა, სათარ-ხანის მცირე რაზმით იქ ყოფნა გაიგო და გარშემო მიწურ



კედლებთან ორთავე მხრით გზის მოჭრა მოინდომა, სასწავლებელი რიყი იქრიშები მოიტანა და სათარ-ხანის ცოცხლად უძინავდება ჰერი სცადა.

სათარ-ხანი მტრის ვერაგობას, თავის გამჭრიახი გონებით მისედა, ორთავ ფრთები ვაამავრა.

თავრიზიდან ტელეფონით გვაცნობეს, აქ ვავრცელებულია ხმა, თითქოს სათარ-ხანი მტრმა ბალებში მოამწიფდია, ალა შემორტყმულია, ვინ ხართ კაცი უშველეთო.

ამ თავზარდამუმშა ამბავმა ელევის სისწრაფით მიეღლი თავრიზი მოირჩინა. რევოლუციონური თავრიზი ცეკვებზე დადგა, სათარ-ხანის და მით მთელი თავრიზის დასახსნელად სამხრეთით დაიძრა. ჩვენ ტელეფონით გაღმოგვცეს ჯურჯებო გვიშველეთო.

ჩვენ სახელდახელოთ იარაღი ავისხით, ბომბები ჩანთებით გადავიყიდეთ და სირბილით თავჭუდმოგლეჯილი ჩვენი საყვარელი სათარ-ხანის დასასხნელად გავჭიეთ.

ერთ კუთხეში ეილაც კარეტით მიმავალი, მდიდრულად გამოწყობილი კაცი შეგვხდა, გავაჩერეთ; ზრდილობიანად ეტლის დაომობა ეთხოვთ, მან თავი არ შეიწუხა, მეტ-ლეს წინსელა უბრძანა, ჩამოავდეს ეს მხეცა და ჩაესხდით შიგ... ვაჭარი თუ ხანი დაშინდა, ჩვენ წინ მუხლის თავებზე დაეცა. ჩვენ მისთვის არ გვეცალა და შემთხვევით ერთად მყოფნი შეიღი ქართველი ეტლით სამხრეთით, ბალებისკენ გავექანეთ, საიდანაც განუწყვეტელი სროლის ხმა იქაურობას აყრუებდა, ჩვენი ეტლი მიქეროდა თავრიზის განაპირა ბალებში. მიახლოვებისას მოკლე გზით ფეხით გავყევით თხრილებს; გზაში შეშინებული ჯარი უკან გარბოდა, მეთაურები მათრახებით და ჯოხებით წინ მიერეკებოდენ, სათარ-ხანის დაჭერით არცხენდნენ, ჩვენზე უთითებდენ; გურჯები ბომბებით მოვიდენო, — ამხნევებდენ. შეიარაღებული ხალხიც თავრიზიდან სათარ-ხანისკენ გამორბოდა,

ჩვენ მივადექით თიხის კედელს, რომლის ორთავ შხარეს რაზმელები იცავდნენ. შორს, ბალის ბოლოში, პირდაპირ, გავლებულ კედელზე რამდენიმე კაცი იყო მიმდგარი თო-



ფეხით, რომლის შუაში, მაუდის პალტოში დაჟუციულა  
ყაბალახით თავშეკრული სათარ-ხანი თავის გერმანული თოვით  
სროლილობდა,— ორთავ მხარეს რაზმს ამხნე-  
ვებდა. ჩვენ სათარ-ხანის ამ მდგომარეობაში ნახვამ ავან-  
თო. კედელ-კედელ გავეკარით, შორი მანძილი გადვირბი-  
ნეთ, სარდალს მივაშურეთ. „იაშასუნ სათარ! ზარილი  
იოხ დიერ სარდარ!“ შეეძახეთ. სათარ-ხანმა ჩვენს სმაზე  
მოიხედა, მიწურ კედლებიდან გადმოყრილი მტერი ყა-  
ბალახიდან ვადიყარა. პირ-სახე და თვალები იღავით  
მოიწმინდა, გალიმებულმა შემოვვხედა, თვალები იძედით  
გაებრწყინა, მთელ მის რკინისებურ და მტერიან სახეს  
სიხარულის ელფერი ვადაეკრა. „აი მაშალა გურჯუ: სა-  
ლოღ ლასა!“ დაიძახა.

ვინტოვკებით შეიარაღებულმა ბიჭებმა ტყვიები სეტ-  
ყვასავით დააყარეს ყიეინით და სტენით ბრძოლა გააჩა-  
ლეს. რკინისგზის სახელოსნოს ახალგაზრდა მუშა კიქტორ  
ჯიქიძეს თოვზე გაეკეთებული სასროლი ბომბები ვადავე-  
ცი, რომელმაც თავისი გრძელი მკლავები გაშალა, ბომბი,  
წინ კედელზე მოწოლილ მტრის საფარში ჩააგდო, საში-  
ნელი სიძლიერით ვასკდა, იქუხა, დაჭრილების ღრიალი,  
ქართველების წყველა-კრულვა გაისმა. მეორე კედლიდან  
ახალგაზრდა კოლია ვაბუნიამ, დიდი მრგვალი ზარბაზ-  
ნის ყუმბარა დინამიტით ვატენილი და პაპიროსით ცუცქ  
მოკიდებული, მაღალ კედლიდან მტრისკენ გადისროლა,  
საზარელი ხშირ გავარდა, მტრის რაზმი გააყრუა, შისმა  
ხმაშ მთელი არე-მარე შეაძანდარა. ამას მიჰყვა ვაზტოვ-  
კების და მაუზერების განუწყვეტელი ცეცხლი, ანთე-  
ბული დინამიტების თოვით ხშირი სროლა, და კელავ  
კედლის კუთხეში იქუხა და დაიზრიალა ხუთგირვანქიან-  
მა ბომბმა, რომელსაც მოჰყვა მტრის წინა კედლებზე  
მომდგარ დაჭრილთა ღრიალი, — ყვირილი: „აფარ  
ყარდაშ დეზოლ შეითან გურჯი ვაილარის“, ქახილი.  
არიქა ჩქარა თაქს უშველეთ, ქართველები მეხს სროლი-  
ლობენო, — შეიქმნა ძახილი და სათარ-ხანის დასაჭრად  
კედლებზე მოწოლილი თავგამეტებული რაზმები შეინძრა.



„ვერ წინვალთ თქვენ მამაძალლებო!“ იყვირეს ლეჩხუ-  
მელმა მეპურე ილიკომ, მერკვილაძის რაზმელმა სუშონაშ  
და ვინტოვების სროლით, ყიუინით გაყვენ ვიქტორი ჯი-  
ქიძეს, რომელმაც თათრული ვარანდილის დიდი თოფით  
ცეცხლი გახსნა.

მტერი თავდასსმიდან მალე, დავდაცვაში ჩააყინეს.  
ამ დროს სწორედ როცა სათარ-ხანი სროლულობდა,  
მტრის მიერ გამოსროლილ ყუმბარამ კედელი გაღმოანგ-  
რია, სათარ-ხანი მიწის კედელმა დაფარა, საბეჭდიეროთ,  
ყუმბარა შრაპნელი არ აღმოჩნდა, ჩვენდა ბედათ არ გასკ-  
და იქვე თოვლში და ტალახში ეგდო. იმ წამშივე, რა წამ-  
საც ყუმბარა სათარ-ხანთან დაეცა, მასთან შეზრდილებ-  
მა, თორმეტამდე, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულმა  
ქურთებმა სამლეოთო ოში გამოატადეს. ხელათ ფეხზე გაი-  
ხადეს, მუხლებამდე დაიკოტავეს, გულმკერდი გადაიღე-  
ლეს, წელზე შემოხვეულ აბრეშუმის სარტყლებში დამ-  
ბაჩები, სატევრები გაიმაგრეს — ერთი „იალაო“ შეჰყვი-  
რეს, ლომებ ლრიალით და სროლით ჩვენი ბიქების გვერ-  
დით მიიჭრენ, წარმოუდგენელი იერიში მიიტანეს, და  
მტერს მეორე პოზიცია წაართვეს...

ჩვენი ბალი და გარშემო მდებარეობა თავრიზიდან მოზ-  
ლვავებულ მხედრობით გაისკო. ბალის კედლებთან ახალი  
მსროლელები გაჩნდენ. ჩვენ თავზე თავრიზიდან მოტანილ  
ზარბაზნების ყუმბარებმა შრიალ-შხუილით გადარარა,  
თავრიზის სიძლიერის ხმა მტერს, მის თავზე გასკდომით  
აგრძნობინა.

აგერ, მოიჭრა სომხების მოწინავე რაზმი ქურთის სელ-  
მძლვანელობით, რაზმი მოხდენილად გაიშალა. გვურდით  
შემოჭრილ მტერს ტყვიის ცეცხლი გაუჩინა. პირველი  
პოზიცია წაართვა; უკანა ბალის კედელზე დააკეთინა,  
საიდანაც როსტომა ზარიანმა რაკეტებით ამოყარა...

სწორედ ამ დროს, ეინდოველებმ სასტიკი იერიში მოი-  
ტანა აღმოსაცლეთ თავრიზზე; ხეივნის გორებიდან ზარ-  
ბაზნები დაუშინა, მარა ბაგირ-ხანი მხნეთ დაშვდა, გორებ-  
ზე დადგმულ ზარბაზნებიდან უპასუხებდა.



სამხედრო საბჭომ მიხვდა, რომ თავრიზზე მერიშები უკველმხრიდან დაიწყო, რომ ის წინასწარ მამხედრო გეგმით იყო შედგენილი და ცხენოსანი რაზმით ჯულფი-დან მომავალი სამხედრო გზა გაამაგრა, დასავლეთით შდინარე აჯა-ჩაის ხიდთან, საღაც სათარ-ხანის რაიონი და სასახლე იყო, შემდეგ შუაქალა და ამნაირად თავრიზი შემოქალტა და უმთაერესი ძალა სათარ-ხანს მიაშეკვლა.

სამხედროთით მამაც სალხს ებრძოდა სამაღ-ხანი და ეინ-ველდეს მიერ გამოგზავნილი რუსის ოფიცირობა და ცდი-ლობდა ფრონტის გარღვევას.

სათარ-ხანის ფრონტს დასახმარებლად შიდა თავრიზის ძალები მოაწყდა. მთელი თავრიზის ხალხი, ენჯუშენის მეთაურობით, თავშეხვეული სეით-მოლებით, სამხედრო მუსიკით, — „სიკვდილი მტერს!“ „გაუმარჯვოს სათარ-ხანს!“ ძახილით, ყიუინა, სტევნით მოზღვავდა. მებრ-ძოლნი აღაფრთვანა; სანგრებიდან შეტევაზე გადაუიდა, მტერს ეკვეთა. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა, დაჭრილ-თა კენესა-ლრიალი, მტრის ხელით შეპყრობა — თმით ქიჩა და ჩვენ სანგრებში მათი მოთრევა.

ბალში ამ ღროს დაღვეს ფანჩატურები, შიგ ფიცირები დააგვეს და დაჭრილებს აქ პირველ დახმარებას უშევდენ, სანამ საავადმყოფოში გდაიყვანდნენ...

უცემ თავრიზიდან, როგორც გრიგალი რამოდეხიმე ასი ცხენოსანი მოპქროლდა, მოწინავე რაზმს დიდი ღრო-ზა მოპქონდა — მხრებზე ორკაპი თოფები ქონდათ, იმო-ლებული ხმლები მზის სხივზე ელვარებდენ, სტევნა ყიუი-ნა შორიდან ისმოდა, ბალ-ჭალებიდან ბრძოლის ველზე შეიქრა, უმოწყალო ხოცვა-ჩეხვა და ულეტა შეიქნა.

ყიუინა, სტევნა, ყვირილი, ზარბაზნების გრიალი, ბომ-ბების ქუხილი, რაკეტების ჰექა, ტყვიების ზუზუბ-წივი-ლი ერთმანეთში აირია და სპეტაკი თოვლით დაცენილი ველი წითლად შეიღება. ბალებში შემოსული და გასავრე-ბული მტერი შედრკა, უწესრიგოდ უკან დაიხია.

გამარჯვებული ჯარი გაშლილ მინდორზე იყრიბებო-და, თავრიზიდან მოზღვავებული ხალხი მუსიკით ეგებე-

ბოდა, თეოტ ცხენზე მჯდომარე სათარ-ხანი იღიამებადა, ინგლისელი „დეილი მეილის ახალგაზრდა, მაღალი ლა-მაზი კორესპონდენტი და ამერიკელი მასწავლებელი სა-ხელოვან ჯარს და სათარ-ხანს გამარჯვებას ულოცადენ.

ჯარს თავრიზში ხალხი მუსიკითა და „იაშასუნის“ ძა-ხილით შემოუძლვა და მოელი დღის ნაბრძოლი ტკბილად მოასვენა. ამ დღეს კი, ბაგირ-ხანში თავის მამაცი ბრძო-ლით შახის ჯარი მის ბანაკს მიაკრა.

ქართველების გავლენა და სპარსელებისაგან ჩვენი სიმპატია დიდი იყო, და ეს აიხსნება არა მარტო პირვე-ლად ჩვენი ბრძოლაში ჩარევით და დაქვარებით; ბომბე-ბისაგან „სასწაულის“ მოხდენით და გმირულ თავდადე-ბით, არამედ იმითაც, რომ ჩვენი ინტერნაციონალური, ძმობა—ერთობის მაღალი იდეალით მოქმედებითაც...

1909 წლის ზამთარში, აქ მყოფ ქართველებმა ვიდლესას წაულეთ ჩვენი სახელოვანი პოეტის აკაკის იუბილუ და თბილისში იუბილიარს დაპეშა გაუგზავნეთ. გაზიოებში წერილები მოვათავსეთ... სპარსეთის ბრძოლის აშები, ყოველ შეტაკების შემდეგ, მონაწილეთაგან იწერებოდა, ამხანაგებში იყითხებოდა და იგზავნებოდა თბილისში.



1908 წ. იენისში დაიწყო თავრიზის აჯანყება და მხო-ლოდ 1909 წლის იანვარს მოახერხეს შეთქმულებმა შახის სასტიკი რეაქციის გარღვევა, ბრძოლის დაწყება და ქალაქ რეშტის ხელში ჩაგდება. ქალაქი რეშტი, კას-პიის ზღვის ნავთ-საყუდელ ენზელთან 25 ვერსით დაშო-რებულია. ამ ქალაქში რევოლუციონერ მოლასთან და ბე-აზ სულთანის ძმებისას იმალებოდენ, სპარსეთის რევოლუ-ციონურ გამანთავისუფლებელ კომიტეტის მიერ გადაყვა-ნილი ჩვენი ამხანაგები: თუშ სერგო გურჯის და სილო-ვანის მეთაურობით. შეთქმულებმა გამართეს, რეშტში ძუბოვრებ, ცნობილ დაშნაკელ სომხებთან საიდუმლო მოლაპარაკება. — რადგან სომხებს ადგილობრივი ხალ-ხის იმედი არ ჰქონდათ; თუ ვერ გაიმარჯვებდენ შეთქ-



შულები, მაშინ რეაქციონერები ადგილობრივ სოჭსებს და ვაჭრებს ამოწყვეტდენ, ამიტომ, სოჭხებმა თვალნასულათ მონაწილეობაზე უარი თქვეს, მაგრამ იქაურ ძეთაურის ეფრემ-ხანს, თუ ბრძოლა დაიწყებოდა, დახმარება აღუთ-ქვეს...

ბარიაშობის დროს, რეაქციონერებმა მოკლეს ხალხის საყვარელი სეით, რომლის დაღუპვამ ხალხი უზომოდ ააღელვა. ამით ისარგებლეს რეშტის შეთქმულებმა, და სადილობის დროს შეთქმულთა ჩაშმი, სპარსულ ტანი-სამოსში გადაცმულები, ბომბებით და მაუზერებით კარგად შეიარაღებულნი ორად გაიყვენ. ერთი პატარა ჯგუფი ქალაქის გარედ მყოფ რეშტის გუბერნატორს, ეტლით სტუმრად მიადგა. თუ იქიდან ბომბის ხმა გაისმოდა, იმ წამსკე, დარჩენილები გუბერნატორის სასახლეს და უქვე. ზარბაზნების ყაზარმებს დაეცემოდენ; ბომბებს დაუშენდენ. სეითის მოკვლით შეწუხებული და აღშეფოთებული ხალხი, რევოლუციონერებს და გავლენიან მის მომხრებს: ექვს ქმა ხანებს, და ცნობილ რევოლუციონერ შოლას მიეხმარებოდენ. გუბერნატორის მოკვლით უპატრონო ჯარი იარაღს არ იხმარდა, და შეთქმულნი გაიმარჯვებდენ. ასეც მოხდა.

ადგილობრივი ცნობილი ხანი მეიზამ სულთანი, გუბერნატორს ქალაქ გარედ, ლიმონ-ფორთოხლის ბალში ესტუმრა. ხანის მისვლაზე მოსამსახურეები მდაბლად შეეგებენ. პალტოვების და ფეხზე გახდის მავიერ, „თავზედი“ სტუმრები სადარბაზი ზალაში შეიჭრენ, იქ ბანქოს პოთამაშე სტუმრებს ბომბები ესროლეს, გუბერნატორი მოკლეს. — ბომბის ხმაზე, ქალაქში დამალული რევოლუციონერები გუბერნატორის სასახლის ეზოში უეიჭრენ; ბომბები დაუშინეს, რომლის ხმაზე ეფრემ-ხანი თავის რამოდენიმე ამხანავით, კარგა შეიარაღებულებით, მიიკრა და სასახლეს, ყაზარმას, სანავთე საწყობს ცეცხლი მოუკიდა. შეშინებული, უიარაღო ჯარის ნაწილი ფანჯრებიდან ცვივოდა, უგზო-უკვლოდ გარბოდა; ნაწილი იარაღით იმრძოდა, ცეცხლმოკიდებულ ყაზარმა-სასახლის გვდარჩენას ცდილობდა.



ამ დროს ეტლით მოიკრა მეიზამ სულთანი ბომბებით დანარჩენ შეიარაღებულ რევოლუციონერებით... ცეცხლმა შეიამოქანა გადასახლე. უპატრონო ჯარს რემტის რევოლუციონური კომიტეტი დაეპატრონა, და ეს ისე უცებ მოხდა, რომ შუადღეზე დაწყებული ბრძოლა, სალაშონ გათავდა. მზის ჩასვლისას რემტის ბალში სამხედრო მუსიკა უკრავდა.

დასავლეთით სადამოენო ჯულფასა და აღმოსავლეთით ენძელი რემტის რევოლუციონერების ხელში გადაულა, თვირთვაზე გალაშქრებას გზას უსხსნიდა, რომელიც თავრიზიდან ათასი ვერსით და რეშტიდან სამასი ვერსით მარინც არის დაშორებული.

რაღვან თავრიზ-თბილისის გზა რეაქციონერ რახიმ-ხანის ხელში იყო, ენჯუმენმა სამოქმედო გეგმით, თავრიზიდან რეშტში საგანგებო კომისია გაგზავნა.

ეტლით თავრიზიდან ჯულფამდე, აქედან რკინიგზით თბილისი და ბაქო, ბაქოდან კასპიის ზღვით ენზელი და რეშტი.

აი, ამნაირად თავრიზი რეშტს დაუკავშირდა და, რეშტის აღებით, თავრიზის რევოლუციონური ცეცხლი აღმოსავლეთ სპარსეთში აენთო.

### \*\*\*

ბაირამობა თავრიზში დიდის ამბით ჩაატარა, რამდენიმე დღე ხალხი ლოცულობდა, მარხულობაში იყო. თავრიზი უბნებათ დაყოფილი, დასებათ დანაწილებული, მოლებისა და სეით-დაერიშების ხელმძღვანელობით დარაშმული, უბნებიდან მთავარი მეჩეთისაკენ დაიძრა, სადაც თავრიზის სასულიერო წოდება სათარ-ხანით, ბაგირ-ხანით და მოწინავე საზოგადოებით, შეკრებულიყო. ლოცვის შემდეგ, სუნიტებთან ბრძოლაში დალუპული შეიტების კუბოები, ძეირფას მოქარებულ ფარჩეულობით გადაფარებული, მთვარე-ვარსკლავების ნიშნებით დაშვერებული და ოქრო-ვერცხლით შეჭედილი, გამოასვენეს.

თოვლით დაფარებული ქუჩა, წელზევით ტიტველ, ლამაზად ქოჩორგამოპარსულ ხალხით იყო ჩამუშკირვებული



და მათ შიერ ამოლებული, გალესილი სატევრები მშენება სხივზე ელვარებდენ. ზოგ მათგანს ხელში რკინის ჯავაში ვი ეჭირა.

უოველ ჯგუფს თავის მეთაური ჰყავდა. აქა-იქ მოლები სეითები, დაერიშები ხმა მალა გაპეიოდენ, გლოვის და მწერარების დღის, მათი წმიდანების დახოცის „აჩავს, გაძარბალებული სიტყვებით, — ლოცვა-მარხულობაში ნათმენთ მორწმუნეთ ამცნობდნენ.

შლოცველების პროცესია მეჩეთიდან წმიდანების კუბოთი დაიძრა. წინ ცხენებზე შემჯდარი შვიდი-რვა წლის ბაეშვები მიუძლოდენ, თავშიშველნი, რომელთა მხრებზე გრძელები იყვენ დამბულნი.

გაისმის საყვირის ხმა, დაკრა დოლმა, შეიქნა მოლების და ხოჯების ყვირილი და დასთა მეთაურებმა ჯახები მოიმარჯვეს, სატევრებით შეიარაღებულ მორწმუნეთ რიგში ჩაუდგენ. გაისმა თავდაჩების მოწოდების სმა, — „შახსეი, ვახსეის!“ ყვირილმა ჰაერი შეანძრია, თოულზე ჩამწერილებულმა, დასებათ დაყოფილმა, რამოლენიმე ას. ასმა კაცმა, მარხვა, უჭმელობა, ლოცვისაგან მიბნეოილი თვალები ზეცისაკენ აღაპრო, სატევრები მარჯვენა სელში მოიმარჯვა, მარტენა ხელი მკერდზე იქრა. სატევრებმა ჰაერში გაიელვა და ექსტრაზში მოყვანილმა ხალხმა „შახსეი ვახსეის“ ძახილით, მახეილი გამოპარსულ თავში დაიშინა. იმ დასთა გუნდს, რომელთაც ხელში წერილ რგოლიანი ჯაჭვები ჰქონდათ, ორთავ ბეჭების ფრთებზე და ტიტველ ზურგზე, „შახსეი ვახსეის“ ძახილით (კემა იწყეს, ვისაც ჩანგლები ხელში ეჭირათ, გულმკერდზე, ძუძუებში ჩანგალი ჩამოირკვეს; სისხლით თავი, უტრევი, გულმკერდი შეიღებეს, სპერაკი თოვლი წითლათ ჩელებეს...).

ამ სურათის შემყურე, ამ საცოდავ ხალხს უბედერებათ ცთვლიდი; გულმოკულული, მთელი ჩემი არსებით შეწუხებული ცუცურებდი.

„ამ ოჯახდასაქცევთ, ასეთი თავგამეტებით თავის ჩეკვა თუ შეუძლიათ — აგერაა მტერი მომდგარი კარებზე,



გავიდენ და იმათ ებრძოლონ,“ იძახოდენ ჩვენები. მეორე დღეს, როცა სათარ-ხანს მათი გლოვის დღე მიუსატჩიშრე და თავის ჩეხის წინააღმდეგ სიტყვა გაუტარე, მწარე ღიმილით მითხრა: „ამათ რომ ჩვეულებები აუკრძალოთ, რეაქციონერები აგიტაციას გაუწევენ, ურწმუნოები არიანო და მთელს ხალხს ჩვენს წინააღმდეგ აამხედრებენ, აქ სპარსეთია, ჩამორჩენილი ყრუ ქვეყანა, და ამიტომაა რომ ეს ხალხი შახისა და ხანების წამებას იტანენ.“

ამ დღემ ჩვენზე და აქ მყოფ ევროპიელებზე შემაწუხებელი შთაბეჭდილება დასტოვა, და დაგვალონა.

### ✿✿

რუსეთის მთავრობამ და მისმა აგენტებმა შეაიარეს მთის მობინადრე. ნახევრად ველური შახსევანები და რაზიმე-ხანის ხელმძღვანელობით სოფიანის რაიონს შემოუსიეს.

სამაღ ხანის ნაწილი, სამხრეთით, დიდ გორაზე გამავრდა, სადაც მთის აღმოსავლეთით დაბანაკებულ ედევი-ლეს ჯარისაგან დახმარების მიღება შეეძლო. მეორე ნაწილით, ასე ორი ათასამდე შეიარაღებული მთის ყარალებით, მან თავრიზის დასავლეთით, ზედ ჯულფის გზაზე მდებარე სოფელი ალვარი დაიკავა; ჯულფისკენ მიმავალი სამხედრო გზა გადასჭრა, და მით მარარდ-ხოი და ჯულფა თავრიზს მოწყვიტა, მთელი რევოლუციონური ძალები ორად გაჰყო, დაქასა და ამნაირად თავრიზი შემოქალტა.

სამხრეთით, გორაზე გამავრებულ სამაღ-ხანს ეიდევე-ლემ ზარბაზნები მისცა, რომლებიც მან მთის უკან სოფელ ში დააბაზეა. დღითი ამ გორიდან თავრიზის გაშლილ ქალა-ბალებს ზარბაზნებს უშენდა, და ლამე ისინი ბანაკში მიჰქონდათ.

მე და ბიქტორა ჯიქიძემ გავაკეთეთ დიდი ხუთ-ექვს ფუთიანი ნაღმი, დინამიტით და თოფის წამლით გავტენეთ, რკინის ნაჭრებით და ცემენტით ამოვკიბეთ, — სა-თარ-ხანს ეუჩვენეთ. მან ძლიერ მოიწონა, ერთი შეხედ-



ეით მიხედა რასაც ვაპირებლით და ათამდე შეიძინადნენ ბული მისი საიმედო მხლებლები გამოვეაყოლა და ლამე სამხრეთ ფრონტზე გასავალი „პაროლი“ გადმოვეცა. როცა დაღამდა, ჯორზე თოკებით გაკრული ჩევნი ნალმი ფრონტის გარედ გაეიტანეთ, წინ ბილიქების მცირნე შეზავრები გავიძლოლიეთ. უკან ჩემი ნალმით მე, პიქტორ ჯიქიძე და რუსის ჯარში ნამყოფი, გამოცდილი მსროლელი ჯიბლაძე გავყევით, და ვარსკლავებით მოვედილ ციც ლამეში იმ გორაზე ავიპარეთ, საიდნაც ზარბაზნებს დილით გვიშენდნენ და ლამე, იქით მხარეს მდებარე სოფელში ბანაკად იყვნენ და ზარბაზნებიც თან მიჰკონდათ..

ჩეენ გორის მდებარეობა კარგად დავათვალიერეთ, ჯიბლაძის მეთაურობით მტრის სოფლიდან მომავალი გზა დავიკავეთ, ზარბაზნის ნადები ადგილი მოვნახეთ: გაყინული, გამხმარი მიწა წერაქვით და ნიჩბით ამოეთხარეთ, ზეთში ამოელებული, კლიონკაში შეხვეული ნალმი მიწა-ში ჩავდგით. კაბსულების პირისმილი ბერტოლეტის მარილით ამოვავსეთ, ზედ „სერნი კისლატით“ საესე სპირტის ლამპის თავმოწებებული შუშა, ბამბაში შეხვეული გავამაგრეთ, ზედ „კლიონკა“ კიდევ გადავაფარეთ, მიწა გადავყარეთ, მივასწორ-მოვასწორეთ და სწრაფად უკან დავძრუნდით.

დილით ამომავალ მზის სხივზე, — შორიდან მომავალ, შავად მოძრავ მტრის ჯარს გავსცეროდით, თოვლა: თ მოსილ გორას და წინა დღით — ცხენებისა და რაზმის მიერ მოჯარაგებულ შავ მოედანს დაეინებით მივჩერებადით. შავი წერტილები გორაზე ნალმის ალაგს მიუახლოვდენ, ჯორები ზარბაზნებიდან გამოხსნეს. ზარბაზნები დადგეს, გაასწორეს. ჯორები და რაზმი უკან დასწიიეს. მე სული კბილით მეუავა, ვაი თუ ვჭამეთ სირცენეილი, არ ვავარდეს! სათარ-ხანი ჭოვერიტს მთასა და შავ ალაგს არ აშორებდა, ჩეენ მოუსვენრად ერთმანეთს უყურებდით, რომ სათარ-ხანმა ჩაილაპარაკა: „მტერი ზარბაზნის სასროლად ამზადებს, ერთად ნუ ვდგევართ, გავი-



ფანტოთ!“ მარა, სწორეთ ამ დროს თოვლით გარშემორტყმულ შავ მოედანზე, რაღაც ბოლი გაჩნდა, იელვა, იქება, იქუხა და იქაურობა სქელ კვამლში გაეხეია, სასროლად გამზადებული ზარბაზანი, მის ახლო მდგომი ჯარი თავის ჯორ-ეირებით დაამტვრია, ნაფლეთებათ აქცია, ვინც ვადარჩა შეშლილებივით გარბოდენ,

სათარ-ხანმა სიხარულისაგან შეპყვირა: „იაშასუნ გურჯი ლასას“ ძახილით ვადამეხვია; ჯარისკაცები გამარჯვებას გვილოცავდენ. მტერი ამ ვორაზე, შემდეგ აღარ ვამოჩენილა.

### \* \*

მთელი თავრიზი მოედანზე შეკრებილიყო; ორატორები ახალ შექმნილ მდგომარეობის გამო ხალხს ამხნევებდენ, რომ უცებ, მოიქრა შიკრიკი, მტერი თავრიზის დაუავლეთიდან, ბალ-ჭალებში შემოიჭრაო გვითხრა, განაპირა უბნები დაიკავა, ტელეფონები ვადასჭრა და მცხოვრებთ ცარცუავენ. ჭალები ტკიცეთ მისვავთო.

სათარ-ხანი რაზმებით მიიჩქარის, — არიქა მიშეელოთ! — თითქოს ელვა ვავარდაო, ხალხი ისე შეირყა; სიკვდილი მტერსო შესძახა. — მე ტრიბუნიდან ჩამოვიტერი, ჩემს ვერდში მდგომ, ჭალარა, მაღალ ხანს ქარქაშიდან ხმალი ამოვაცალე, ჰაერში შევაპრიალე, მთიდან მოვარდნილ მდინარესავით აზეირთებულ ხალხს წინ გავუძხს ვი და მთელი თავრიზის გამწარებული ხალხი, დასაცლეთ ვანაპირა უბანში მივიჭირით, საღაც შემოპარული მტრის ბანდები მცხოვრებლებს ცარცუავდენ. ტოშირებს ოჯახის ნივთებით აესებდენ; რის წალებაც არ შეიძლებოდა ამტვრევდენ, ფეხით ლეწავდენ, თოფის კონდახით შუშებს და სარკებს ამსხერვდენ, ყოველივეს ანაღვურებდენ — აოხრებდენ... მოხუცებულებს წვერში ხელს ავლებდენ, სატევრით კისერს სჭრიდენ... ორსულ და მოხუცებს განდილოსნებს სატევრებით ფუშავდენ, ახალგაზრდა ქალიშვილებს იქეე აუპატივრებდენ,, ულამაზეს ქალიშვილებს ცხვირსანოცებს პირში უდებდენ. შეკრულებს ცხენებით მათი მეთაური ხანებისთვის იტაცებდენ.



ასეთი სურათის მნახველი, თავრიზიდან მოსული ასე გილობრივი ხალხი გამწარდა, უსაშინელესი ხატრთხე ივრძო, ფრჩხილითა და კბილებით, ცულითა და წალ-ლით, თოხითა და ფოტით მტერს თავდავიწყებით შეისია, თავისი ძალა აჩვენა; შეიქნა მძარცველების ხელ და ხელ შეპყრობა, ზურგზე აკიდებულ ტომრიან მტრის ხოცა, გამწარებულ დედების მიერ, თავიანთ ქალიშვილების დაცა, ჩადრი და პირბადე მოიხსნეს; გასისხლიანებული ხელებით შეილების, დების, ძმების მტრის ხელიდან გა-მოტაცება იწყეს. ამის მნახველი რაზმელები ლომებათ იქცენ. გაიღვიძა ნამუსის და ოჯახის დაცვის გრძობამ. აბობოქრდა, აზლვავდა, და მტერს შეესია, სარდაფებიდან ეწოებიდან, სარჩხინავებში შემალულ-შეშინებულ ყა-ხალ მძარცველებს თმით მოათრევდენ.

სათარ-ხანი და მისი ცხენოსანი რაზმი მტრის რაზმებში შეიკრენ, ბალ-ჭალებში გამავრებულთ თავს რისხვათ დაატყდენ.

მთელი ენჯუმენი, იარალით ხელში, თავხედ შტრის მიერ ალებულ უბანში, მუსიკით, დოლით, ზურნით, საყვი რით — მთელი თავრიზი მიზლვავდა, დეპუტატ მირიზ-მაილის მეთაურობით, სატევარ-თოთვით მტრის რაზმში შეიკრა, უმოწყალო ხელჩართული ხოცა-ელეტა შეიქნა, განრისხებულმა ხალხმა მტერი ერთი შეხელთვით შე-მუსრა.

მტრის მიერ ალებული უბანი განთავისუფლდა. და-წიოკებული და აფორიაქებული მცხოვრებნი თავის გა-პარტასებულ ეზო-სახლკარს დაუბრუნდა; დაკრილ-დახო-ცილებს თვალი მოავლო და ახლა მიხვდა, თუ რას ნიშ-ნავდა მტრის თავრიზში შემოსვლა, მიხვდა, მხოლოდ მა-შინ, როცა მის წინ, მის ოჯახში, მისი საყვარელი სულები გააუპატივრეს, მშობელ მამებს ცხვრებსავით ჟელი გამოს-კრეს. მიხვდა, შეშფოთდა, თეალთაგან შურისმიერის ცეცხლი გამოკრთა, უძლეველ ძალათ იქცა.

მზე სისხლით მოსვრილ ქუჩებში ლარებათ ეფინებოდა. დამფრთხალი მცხოვრებნი თავიანთ ეზო-სახლების კა-



რებონან, ეითარცა ქორის დაცუმით გაბნეული წიწილები იკრიბებოდენ. დაჭრილ ტყვეებს მოდენიდენ, აგინებდენ თავპირში სცემდენ. დაჭრილებს მოათრევდენ...

ამის შემდეგ, დიდ მცხოვრიში მოხდა თავრიზის ჯალების კრება, სადაც სასტრიკად დაგმეს შემოსეულ ხანების მიერ ხოცვა-ელეტა, ცარცვა-გლეჯა. წყევლა-კრულვა შეუთვალის შახს, რომელმაც თავისიუფლება წაართვა; ხალხის წარმომადგენლები აწამა. ისი საქციელი ურჯულოთ, ძოლალატეთ გამოაცხადა. თავრიზის მცხოვრებთ მიმართეს: ვისაც შახის მხარეზე ყოფნა უნდოდათ თავრიზი დაეტოვებიათ, დარჩენილებს კი, სათარ-ხან, საგირ-ხან-თან და მთელ რევოლუციონურ თავრიზელებთან ერთად უკანასკნელ დღემდე ებრძოლათ. ეს რეზოლუცია გადასცეს კონსულებს შახისათვის გადასაცემათ. ოვითონ ქალები კი, შეუდგენ თავრიზში მოლალატე პირების და ჩაექციონერების გამონახვას, და თავიანთ ქმრების შემწეობით ენჯუმენთან არსებულ თავდაცვის კომიტეტი-სათვის გადასაცემათ...

მდგომარეობით შეშინებული თავრიზის სომხის სალვადოებაში და ზოგიერთ შეძლებულ პირებმა, ერთ სალამოს შეიკრიბენ და შექმნილ მდგომარეობის შესახებ ბჟობა გამართეს. ჩვენ ეს შეგვატყობინეს და იმ წამსევ წაველით იმ კრებაზე დასასწრებათ: მე, სედრაკ შორეოიანცი, ბიუროს თავმჯდომარე — ენჯუმენში შემავალი მახმედხანი. გაზეთის რედაქტორი და რამოდენიმე სომეტ-ქართველი ამხანევები. კრება იყო ერთ დიდ ზალაში; თავმჯდომარეობდა ერთი მთასავით დიდი, შავ-წვერ-ულვაშიანი სამლელო პირი, იყვნენ ზოგი ნაცნობი თავრიზე ლი გაჭრები და დაშნაკუკანების მეთაურთავანი რომელ ზორიანი — გორელი კარვი ქართულის მცოდნე, თავის ამხანავებით.

ჩვენ მისვლაზე ცოტა ყოყმანი და ჩუმი ლაპარაკი შეიქნა და შემდეგ, ერთმა თბილისის სომხურ კაზეთის კორესპონდენტმა განაცხადა, რომ აქ არის „ინოროდცები“ და კრება სხვა დროისთვის გადავდოთო. მაშინ,



სიტყვა მოითხოვა ჩეცენმა ანხანგმა, თავრიზელ ქუჩულუკი მან სომებშა და განაცხადა, — აქ არავინ არიან გიმურულ-გირი ცები”, არამედ რევოლუციურ თავრიზის ინტერესების, მათი ცოლშეიღლის მტერთაგან დამცეცლნი, თუ ეს პიტყვა „ინოროდეც“ ეკუთვნის ამას — მომითითა მე, შეხედეთ მის გულზე ჩამოკიდულ ხელს, ვის მიუძღვის აქ ამაზე მეტი, ან რა კრება იქნება ის, რომელიც თავრიზის ბედს შეეხებოდეს და გურჯი ლასას დასწრება არ შეეძლოს?

ამის შემდეგ ილაპარაკა ზორიანმა; მოითხოვა კრების გაგრძელება.

კრებაზე შეიქნა ლაპარაკი და ირკვევოდა, რომ მის მომწვევე ხელმძღვანელთ უნდოდათ, რომ დეპეშით. ან კონსულების შემწეობით, ნიკოლოზ მეორესთვის პეტერბურგში მიემართათ, გაჭირებული ქრისტიანი ვაკრები იმ საშინელ მდგომარეობიდან დახსნა, რომელშიც ისინი იყვნენ ჩაყენებულნი. ეს პირდაპირ ლახვარი იყო თევრიზის და ყველამ ამის წინააღმდეგ გავილაშქრეთ. ჩენ სიტკებში განვმარტეთ, თუ რას ნიშნავდა სხვა სახელმწიფო-საღმი მიმართეა; ამის უფლება მათ არ აქვთ, აქ არის რევოლუციონური მთავრობა და ვინც ასეთ ნაპიჯს უმისოთ გადადგამს, ის პირი თუ წრე, ან რაიმე დაწესებულება მოქმედებაში პასუხს ავებს რევოლუციონურ ძთავრობის წინაშე, მთელი თავისი მძიმე შედეგებით. — ვთქვით და ზოგიერთებმა პროტესტის ნიშნად წამოველით, — როსტომ ზორიანი ჩენ მოგვემხრო და კრება ჩაიშალა, მაგრამ შექმნილი დმგომარეობის და სულიერი განწყობილების გასაგებად, ეს კრება ბევრს რამეს ლაპარაკობდა...

რუსის მთავრობა ჩუმათ კავკასიის სახლვრებიდან რეაქციონურ ხანებს იარაღს აწევდიდა, თავრიზში მყოფ ადერბაიჯანელ ვაკრების, ქრისტიან სომხების თბოენით, რუსის მეფის წინაშე, სპარსეთში უცხო ჯარის შემოყვანას პირებდა, და მით მომავალ სპარსეთის სახელმწიფოს ბედს მწარე განსაცდელს უმზადებდა. რამოდენიმე



დღის შემდეგ, თავდაცვის კომიტეტმა ჩვენ გადმოვცემას ერთი სომხის მასწავლებლის წერილი, სადაც იგნაციანი მოხეცი წერდა, რომ თავრიზელი და ადერბაიჯანელი სომხები აქ არაფრენი შუაშია, ისინი შახის წინაშე ბრძოლაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ და ეს სულ კავკასიიდან შემოსულ წყეული გურჯების და თითო-ორთოლა დაშნაკაკანების საქმეაო. ჩვენმა ბიჭებმა მაუზერზე ხელი გაიკრეს, ჩვენ დავამშეიღეთ. დაშნაკელებთან ერთად ან-ჩაკისტების, და სომხების კულტურულ დაწესებულებათა, სომებს მასწავლებელთა კრება საჩქაროთ მოვიწყიეთ, ენჯუმენის წევრის თანდასწრებით წერილი წავუკითხეთ,

წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ბევრი მკაცრ სასჯელს მოითხოვდა, მაგრამ კაცის მოკელა არ იყო ჩვენი საქმე და დადგენილ იქნა: გარიცხულ იქნას სამოსწავლო კორპორაციიდან და სომხეთა საზოგადოებიდან. იმ ლამესვე ის მასწავლებელი ჩაწერა ლოგიზად და, მგონი მერე აღარავის უნახავს...



რაკი კულტის გზა, თავრიზიდან თოთხმეტ ცენტრე, სოფელ ალეართან გადავიჭრეს; თავრიზის ხალხი შიმშილმა შეაწუხა. არამც თუ მცხოვრებლებს, შეიარაღებულ ჯარსაც ძლივს აწვდიდენ უვარვის პურს. გაჩნდა ავადმყოფობა, გახშირდა შიმშილისაგან წაქცეულ ბავშვების და ქალების საავადმყოფოში მიყვანა. ერთ დღეს, ქუჩაში შიმშილით და სიცივით წაქცეული სამოცარდე ბავშვი იქნა აყვანილი. ზოგი მათგანი ისე ვარდაიცვალა რძესაც ველარ ღებულობდა. სანგრებში დაჭრილები იხვეწებოდენ: ბიზიმ ყარდაშ! ჭრილობას ნუ მიხვევ, თახლში ცოლშვილი შიმშილით მეხოცება, გუშინ ჩემი პატარა გოგონა შიმშილისაგან მომიკვდა—დაემარხე, მე თუ მოვკვდები მადლია — ჭრილობას ნუ მიხვევ!..

ენჯუმენმა განკარგულება გასცა და სავაჭრო საწყობებიდან გამოიტანა აუარებელი, საზღვარგარეთ გასატანად დამზადებული სპარსული სხვა და სხვა გამხმარი ხალი.



უბნებში დადგა ქვაბები, ყველა ამ მეტად სასარგებლობა და ნოუიერ ხილს ხარშავდებ და ტკბილ მარგებელ წვენს თუ ჯამებით ხალხს ურიცებდენ...

და ასეთ გაჭირვების დროს კი, ჩუსის და სხეა საკონსულოების ავენტები, თავრიზიდან სურსათს ჩუმად თავრიზზე მომდგარ რეაქციონერებს აწვდიდენ...

„ამდენი მშიერი ხალხის ყურება მე აღარ შემიძლია! ან გაეწყდეთ, ან გავიმარჯვოთ!“ — კუროდა ბაგირ-ხანი. იმ დროს, როდესაც ალყა შემორტყმულ თაერიზს თოფების, ვაზნებისა და ზარბაზნების მასალა აღარ ჰქონდათ, რეაქციონერები ვაზნებს ლებულობდენ კავკასიის საზღვრებიდან. ასეთ პირობებში საბორი გადასწყვიტა: ჯულფის გზის კვლავ გაწმენდა და თავრიზიდან ოოთხშეტ ვერსით მდებარე სოფელ ალვარზე გალაშქრება. საღაც კარგად შეიარაღებული სამაღ-ხანის ჯარი იდვა.

თავრიზიდან ჯარის გასვლა სახიფათო იყო. თუ მტერი გაიგებდა სათარ-ხანის ქალაქებით გასვლას, იმ წამსკე, ყოველმხრივ, თავრიზზე იერიშებს მოიტანდა, ალვარზე გასულ ჯარს მოსჭრიდა და ორ ცეცხლს შუა მოამწყვევდა. ამიტომ გადასწყვიტეს, რომ სათარ-ხანი სულ მცირე რაზმით ქალაქიდან შეუმჩნევლად გასულიყო და თავრიზს მისი წასვლა არ სცოდნოდა. ხუთ თებერვალს 1909 წ. თავრიზშა, ვარსკლავებით მოჭედილ, უმთვარო ლამეში დაიძინა, ქუჩები მიწყნარდა...

ლამის 10 საათი იქნებოდა, ქართველ რაზმელთა პიუროში, — გრძელ, ნოხით მოვებულ განათებულ დარბაზში რაზმელები იარაღს ისხამდენ, საომრად ემზადებოდენ. მე, გულზე ხელჩამოკიდებულმა სასროლ დინამიტებით სავსე ჩანთა-აბგა მხარზე გადავიყიდე. ტყავის ჩემოდანი, რომელშიც სასროლათ გამზადებული ხუთგირვანქიანი ბომბები ეწყო, ამხანაგებს რიგ-რიგობით უნდა წამოელოთ. ქუჩაში გასასვლელი მოწმობა ხელში დავიკავეთ, იმ ღამის „პაროლი“ გავიმეორეთ, სანთლები ჩავაქრეთ და აჩრდილებივით ქუჩაში გავედით, სათარ-ხანისკენ მიმავალ გზას გავუევით. კარგა სიარულის შემ-



დეგ, მიუვახლოედით სათარ-ხანის სასახლეს, რომლის მიზანი სავალი ქუჩები ჯარით და ზარბაზნებით იყო გაკრული. აქ ჩვენ გავვიძლეთ მორიგი დარაჯის უფროსი და დიდ დარბაზში შეგვიყვანა. ჩვენ შესვლაზე მხედრობა წარიდგა, სათარ-ხანი სახე გაშლილი შემოგვევება, სკამები ძოვვიწოდეს. სათარ-ხანმა მოვკიყითხა, სხვა და სხვა რაჭილების წარმომადგენელ მხედრობამ სალამი მოვცუა. სათარ-ხანი, წარსულ ცხოვრებიდან, შახის ჯართან შეტაკების ამბავს იკონებდა, ხმამალა მხედრობას უამბობდა. წეიარალებული ხალხი გატაცებით უსმენდა და აწიოკებულ სოფლების დაცვას უწონებდა. მან კარგა ხანს გვიამბოთავის ბრძოლების ამბები, ნარვილა უკანასკნელად შოსწია, საათს დახედა, ულვაშები გაისწორა და გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ, მაუზერ გადაკიდებული, გერმანული თოფით, ვაზნებით წელზე შემოკრული, პირადი მცველებით, თავრიზის რჩეულ რევოლუციონერებით სავსე ეზოში გამოვიდა...

აქ ჩვენ, ქუჩაში დარაზმული გავედით. გამოიყვანეს არაბულ ცხენებით შებმული პრინცების „კარეტა“, შიგ ბომბების ჩემოდანთან ერთად, თოფების ვაზნებით სცესე ხურჯინი ჩადევთ. სათარ-ხანმა და მე ერთად ჩავსხედით, წინ კი, თავისი დიდი თოფით, ბიქტორ ჯიქიძე. კოცოშე, მეეტლესთან, სათარ-ხანის შეიარაღებული პირადი მისამ-სახურე ახტა. ეტლის უკან კი, ქაჯებივით საშიში, მამაცი ქურთები... ასე დარაზმული ასი კაცი გავებლით აჩიკის ხიდთან, სადაც სანგრებში მჯდომმა გაოცებულმა დარაჯებმა გზა დაგვილოცეს და, ეტლი შარაგზით ალვარისა-ქენ გაქანდა, სადაც თავრიზიდან თოთხმეტი ვერსის მან-ძილზე სამაღ-ხანის ჯარი იყო დაბანაკებული. ჩვენ გამოვედით თავრიზიდან და თოვლით მოსილ, გაშლილ მინ-დორ-ჭალების შუა მდებარე გზით მივქროლავდით. ცოტა ხნის შემდეგ სათარ-ხანმა ჭოვერიტი მოიმარჯვა, შორს გამოჩენილ სოფელს გახედა, რომლის მაღალ ალ-ვის ხის უფოთლო ტოტები პორიზონტზე იხატებოდა... ჩვენი რაზმი მტრისკენ გაქანებული მიიღიტვოდა.

ცოტა კიდევ, და ჩვენს წინ გარკვეულათ გამორნდა

სოფელი ალვარი. მის პირდაპირ, სამხედრო გზის გამოლენა, მტრის მიერ სრულიად განადგურებული სოფლის პატარა მიწური ქოხ-მახები. სათარ-ხანმა ეტლში შემობრუნდა და რაზმს თავის ბოხი ხმით გასძახა — საჩქაროთ დაიკავეთ მარჯვნივ, სამხრეთით მდებარე დანგრეული სოფელიო. — რამოდენიმე ათეული ცხენოსანი შევარდენივით გადაქროლდენ სამხედრო შარაგზიდან, თოვლით მოსილ მინდოორ-ველებს მოედევნ; მთავარი ძალით კი სათარ-ხანი პირდაპირი გზით მიქროდა, რომ ნანგრევში შესულიყო და გამაგრებულიყო. მან ერთი კიდევ მოავლო თვალი მარცხნა ჰალა-ველს, დანგრეულ სოფლის ბოლოს კარგა შორს, წამოწეულ თოვლიან ფერდო-ხრამებს მიაჩერდა და მტრის მიერ დაკავებული სოფელი ალვარი დაკვირვებით მოათვალიერა. პატარა მდინარეზე დაგებულ ბოვირს გახედა, რამოდენიმე მხედარს ამ ბოვირის დაკავება უბრძანა, კვლავ მტრისაგან დაკავებულ სოფელს მიაჩერდა — თავის გერმანული თოფი მოიმარჯვა, საჩქაროთ სოფელს მიაშურა, განკარგულებები გასცა. გაგაქანებულ ეტლის კოფოზე თოფ-მოლერებული გადაწევა. სოფლის წინ მტრებმა სროლა ავეიტეხეს, ტყვიებმა ზუზუნით, წიგილით ჩვენს თავზე გადაიარეს. ჩვენმა მხედრებმა პირდაპირი გზით სოფელს მიაშურეს, ბოვირ-გომურთან ჩასაფრებულმა ჩვენმა ამხანაგებმა, მტრეს ხშირი სროლა აუტეხეს, და მით ჩვენ უცნებლათ სოფლის გალავანში შევიტერით, აქ საჩქაროთ ცხენები დანგრეულ სახლებში დავაბით, დავაბინავეთ.

სათარ-ხანმა სახლების დანგრეულ მიწის კედლებზე, თავის ასი კაცისგან შემდგარი რაზმი გაანაწილა და უბრძანა: — სანამ მტრერი გზის ახლოს არ მოიწევდა ცეცხლი არ გაეხსნათ, ვაზნები ტყვილა-უბრალოთ არ ეხმარათ, მხოლოდ საჭიროების ღროს ნიშანში ესროლათ...

ამ სოფელში ყოველივე ოჯახის აევაეულობა გაცარცული, ფანჯრები ჩალეწილი, იატაკი აყრილი, ჭურუჭელი დამსხვრეული იყო. აქა-იქ შეშინებული, დაფეთქებული ძალლი და კატა დარბოდა. და აი, ასეთი გამანადგურებე-




ლი, საშიში მტერი მოიწევდა თავრიზზე და აბლა კხედავა თავას დით, თუ ამდენი ხნის განმავლობაში, მშერ წწყურტყალნირთუა თავრიზელები რათ იბრძოდენ ასე გამწარებით და იგე-რიებდენ ყოველ მხრით მოზღვავებულ მტერს.

სათარ-ხანმა, რაკი საიმედო აღგილი დაიკავა, სოფელი ყოველმხრივ გაამაგრა. თვითონ ავიდა თავის ამორწულ ბინაზე, მიწურ კედლებში საფარი გამართა, თავის ჭოგვ-რიტი მე გადმომცა, თვითონ წინა ხაზზე წამოწულ მტერს, ნელა, ნიშანში ამოლებით ესროდა, დაჭრილა, ან მოკლავდა.

ასე სათარ-ხანმა შვიდჯერ ისროლა, შვიდი წააჭკია, შემდეგ თოფი თავის მხლებელს გადასცა. ჩასაფრებული სათარ-ხანი აუჩქარებელი იყო, დინჯი, მარა გაშლილ ბრძოლაში კი სწრაფი, ელვასავით აქა-იქ გაჩნდებოდა, მტერს ყოველ მხრივ იგერიებდა...

უცებ, მტრის ბანაკიდან გამოსული ცხენოსანი რაზმი თეთრ თოვლზე წეროსავით გამწკრივდა, ჩვენს ტელევით შარა გზა გადასჭრა, მარჯვნით წინ წამოწულ მთის უერ-დობს შევყა. ამ მოძრაობამ ჩვენები შეაფიქრიანა. აქა-იქ ლაპარაკი გაიმართა, — საფრთხე მოვეელის, სათარ-ხანს კუთხრათ, სანამ გვიანი არ არისო, სროლით თავრი-ზისკენ დაეიხიოთ, თორემ ერთი მუქა მებრძოლნი რას დავაკლებთო, სათარ-ხანის საუკეთესო, ჩჩეული მხედრები აქ გაწყდება; სათარ-ხანის შემდეგ, დამხთალი, მოლლი-ლი თავრიზი ვეღარ იბრძოლებს, რევოლუცია დაიღუ-პებათ. როსტომი და სედრაკ ბანვორ ანი მირჩევდენ — მიღი სათარ-ხანს მოელაპარაკეო, მარა სარდალის საქმეში განვებ არ ვერეოდი. ის ამ დროს, როგორც კაპიტანი: ქა-რიშხალის დროს თავის აღგილას იდგა და გონება მოკრე-ბილი, დამშეიღებული განკარგულებებს იძლეოდა, იდ-გა თავის საფარში და თოფის მაგიერ გრძელი ჭირი-ტით, გამუდმებით მტრის მოძრაობას თეალს ადევსებდა, ხშირად მთის ფერდობსა და თავრიზისკენ გაშლილ, თხრილ-არხებით დასერილ, თოვლიან მდებარეობას ყუ-რადლებით ათვალიერებდა, წარბშეკრული ჯულფისკენ



მიმავალ სამხედრო გზას მოუთმენლად გასცემროდა, მომავალ გორც მე ვატყობდი, პირდაპირ მოტანილ მტრის შლიტები იერიშს ის ამ წამში ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, რაც ჩვენს ჯარში უკვე სულიერ შიშს ქმნიდა, არამედ მისი გონიერი, შორს სულ სხვა საგანზე იყო მიპყრობილი და იქიდან ბრძოლის შედეგს გამოილოდა. ცოტა ხნის შემდეგ მტრის ბანაკიდან, მეორე ცხენოსანი რაზმი აავრიზის მხარესაკენ გაემართა; ჩვენზე კარგა მოშორებით რკალივით მოიხარა და მარცხნივ ჩვენი ფრთის მოჩება იწყო, თავრიზიდან მომავალ გზას გადასაჭრელად მიუახლოვდა. მის გასწვრივ თხრილ-არხებით ქვეითი რაზმი სიჩქარით წინ წამოიწია, ჩვენზე ორი სამი ქცევით გო-მურში გამაგრებულ ამხანაგებს მიუახლოვდა, სამხედრო გზაზე შეურილ მიწა-ქვიშაზე მიწვა, საფარი გაიკეთა, და ცეცხლი გახსნა...

მეორე ფრთის თავისმორებამ ჩვენები ისე დააფრთხო, რომ ცხენები უკვე ხელში ეჭირათ, მაგრამ ახლა, წასასკლელი გზა აღარ იყო. ორივე ფრთით ცხენოსანი რაზმი ისე შორიდან უვლიდა — იქნდან მას თოვით ვერაუერს ავნებდი; უკან მაღალი თოვლით მოსილი მთა იყო და წინ — ზედ გზაზე, მტერი, თხრილებში ჩამალული რკენზე მოიწევდა, რომელსაც უკან, სოფელ ალვარში გამაგრებული მტრის რაზმი ზურგს უმაგრებდა.

სედრაკა ბანვოიანი, ზორიანი და სხვა ამხანაგები დაეინებით მოითხოვდენ რაიმე მეოქვე სათარ-ხანისოფის, მაგრამ ეს ჩემგან არ შეიძლებოდა.

მე მხოლოდ ცედილობდი მის სამხედრო გეგმის გამოცნობას, სათარ-ხანის ნიჭისა და ბრძოლის უნარის გაცემას. იქ საღაც სათარ-ხანი იყო მე მდგომარეობის არ მეშინდა, ჩემი გული მას წინდაწინ ენდობოდა, მე თვით საქმის სირთულე და სიძნელე მაინტერესებლა!

უცებ სათარ-ხანი თავრიზისაკენ მიმავალ ცხენოსან რაზმს დააშტერდა, ჭოვერიტი მოიმარჯვა, თვალები გაუბრწყინდა, სახე გაუნათლდა — ოო! ჩოხ იახშა! დაიდახა. — მაშალა სალოლ — მიაყოლა და ჭოვერიტი გად-



მომცა. ჩვენ მარცხენა ფრთის თავმოსარებლად გაგ-ვეული ზავნილ ცხენოსან რაზმს მოულოდნელათ, კალაპი და თხრილებში ჩასაფრებულმა ჩვენმა რაზმა სროლა აუტეხა, დახოცილ-დაჭრილები ძირს ჩამოყარა, გაღრაჩენილები უკან გარბოდენ, საფრიდან სროლით მისდევდებ. ეს იყვნენ კავკასიელი თაორები, ადინ ფაშის მეთაურობით.

— წინა ლამეს, საიდუმლოთ კალა-თხრილებში ჩასაფრებულები. აი, ამათ შეხვედრას, სათარ-ხანი ასე გაცაციცებით გასცემოდა, — წინ მომავალ ჯარს არაფრად აგდებდა. ახლა სათარ-ხანმა დასავლეთით — მარჯვენა ფრთას დაუწყო ჭოგვრიტით თვალიერება, და წევნც კარგად ვარჩევდით თოვლზე მომავალ მტრის მხედრებს — რომ უცებ, ფერდობზე თოვის წამლის კვამლი გაჩდა, ახლო მოსულ მტერს თოვები დაუშინეს და თავქულმოგლეჯილი იფრინეს. ეს ფრთაც სათარ-ხანს, თავის რჩეულ რაზმით, წინა ლამით დაეკავებია.

რაკი სათარ-ხანმა დაინახა, რომ მტერს თავის მოვლა აღარ შეეძლო, ახლა მის წინ გაშლილი ბრძოლის ეტლი დაათვალიერა, განკარგულება გასცა — სახლის ნანგრევებში, რიგები ერთი მეორეზე წაწყობილი, და გვერდებით ფრთებ-შემაგრებულნი დარაზმულიყვენ. თვითონ დახედა, გაიარ-გამოიარა — შეამოწმა, ისევ თავის საფარში ავიდა, რალაც ჩათხრობილი, ჩაფიქრებული, მარანდა-სოფიანიდან მიმავალ სამხედრო გზას დაუინებით და დაღონებით გასცემოდა, აზროვნობდა — რაღაც აწუხებდა...

ამ დროს მე, რამდენიმე სასროლად გამზადებულ ბომბებით ჩანთა გადაყიდებული, სოფლის ბოლო ნანგრევებიდან, ჩვენ წინ მდებარე თოვლიან მინდორს უცემოდი, შორი-ახლოს მდებარე გომურებს და იქ გამაგრებულ რამოდენიმე ჩემს ამხანავებს თვალს ვაღევნებდი...

უცებ, მტრის რაზმელები თხრილებიდან ამოცავიდნენ, და საშინელი იერიში მიიტანეს მიწის გომურში ჩაშედარ ამხანავებზე. — ჩვენ ამხანავებს განადგურება მოელოდა. იყვირა ბიქტორ ჯიქიამ: „ბომბი თუ შეგიძლიათ! თუ



არა დაიყუპა გომურთან გამაგრებული ჯგუფი.“ მე ანაზ-  
დეულად საფრიდან გავიქერი, გაქცეულმა მინდოირა გა-  
დავირბინე, წყლით სავსე არხს მივასწარი, შიგ წელამდე  
ჩავედი, მხარზე დაღობილი ბომბებით — რომ არ დამს  
კელობოდა, წყალ-წყალ გაეყევი, ხელების კანკალით,  
ბიქტორა ჯიქიძეს მიუახლოვდი. „შენი ვაჟკაცობის ჭი-  
რიმე ვლასა მგელაძევ!“ მომაძახა ბიქტორმა, წყლის ზე-  
ვით კოდმეზე გაწოლილმა ჩანთა გახსნა, ხუთვირვასქებანი  
ავჭალის ბომბი მზის სხივზე ამოაბჭყიალა, და სწორედ  
იმ დროს, როცა გზის გაღმიდან თხრილებით, კტერი  
მგლებივით მოფორთხდენ, ბიქტორმა წამოიჩიქა, გრძე-  
ლი მკლავები გაშალა, ბომბი მოიღერია და გზის გადაღმა  
თხრილებში გადააგდო. ბომბმა საშინელი ძალით იჭექა.  
იქუხა დაჭრილები ააღრიალა. თხრილებში და არბებთან  
მტრის რაზმი ამოწყვიტა. ბომბების ქუხილზე, გომურში  
გამაგრებულ ბიჭებმა შიშისაგან გაქცეულ მტერს ტყვიე-  
ბი და რაკეტები დააყარეს; მოწინავე სანგრები გაწ-  
მინდეს...

ამხანაგებს ვაზნები ელეოდათ, რომ თაერიზის მხრი-  
დან ასამდე ცხენოსანი მხედრები მოიკრენ; ნაწილმა სა-  
თარ-ხანს მიაშურა, ნაწილმა პირდაპირ ტიალ ველზე  
ჩვენს დასახმარებლათ მოიკრენ. მტრის მხრიდან მათ  
ტყვიები დაუშინეს — ბევრი დაიჭრა, მაგრამ ბევრმა ჩვე-  
ნამდე მოალწია...

მზემ გადაიხარა და ახლა წინიდან გვინათებდა; ჩვენს  
ნახევრად დანგრეულ საფარს მტრის დასახათ ბრიდა,  
რომ უცებ თაერიზის გზიდან, ჩვენს უკან, ზარბაზანი გა-  
ვარდა, უუმბარამ ჩვენს თავზე შრიალით გადაიარა და  
მტრის მოწინავე სანგრებში ჭექა-ქუხილით მტრის ლავზე  
გასკდა. ჯერ არ შეწყვეტილიყო პირველი ზარბაზინის  
მქუხარე ხმა, რომ გაეარდა მეორე, და მტრისხანე მტრის  
ბანაკში მეხიეით გაირახრახა. ჩვენს უკან ახლოს, თავ-  
რიზის გზაზე, ენჯუმენის ხელმძღვანელობით მოშველე-  
ბული ორი ზარბაზანი მშურად ვარდებოდა, ჩვენს წინ  
თხრილებ-არხებიდან მტრის რაზმს ერკებოდა. ამით

ჩვენ საშუალება მოგვეცა, ვომურიდან ერთი ნაწილი გადა  
მოვსულიყვავით...

ჩემთან მოვიდა სათარ-ხანი და მკითხა: — ვემორჩილე-  
ბი მე მას ბრძოლის დროს თუ არაო? მე მივხვდი რაშიც  
იყო საქმე და მიუგე: სრულიათ! — მაშ მე რომ გიყვირო-  
დი: გურჯი ლასა არ გახვეიდე საფარიდან, მინდობრში  
გადარჩენის დროს, მოგვლავენ! რატომ არ გაიგონეოთ?  
— ამხანაგების საფრთხემ ისე გამიტაცა, რომ არაცერი  
მესმოდა, ანგარიშ მიუცემელად მიერიბდი, — მიუგე.  
ბედი გქონებია რომ გადარჩი, მარა შენ იქ წასვლია უფ-  
ლება არ გქონდა; ამხანაგების მოხმარება და დახსნა კარ-  
გი საქმეა, მაგრამ ხელმძღვანელს თავის საქმე უნდა ესმო-  
დესო. — ხელი ჩამომართვა, გამარჯვება მომილოცა.

\*\*

სათარ-ხანი წარბეგაუხსნელი, ჭოვერიტით სამხედო  
გზას გაცემროდა, რაღაცაზე მძიმედ ფიქრობდა, მისი გუ-  
ლი რაღაც ეჭვს შეეპყრო. როცა კარგა დაღამდა და ყო-  
ველივე დაწყნარდა, მან გაგზავნა მზეერავები, რომლებ-  
მაც მოიტანეს ცნობა, რომ მტერი ახლო-მახლო, ალვარ-  
ში არიან დაბანაკებული — მცველებით გამაგრებულიო.  
სათარ-ხანმა მაშინვე, მზეერავი რაზმით, დაიკავა ალვა-  
რის პირდაპირ სამხედრო გზა, შეყარა მხედრები, დააწყო  
რაზმებათ, თვითონ შეჯდა თავის ლურჯაზე, ბიქტორ ჯი-  
ქია გვერდზე მოიყენა. მე, ტყავის ჩანთა ბომებით ზურ-  
გზე გადაკიდებული, ერთ თურქის ცხენზე შევჯექი და  
ჩუმად თაერიზისაკენ მიმავალ სამხედრო გზისაკენ  
გავსწიეთ.

სამხედრო გზაზე, არხზე გადასასვლელი ბოვირი ჩაგ-  
ემსხერა და მხედრები, პატარა წყლის კოდმე ნაპირზე  
პირდაპირ წინ აღიოდენ.

ჩემი ცხენი მომაღლო კოდმიდან წყალში გადაეყუდა,  
წინა ფეხებით ჩაიმუხლა, მთელი ძალით შეინძრა და  
წყალში გადამაგდო; მეტი ტვირთი თავიდან ბომი-  
შორა, გაჭირვებით მუხლებით გაღმა გზაზე ავიდა და



სხვა ცხენებს გაჰყვა. სანამ მე წყლიდან ამოვედი, ჩერტი ჩან-  
თებით კოდმეზე ავფოფხდი და გზას გავხედე, ჩერტს წინ  
ალარავინ არ იყო; ღამის წყვდიადში ცხენების ლაშდები  
მიქროდენ. მე არე-მარეს თვალი მოვავლე, მტრის პანაკი  
მოშორებით, შავად თოვლზე გამოჩნდა. მტრის საშიშრო-  
ება თვალშინ წარმომიდგა, შევკრთი... ჩემი თავი შემებ-  
რალა, ასე დალუპვა შემეცოდვა, — სიცივემ ამიტანა ავ-  
კანკალდი, კბილები აკანკანზდა, სული ყელში მომებჯი-  
ნა. ჯავრი და მწუხარება გულზე გადამეფარა. უცებ, ჩემს  
წინ თოფიანი კაცი გავარჩიო, რომელიც ჩემსკენ მოი-  
წევდა. მე წინაალმდევობის გაწევის თავი ალარ მჯონდა,  
ანაზდეულად მისკენ მივიწიო. მან მომაშურა, მიცნო, სი-  
ხარულისგან კინალამ შემყვირა — ჩეენ ერთმანეთს გა-  
დავეხვიოთ.

ეს იყო ჩეენი ჯგუფის რაზმელი, პოლტაველი ჯარის-  
კაცი, რომელსაც ცხენი, ჩემსავით, წყალში გამოსვლის  
დროს წაქცეოდა და ვერ ამოეცვანა, და რომ რაზმს არ  
ჩამორჩენოდა, ცხენი მიეტოვებია, ფეხით გამოკიდებულა,  
მაგრამ არავის ცხენზე არ შემოესვა და გაჯავრებული  
რუსულად ილანძლებოდა: ასე რომ მიგვატოვეს, აწი არ-  
სად გაეყობი მავენსო.

ღამის სიცივემ სველი ტანისამოსი შემაყინა, მაგრამ სია-  
რულში შევთბი, ანხანაგებს დავეწიო და მათ ნახვამ გამამ-  
ხნევა. გზაზე ჩეენ შემოგვეგება ფერშალი ჯიბლაძე, თოფ-  
შემართული, რომელიც გზიდან დაბრუნებულიყო, რაზმ-  
ში მე რომ ვეღარ ვენახე. შიშითა და სიცივით ჩეენ ნახე-  
ვარი გზა გავიარეთ, რომ უცებ, შორიდან ქარის მოტა-  
ნილი ცხენების ფეხის ხმა შემოგვესმა — სიჩარით გვი-  
ახლოვდებოდა; შარაზე ყურის დადებით გავარცევით,  
ეტლი გრიალით თაერიზიდან მოქროდა. ჩეენ ერთი-მეო-  
რეზე მოშორებით, თხრილებში გადავჯექით. მე გზის  
პირად მოგროვილ ყორე ქვებს ამოვეფარე, ბომბის სას-  
როლად მოვემზადე, რომ მოსახვევთან ცხენისანი რაზმი  
და ეტლი გამოჩნდა.



ლასა! ლასა! — გავიგონე ძახილი. მე ამხანაგებისაკენ ყვირილით გავექანე, — მათთვის შემეტყობინებინა, რომ ჩვენები იყვნენ და ჩვენ გვეძებდენ

— ლასა! სათარ-ხანის ხმაც მომესმა.

სათარ-ხანის ძახილს ხმა გავეცით და ლამეში ეტლი-დან გადმომხტარს, დაკარგულ და ნაპოენ ძმასავით მოვებ-ვიე. გულაყუჩებული და შეხვედრით ალფროთოვანებული, ეტლში ჩამსვეს და თავრიზში დავბრუნდით..

მესამე დღეს, რეაქციონერი სადარ-ხანის გამოლაშქრება და უკან ჩვენი დაბრუნების თავზარ დამცემი ამბავი და მიზეზი საქვეყნოდ გახდა—მთელმა თავრიზმა იცოდა.

სწორედ იმ ლამეს მოაწყვეს გავლენიან რეაქციონერებმა რუსეთის მთავრობის აგენტებით, უსაშინელესი ღალატი, რომელმაც ათასობით ხალხი იმსხვერპლა და კინაღამ რევოლუცია დაიღლუა.

თავრიზიდან დანიშნულ მარანდის გუბერნატორს შეუჩინეს სუჯაი-ნაზიმის ყოფილი მეულლე — ეს ლამაზი, მაგრამ გამოცდილი და შერისძიებით აღსავსე ქალი რომელიც ახალგაზრდა გუბერნატორს ხასად და მევობრად ყავდა აყვანილი. და, სწორედ იმ ლამეს როცა უმთავრესი ძალებით თავრიზისკენ ილაშქრებდენ გუბერნატორი შეიძყრეს, ჭაში ჩაკიდეს, ამოილეს — შეგცივდებოდაო და გაგათბობთო, — ლორივით გარუჯეს, შეაშინეს და სამხედრო მოქმედების ყველა საიდუმლოება გააცემის. შემდეგ, ჯაჭვებით დამბული სამაღ-ხანს საწუქრალ გაუგზავნეს...

ხანების რაზმებმა თავრიზის გზა გადასჭრა, მარანდა აიღო, სათარ-ხანის საშეელად გამოსული რაზმი შეაჩერა, უკან დაახევინა, ჯულფასთან გამოამწყვედია.

ამიტომ ოყო რომ სათარ-ხანი, ბრძოლის დროს, ასე და-ეინებით თავრიზის გზას გასცემულდა, რაღაცას სწუხდა და რაკი, იქიდან არავინ გამოჩნდა მოიწყინა, ანაზღეულად ფათერაკი ირძნო — დალონდა..

ახლა ეს საშინელი ამბები ჩვენთვის ცნობილი პატდა.



რუსეთის მთავრობის აგენტების მიერ კარგად შედარებული სახსევანების ბანდები, რაზიმ-ხანის მეთაურობით სოფიანს და მის მდებარეობას შეესია, დაცარცვა, ხალხი საშინლად აწამა. აქ ჯულფიდან მომავალი თერთმეტი სომეხ-ქართველი შეიძყრეს, — ცოცხლები ცხენის და ჯორის ნალებით დასჭირდეს, ნავთი გადაარეს. დასწევეს. აქედან შეიძრენ ურმიის ჩრდილოეთით მდებარე სოფლებში, სადაც მოზღვავებულთ — იმრავიმ ბეგი და ცნობილი რევოლუციონერი მოლა შეება, საღმასქეს სავალი გზა მოუკრა, მაგრამ ბანდებმა მოასწრეს და შთელ სოფლებიდან სპილენძეულობა, ქვეშავები, ნოხები წაიღის საქონელი გარეკეს, ქალები გააუპატიურეს...

ნაზიმ-ხანის მიერ წათამამებული მთის ხანების ბანდები ქალაქ ხოის რაიონში სოფლებს შეესია, იარაღის შხარებელი მამაკაცები ყაჩალ მძარცველების ხელმძღვანელობით ბრძოლაში გარეკეს და ქალაქ ხოის და მის რაიონებს შეუსიეს, სადაც ძველი გამოცდილი რევოლუციონერი ეიდარ-ხანი იყო გუბერნატორათ.

საღმასტ-ხოის რაიონში იბრძოდა ქართველთა რაზმი, თბილისიდან ახლად დაბრუნებული გიგო გურჯის, მათიაშვილის, ამბაკო რუსეიშვილის, ილიკო საყვარელობის და არტილერისტ რაედენ სალუქვაძის ხელმძღვანელობით, (არტილერისიტმა სალუქვაძემ თავი ისახელა თავრიზის დაცვაში), აგრეთვე დაშნაკ-სომხების, თერძიკობანის და ტერტერას რაზმები, რომლებსაც იბრავიძ ბეგი და გაბედული მოხევე ლექსო გურჯი მეთაურობდნენ.

ამ საშინელ ბრძოლებში გაწყდა თასთუჩის სოფლების მამაკაცები და სამოკი მებრძოლი, ჩრდილოეთით მხარეს, ურმიის ტბაში დახახჩეს. ზოგიერთი ხანები დაშინუნენ და რეაქციონერების მხარეზე გადავიდნენ.

ექვს თებერვალს დაწყებული საბედისწორო ბრძოლა, ორ თვეზე მეტი გაგრძელდა, რამაც სრულიად გააადგურა ქალაქ-დაბები. ზოგი სოფელი გადაიწვა, ზოგიც აღიგავა დედა-მიწის პირიდან. ამ მხეცურ ბრძოლაში დაიღუპა რამოდენიმე ათასი კაცი და სახეოლვანი თავისუფლების დამცველნი.

სანამ თაერიზიდან გადაჭრილ დაბა-ქალაქ სოცფლებს რეაქციონერები ანადგურებდნენ რაზიმ-ხანის მეთაურობით და რუსეთის იარაღით, სამაღ-ხანს განუწყვერელი იერიშები მოქონდა თაერიზზე, — გაშლილ ჭალა-ზალებიდან, დასავლეთ-სამხრეთით... სამაღ-ხანის იერიშებს თაერიზზი იგერიებდა, ბალებში შემოჭრილს უკან ასევინებდა, მაგრამ თაერიზიდან გასვლის ძალა აღარ ჰქონდა, ამდენი ხნის ბრძოლით მოქანცულს, რუსეთის და სხვა კონსულების ინტრიგებში გამბულს, აღარც სურასათი ჰქონდა და აღარც საომარი იარაღი... დაავადმყოფებული, დაჭრილ-დასახიჩრებული ხალხი ქუჩებში იხოცებოდა.

გაზაფხულმა მოატანა, თაერიზის გარშემო მდებარე, მი. წის კედლებით შემოფარგლული ბალები ამწვანდა, სიკიკისაგან მოკუნტული ადამიანი მზის სხივებზე გათბა, ბალჩაში მწვანილმა მოსვლა იწყო; ხალხს იმედი მიეცა, და კვლავ წელში გაიმართა... სათარ-ხანი დალონებილი, მაგრამ იმედიანი თვალით შორს გასცემოდა — კლავ აბიბინებულ მდელოს უყურებდა...



ოსმალეთის სულთანის გადაყენებამ თაერიზი გამხნევა, ძლიერი სული შთაბერა... წინანდელმა ოსმალეთის მთაერობამ, გაჭირვებულ სპარსეთს, ურმიის მხრიდან ჯარი შემოასია; აქ სადაო ადგილების ბრძოლით გადაჭრა მოინდომა. მაგრამ, ხოის გუბერნატორმა, ეიდელ-ხანმა, იბრაგიმ-ბეგის და, რევოლუციონერების დახმარებით, სპარსეთის ტერიტორიაზე შემოჭრილი ოსმალეთის ჯარის ნაწილი თავის ოფიცირებით დაატყვევა.

ოსმალეთში გადატრიალების შემდეგ მისმა ახალმა მთაერობამ, სპარსეთში და თაერიზ-ხოიში, ახალი მოქარაობის მომხრე თურქი კონსულ-მოხელენი დანიშნა, ენჯუმენი იცნო და სპარსეთის სახელოვანი გმირები, სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი უმაღლესი ნიშნის მედლების ბოჭებით დააჯილდოვა.

მარტის პირველ რიცხვებში, როცა თოვლი აღნა, ბა-  
გირ-ხანმა გადასწყვეიტა, ხეივანის მთებით, ეინდოჟულეს  
ჯარზე იერიშის მიტანა, ეს აზრი ენჯუმენს და სამხურიო  
საბჭოს გააცნო, რომელმაც დაადასტურა და მშადებას  
შეუდგნენ.

სათარ-ხანმა დასაცლეთი ფრონტი გაამაგრა, მჩეურა-  
ვები წინ წასწია და, ჯერ გათენებული არ იყო, ზეივის  
მალალ კედლებთან ჩასაფრებული ჩვენი ჯარის ნაშილები  
წამოიშალებ და მთის ფერდობებს აჰყვენ. ჩვენს პირდა-  
პირ, მთის მალლა ბოლი გამოჩნდა, ჩვენს უკან ხევში ჯუმ-  
ბარა გასკდა; ბრძოლა დაიწყო. ბავირ-ხანმა ჯარის შეთა-  
ურებს უბრავანა: ჩვენს წინ, ახლო მდებარე მომალლა, გო-  
რაზე საჩქაროთ ასელა. თხრილებში მიმავალი ჯარი, ნია-  
ლვარივით აბობოქრდა, ალელდა, თხრილებიდან-ისტარო-  
ში თავგანწირვით გაექანა, გადასარჩენი ადგილები ხტუნ-  
ვით გადაიარა, ფერდობს შეუყვა. მალლა ავიდა; გირის  
ზურგზე გაშლილ ვაკეზე, მის წინასწარ გაყვანილ იახრი-  
ლებში ჩამჯდარ წინა მესანგრებს მიეშველა.

ყოველმხრივ უკეთეს პირობებში მყოფმა მტერმა შალ-  
ლიდან ცეცხლი გავვიჩინა, ყუმბარები დაგვაყარა, მარა  
ამ დროს, ხეივნის კედლების ბურჯგებიდან ჩვენმა ზარ-  
ბაზნებმა მალალ მთას ყუმბარები დაუშინეს, მტერს საშუ-  
ალება არ მისცეს თავზე გადმოგვდგომიდა. მტრის ჯარი,  
ჩვენი ზარბაზნების სროლის ქვეშ, მალალ მთის კალებ-  
ში შევრილ გულ-მკერდში იმალებოდა, მტერმა მაშინ  
შეეცადა, ორთავე ფრთით, თვით გადმოსულიყო შეტევა-  
ზე, მაგრამ აქ ჩვენი წინასწარ გამაგრებული რაზმები  
საშინელი ცეცხლით შეხვდენ და მოულოდნელად, ფერ-  
დობში ჩამოსული მტრის ჯარი საფრთხეში ჩაეირდა,  
თავის შესაფარებელი და საბრძოლებელად გასაჭავრე-  
ბელი ადგილი არ დაურჩა, ზარბაზნები მათ ორთავე  
ფრთის დაცვას მოუნდა.

ამ დროს ჩვენებმა, ჯორებით პატარა ზარბაზნები,  
ჩვენს წინამდებარე, და ჩვენი რაზმით წინ და წინ გა-



მაგრებულ გორის ძირას მიიტანეს; ფორთხვით, მშექმნით და გადასავალ თხრილებში ყიჯინითა და „აბა ჩერქეზი მებონა!“-ს ძახილით, ზარბაზანი მეორე მხარეს გაჭონდენ, თოვებით გორაზე ასატანად, მხრებით, ხელებით, დაწექილები, ერთი მეორეზე მიწოლით, ფრჩხილითა და კილებით, მუცელზე ხოხვით — გორაზე აქონდათ.

სანამდის გორაზე ზარბაზნებს აიტანდენ, იქ სახელდახელოთ უკეთ თხრიდენ და ასწორებდენ ზარბაზნების დასაღვამ აღვილს. აქონდათ ზურგზე მოყიდებული უცტარები, თხრილებში აწყობდენ და ასე გამწარებით ორი ზარბაზანი საჩქაროთ დადგეს რაზმებით გამაგრებულ გორაზე. მათმა ხმამ უცებ იჭება და ორთავ მხარეზე, თავდევი მომავალ მტრის რაზმში ქუხილით იფეთქა.

ჩვენ მიერ აღებულ გორიდან მთის ძირას მისვლამდე ასი საენი იქნებოდა, რომლის გადასვლა ვიწროთ გაქრილი თხრილით და შემდეგ გაშლილ მინდორზე გადარჩენით შეიძლებოდა. მტერი ამ მინდორს მაღლიდან უშენედა — იცავდა, მარა ჩვენი რაზმელები გორიდან გორზე მარდათ ადიოდა, მათი ყიჯინა-ყვირილი მთას წვდებოდა. დამხმარე, შეიარაღებული ჯარი თავრიზიდან ჩვენ მინცორზე ამოდიოდა. აქედან, თხრილებით, მინდორისკენ მიეზინებოდა, მინდორში გადარჩენით მთისკენ მიისწრაფოდა...

თავრიზის განაპირა, აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ფრთებს, სათარ-ხანის მიერ გამოვზავნილი დამხმარე ძალა მიემატა.

ჩრდილოეთით, მაღალ მთიდან ჩამოსავალ ხევში, შორს გაშლილ ბალ-ჭალებში მტრის რაზმი ჩამოიჭრა, სანგრებიდან ცუცხლი გაუჩინეს; დიდი ზიანით უკან გააბრუნეს.

საბრძოლველად ამოძრავებულ — სამაღ-ხანის ჯარის სათარ-ხანი ცხენოსან რაზმში მიეჭრა, აგრძნობინა რომ ის მათ წინ იდგა — ღამის შემოტევის საშვალება წაართვა. ქალაქის მცხოვრები ხეივნის ფრონტს მუსიკით მიიადგენ — მებრძოლნი გაამხნევეს...

ავერ მთაზე მიმავალ რაზმს დასცილდა ერთი ვაჟაური და დაწინაურდა, ცალი ხელით მიაბიჯებს, მეორეთი მოხერხებულად ქვებს ებლაუჭება. ხალხში ქების ხმა გაის-



მის, ბავირ-ხანი და ზოგიერთი უფროსი ჭოვერტებით გარკვეულად არჩევდენ. „აი ყოჩალი გურჯი მაშალა!“ გაისმის სანგრებში. დაწინაურებული გურჯი ჩანთას ისწორებს, სასროლ ბომბას ამზადებს, ცალი მუხლით იჩიქებს. გურჯამა მკლავები გაშალა. ბომბმა იფეთქა. „იაშასუნ! იაშასუნ გურჯი! იაშასუნ ფიდაი!“ შეიქნა ძახილი. და თოფის სროლა, ზარბაზნიბის ჭექა — ჰევეით მუსიკა, ყვირილი ერთმანეთში აირია. მთელი ხალხი რაზ-მელების ქებაში იყო. ეს გურჯი კი გახლდათ ბიქტორ ჯიქიძე, თბილისის რეინისგზის სახელოსნოს ახალგაზრდა მუშა, რომლის გაბედულობას მთელი თავრიზი ტაშს უკრავდა, მის ვაჟეაცობას შექმაროდა.

შეღამდა, მთის მწვერვალთან ასული რაზმები წისლმა და სიბნელემ დაფარა. ჯარს ვაზნები გამოელია, ჩემბრძოლი უკანასკნელ ტყვებს სროლილობდენ და, ვაზნები აღარ იყო. მთელი დღის განმავლობაში დამზადებული ვაზნები დაიხარჯა. ხელჩართულ ბრძოლაში ჩაპმულ მებრძოლთ, ბრძოლის დროს ვაზნები ვერ მიაწოდეს.



შუალამე გადასული იყო, სათარ-ხანი ეზოში გმირიდა დაწყობილი ჯარი დაათვალიერა; უფროსებს განკარგულება მისცა და ნაწილ-ნაწილად რაზმები სიბნელეში გაქრენ. ორი-სამი ბომბიანი ქართველი თითო რაზმს გააყოლა, მე და ბიქტორ ჯიქიძე ერთს ჯგუფს გაგვაყილა. რომელსაც ინგლისელი კორესპონდენტიც, მეთაურთა შორის მიგვიძლოდა. სათარ-ხანი თავის შტაბით და პცკავ-შირებით ეზოში დარჩა.

გავედით. უკვე თენდებოდა მოწინავე ხაზს რომ მივაღწიეთ.

მეგზურმა, ჩვენს წინ ერთ მაღალ კედელზე მიგვათითა — მტერი იქით ბალ-ჭალებშია გამაგრებულიო, და უფროსებს მისავალი გზა უჩენა. უფროსმა მაშინვე თავდარიგი დაიჭირა; ბიქტორა სასროლი ბომბის მზადებას შეუდგა, მე კედელზე უუმბარის გადასაგდებათ ადგილს



ვირჩევდი, რომ გვერდზე შეკრილ ჩვენს რაზმს, მტერმა ისეთი სროლა აუტეხა, ისეთი ყიქინა-ყვირილით შემუშავოთ ტია, რომ ცხვრებსავით მოწყვეტილმა ჯარმა, ჩვენ სიაღვარსავით უკანა ბალის კედლებთან გავეიტაცა.

ჯარის გამოქცევით გათამამებული მტრის რაზმი, ჩვენ მიერ დატოვბულ ბალში, თავდავიწყებით შემოიჭრა, ჩვენს კედელს მოაწყდა. ამ წამში აზრიანად, სახელდახელოთ კედელზე მიმდგარ რაზმელების ზურგზე და მხრებზე, ბიქტორა ჯიქიძე შევაგდე და მისგან კედელზე გადაგდებული ყუმბარა მოზღვავებულ მტერს, შეხად თავზე დასკდა. დაჭრილთა ყვირილმა იქაურობა შევზიარა. ბომბების ქუხილმა მოდევნებული მტერი უკუაქცია. მოულოდნელი თავდასხმით მთელ დასავლეთის ფრონტზე, მტერი მოქლულ-დაჭრილებს სტოვებდა, სისწრაფით უკან იხევდა...

სათარ-ხანი თავის მხედრებით, შორს გადაჟირულ ფრონტს ათვალიერებდა, მეთაურები ბალის კედლებზე მიმდგარ მებრძოლთ ამხნევებდენ, მაგრამ ამდენი სისხლისძვრით და ხელჩართულ ბრძოლით დაქანცულა რაზმი შეტვაზე ვერ მიღიოდა, სანგრებს და ბალის კედლებს იცავდა...

სათარ-ხანს მთელ მის ქცევაში, მზრუნველობით მხედრების მოპყრობაში ეტყობოდა, რომ მან გადასწუვიტა თავის ცხენოსანი რაზმით თავრიზიდან გასელა. ის თავრიზში, გალიაში გამომწყველეულ არწივს გავდა. მის უღმაფრენას, თავრიზის მდგომარეობამ ფრთხები შეაჭრა. რავით სუფლად მონავარდე ადამიანი, რაღაც ჩარჩოში ჩააყენა...

მთელი დღეების განმავლობაში, სანამ დასავლეთის ფრონტზე გაცხარებული ბრძოლა და სისხლისძვრა იყო, თავრიზში მყოფი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლების საშუალებით, თეირანიდან შახი მოლაპარაკების აწარმოებდა..

\*\*

ეს საიდუმლო მოლაპარაკება მით დამთავრდა. რომ თვრიზის ენჯუმენი შახმა იცნო, მის ხელში მყოფი, და-



საცლეთ სპარსეთის ადებაიჯანის მოწესრიგება, მისი მართვა-გამგებლობა, მის სრულ განკაგულებაში გრძასტულა ამნაირად, ამ მხარის ავტონომიური ბატონ-პატრონი თავ-რიზი შეიქნა.

ამ დღიდან შეხის ჯარები, მისი მომხრეები თავრიზ-თან ბრძოლაზე ხელს ილებდენ, ალყასა და თავრიზზე მო-მავალ შეკრულ გზებს ყოველგან ხსნიდნენ. დაწვრილებით ზაფის პირობების შემუშავება, საგანგებო კომისიას ენდო-ბოდა. ამით შეს უნდოდა ალმოსაცლეთ სპარსეთში ლაწ-ყებული მოძრაობა, ადერბაიჯანიდან გაეთიშა, თავრიზში დაბანდებული მისი ჯარი ალმოსაცლეთ საპარსეთშა გა-დაეყვანა, რეშტის შეარა გზა დაეყავებინა, მით თეირანი და თავი გადაერჩინა, და როცა ალმოსაცლეთში რევოლუ-ციურ მოძრაობას ჩააქრობდა, შემდევ თავრიზზე, ვამა-ნალგურებელი იერიშებით მოსულიყო...

ყველაფრიდან სჩანდა, რომ რუსეთის მთავრობის დახ-მარებით ინტრიკებს აწყობდა; ვითომ ენჯუმენს უთმობ-და და ბრძოლაზე ხელს ილებდა!..

ალყაშემორტყმულმა თავრიზმა, რომელმაც კარგად არც კი იცოდა რა ხდებოდა მის ირგვლივ, ეს წინადაღება დიდ გამარჯვებათ ჩათვალა და ევროპიელ კონსულთა წარმომადგენლების წინადაღებაზე დასთანხმდა.

მეორე დღეს მტრის ჯარებმა უკან დაიხიეს და მთელი წლის განმავილებაში ალყაშემორტყმულ თავრიზში. გაო-ცებული და შემკრთალი სოფლელები მოღიოდენ. ამ-ბაეს გებულობდენ, მოთარეშე ჯარებს თუ რაიმე სანო-ვაე გადარჩათ ვირებ-ჯორიბით მოქონდათ.

მაშინ როდესაც თავრიზი დღლესასწაულობდა და აქაუ-რები ერთი-მეორეს „გამარჯვებას“ ულოცავდენ, ასბავი მოვიდა, — მდინარე არაქსის რეინის ხიდს გენერალი სნარსკის მეთაურობით, ოთხი ათასი კაცით შემდგარი რუსის ჯარი მოადგა: სპარსეთის ტერიტორიაზე გაღ-მოსელა უნდა თავრიზში მყოფ უცხოელების დასაცა-ვად და საჩქაროთ წამოსვლა მიოთხვეა.

ენჯუმენს თავზარი დაეცა.



თავრიზში აგერ ერთი წელი სრულდება, რაც თავი-  
სუფლების დასაცავად ბრძოლაა, მაგრამ არც ერთი შემ-  
თხვევა არ ყოფილა, რომ უცხოელი გაეცარცვათ, მოეკ-  
ლათ, ან მათ ქონებას შეხებოდენ. ამდენი ხნის განძალო-  
ბაში, რუსის მთავრობის აგენტები და ადგილობრივი  
რეაქციონერები ბევრს შეეცადენ, მძიმე გაჭივრებაში ჩა-  
ვარდნილი თავრიზელები ანარქიაში გაეხვიათ, მარა ვერ  
შესძლეს.

დღეს, როცა შახმა თავრიზს, წართმეული კონსტიტუ-  
ცია დაუბრუნა, და მთელი ხალხი მოწყურებული იყო  
მშევრობიანობას, ლონდონ - პეტერბურგის შეთანხმებით  
კავკასიიდან რუსის ჯარი ჯულფას მოადგა...

ენჯუმენი სასწავლოდ, სათაბიროდ შეიკრიბა.

გაუგებარი იყო დეპუტატებისთვის რუსეთის მთავრო-  
ბის მომიზეზება — თავრიზში უცხოელების დასაცავად,  
წესრიგის ალსაღენად, ჯარების შემოყვანა სხვის ტური-  
ტორიაზე... ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ საარსე-  
თის რევოლუციის დალუპვაში დაინტერესებული სახელ-  
მწიფოთა დიპლომატები თამაშობდენ უმთავრეს როლს.

მდგომარეობის გრკვევა არც ისე ადვილი იყო გაშინ-  
დელ შექმნილ პირობებში, როგორც ეს ეგონათ ზოგი-  
ერთ გატაცებულ რევოლუციონერებს და პოლიტიკურ  
მოღვაწეებს...

რუსეთის ჯარის საზღვრებზე მოახლოვებამ დიდი ში-  
ში და რყევა დაბადა. მარა ენჯუმენი „პანიკას“ არ  
მისცემია. მოპოებული თავისუფლების დაცვას ყოველ-  
გვარი საშუალებით შეუდგა. მან, როგორც ხალ-  
ხის უზენაესმა წარმომადგენელმა, პროტესტით მიმართა  
მთელ ქვეყნიერებას უცხო ჯარების შემოსულის გამო.

ამავე დროს შეიკრიბა სათარ-ხანის საიდუმლო, რჩეულ  
პირებთა საბჭო, რომელსაც დაესწრო მაშინდელი ოსმა-  
ლეთის კონსული, თუ სამხედრო „ატაშეც“; კარგად არ  
მახსოვეს. რუსის ჯარის დასავლეთ სპარსეთის ტერიტო-  
რიაზე მოულოდნელად შემოჭრა, რასაკვირველია, ქა-



ლაქ ხოის — ახლო მოსაზღვრე ისმალათისათვის უეჭმინეველი ვერ დარჩებოდა, ამიტომაც ისმალეთმაც იილო მონაწილეობა. თაორებისაგან დაგმობილ იქნა რუსის ჯარების თავის საზღვრებთან მოსვლა და რუსეთის განშრახვა სპარსეთის მიწაზე შესვლის შესახებ..

უცებ, ისმალეთის წარმომადგენელმა, თარჯგმანის შემწეობით, შეკითხვა მომცა: „რას იზამთ თქვენ საქართველოში, იმ შემთხვევაში, ჩვენი ჯარი, სალმასტ-ჩიის გზით, ჯულფასთან საჩქაროთ მოვიყვანოთ, სპარსეთის რევოლუციონური ჯარი გავამაგროთ, ენჯუმენს დავეხმაროთ, შეგიძლიათ თქვენ საქართველოში აჯანყება მოაწყოთ? რუსის ჯარს აქეთ წამოსვლაზე ხელი შეუშალოთ?“ — და პირდაპირ თვალებში მომაჩერდა. კითხვა ძლიერ საპასუხისმგებლო და სათუთი იყო, რაკი საქმე საქართველოს შეეხებოდა. მე გონიერა მოვიყრითე და ჩემი პასუხი შემდეგი იყო: „სანამ ენჯუმენი, რაიმე მიზეზით, არაქშე მომდგარ რუსის გენერალს პასუხს შეუგვიანებდეს, თქვენ კი შეგიძლიათ საზღვარზე მდგომი თქვენი ჯარი ჯულფას მიაშველოთ? მაგრამ ამის შედეგი ის იქნება რომ აქას მოყვება ისმალეთ-სპარსეთის ომი თუ არა რუსეთთან დიდი დიპლომატიური გართულება, — საზღვარზე სისხლის ღვრა. თქვენ ჩემზე უკეთ იცით, თუ რა როლს ითამაშებს ინგლისი, რომელიც თქვენ, როგორც მუსულმან ქვეყნების მეთაურს განსაკუთრებულ ყურადღებით გიყურებთ და ასეთ რთულ პირობებში, ხართ თქვენ თვითონ მომზადებული საომრად? გაქეც თადარივი, რომ უკვე, ყარს-ბათომშე მყოფი და არაქსის ნაპირზე მოსული რუსის ჯარი გააჩეროთ? თუ ეს მშენედება წინასწარ შედის თქვენს შეკითხვაში, მაშინ თქვენ საქმე გექნებათ კავკასიის მუსულმანურ ერებთან, და თუ ეს ასეა, მაშინ საქართველო თქვენს კავშირში შემოვა, რომელიც თქვენ მოვრობასთან და თავრიზის ენჯუმენთან წინასწარ შეთანხმებით, რუსების მიერ წართმეულ თავისუფლებას დაიბრუნებას. მე, ხშირად აქ ბრძოლის დროს ჩვენი სახელოვანი სარდარი სათარ-ხანი მეტყოდა: —

როცა აქ გავიმარჯვებთ, თქვენ დაგეხმარებით, რომ პრეზიდენტი სეთი თქვენგან გავაგდოთ.

რამდენად მე მდგომარეობას ვიცნობ და მისი გაცემის უნარი შემწევს, მე მგონია, კერ ღრო არ მოსულა, და თუ თქვენ ამისთვის მზად ხართ; ჩვენ უკვე ბრძოლისვალზე ვართ და თქვენგან გამაგრებული მას შეძლებისმებრ გავაგრძელებთ. მაგრამ თქვენ თუ გვინიათ, რომ ქართული ერი, უცებ აუჯანდება რუსეთს, მას გაუმკლავდება და შემდეგ თქვენ მოეშველებით, ეს თქვენს საქმეს წაახლენს, ქართველ ერს დალუპავს — თქვენ თქვენი პატარა დალით განადგურდებით... ეს დიდი საქმეა, დიდ სამზადის, თაღარიგს თხოულობს და თუ თქვენ ამისთვის მზად ხართ, შეიძლება მოულოდნელად დადგა ის ღრო, როცა რუსეთის მთავრობის (და მარტო რუსეთის?) მიერ სპარსეთში უარის შემოყვანის მომიზეზებით — ანგარიში გაესწოროთ, ისტორიული დავა გადავსწყვიტოთ, და თქვენ შეგიძლიათ საჩქაროთ მისთვის მოემზადოთ? — ან მზად ხართ? მაშინ — ბაშუსტა!

ჩვენ სხვისი თავისუფლებისთვის ვიბრძეით, რატომ ჩვენი საქართველოს თავისუფლებისთვის ვერ ვიბრძოლებთ? მაგრამ სანამ ბრძოლას დავიწყებდეთ, შეიდგენ უნდა გავზომოთ და ერთხელ უნდა გადავჭრათ. ნება მიბოძეთ, გულწრფელად მოგახსენოთ, სანამ ჩვენ ქართველებს სული გვედგა, არც მაშინდელ ოსმალეთს, არც მაშინდელ სპარსეთს ჩვენდა ხეირი არ დაუყრია, რუსეთის ბელში მიგვიყვანა. ახლა, როცა ვებერთელა ქვეყანა თქვენ მიწაწყალს ემუქრება, ისეთი საქმე არ დაგვაწყებიოთ, რომ სულ გავნადგურდეთ. აი ჩემი პირადი შეხიდულება იმ მეტად რთულსა და საბედისწერო მძიმე საქმეზე.

როცა ჩემი სიტყვა ოსმალეთის წარმომადგენელს გადაუთარებნეს, მან აღგა, მაგრა ხელი ჩამომართვა — გურჯი სარულიად მართალს ამბობსო, მას ჩვენი სერიოზული მდგომარეობა კარგად სცოდნიავო...

თაობირი კარგა ხანს გაგრძელდა, რასაც მეტს ბჭობდენ, უფრო მეტს რწმუნდებოდენ რომ თავრიზში მომავალ რუსის ჯართან შეტაკება უდიდესი პროცეკაცია



იქნებოდა მთელი სპარსეთისთვის და ყველანი გრძელებდა. რომ ვიღაცის ხელი ამ შეტაკებისთვის თავრიზშიც მუშაობდა და აქედან იმ დასკვნას აკეთებდენ, რომ უჩინჩი-ლად ყოფილიყვენ და ყოველგვარი მოსალოდნელი შეტაკება თავიდან აეშორებინათ.. ბჭობა დაიშალა. სათარ-ხანი შეტად ცუდ გუნდებაზე დადგა. მტერი სახლში პივარ-დება ვერ ებრძოლები — ეგ რანაირი მდგომარეობაა.

\*\*

გენერალი სნარსკი მდინარე არაქსის რკინის ხიდზე გამოვიდა, ოთხიათასიანი ჯარით ტელეფონი დაიკავა, და „ფარსიროვანი მარშით“ თავრიზს მოადგა. აჯა-ჩაის მდინარის გაღმა, თავრიზის გარედ მინდორში დაბატაკდა. თავრიზიდან ჯულფამდე სამხედრო გზა სადარაჯოებათ დაჰყო. სამხედრო ტელეფონით ჯულფას შეუერთდა, პირდაპირი მავთულით თბილისში სამხედრო შტაბს და კავკასიის მთავარ-მართებელს დაუკავშირდა.

მეორე დღეს გენერალმა სნარსკიმ, მის ბანაკში, შიგილო ენჯუმენის მთელი შემაღენლობა. სათარ-ხან და ბაგირ-ხანი, ერთი წლის განმავლობაში თავრიზის დაცუა მოუ-წონა; მათი ვაუკაცობა შეაქო. ყველას შამპანიურით გაუ-მასპინძლდა, სამხედრო პატივით გამოისტუმრა.

მესამე დღეს, დილიდან მთელი თავრიზი სადლესას-წაულოდ მორთული იყო. ქუჩებს ეროვნული დოკები ამჟობდა. მიუხედავათ საშინელი გაჭირებისა, ხალხი ზეი-მობდა. მუსიკა ეროვნულ ჰიმნს უკრავდა.

აივნის მოედანზე, მთელი თავრიზის დამცველი ჯარი ჩამწერივებული იდგა. წინა რიგებში: ქართველების, დაშნაკელების, კავკასიელი თაორების რაზმები იდგენ.

უცებ, ენჯუმენის კარიბჭესთან, ორი მხრით ეტლები მოგრიიალდა, არაბული ცხენებით. სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი გამოვიდენ, რამოდენიმე ასეული მხედრები ურვ-ლივ შემოეხვივნენ. ხალხის გულიდან — „იაშასუნ სათარ-ხან! იაშასუნ ბაგირ-ხან!“ ძახილი გაისმა. მთელი ხალხი ზღვასავით აბობოქრდა, ატოკდა. ორივე ვრისაბა ჯარსა და ხალხს აივნიდან მიესალმა, ხალხი ტაშის ცე-მითა და „იაშასუნ“-ის ძახილით მიეგება. ენჯუმენის და-

პუტატებმა შეკრებილ ხალხს სიტყვებით მიმართეს.

მშვენიერი სიტყვა წარმოსთქეა ჩვენი ბიუროს საჯელით სედრაკ ბანვორიანმა, დაშნაკელებიდან ზორიანმა, კუკუ- სიის თათრებიდან ერთმა ფაშამ, დაბოლოს მე მიეცესალმე გამარჯვებულ თავრიზს. — მართალია თავისუფლებას მოპოება მეტად მძიმე საქმეა, ვთქვი, მაგრამ მისი შენსრ- ჩუნება, ცხოვრებაში გატარება კიდევ უფრო ძნელია, ენჯუმენს მართებს დიდი სიფრთხილე, მასთან მოღაპ- რაჟების დროს ყინულზე დაწერილი კონსტიტუცია არ შერჩეს ხელში, ხალხის მიერ დაღვრილი სისხლი ცუჭად არ ჩაიაროს. ძვირფასო დედებო, ტანჯულო მშობლებო, თქვენ დაკარგეთ თქვენი თვალის ჩინი, საყვარელი შვი- ლები, მაგრამ ისინი მკედრები არ არიან, მათი სულები თავისუფლების დროშას თავზე დასტრიელებენ! თუ თქვენ თავისუფლებას მოუვლით, ამ თავისუფლებისათ- ვის შეწირული ქართველი ძმები ცოცხლები გვეყო- ლებიან.

სათარ-ხანს და ბაგირ-ხანს კი მართებთ ფხიზლად იყ- ვნენ, არ დაივიწყონ რომ ჯერ ბევრი საბრძოლველი სავანი წინ უდგათ! თავრიზის ინტელიგენციას, კულტუ- რულ მუშაკებს სამოქმედო ასპარეზი ეხსნებათ ... ზალ- ბში განათლება შეიტანონ, ძმობა-ერთობის მაღალი იდეა ხალხს შეაყვარონ. სპარსეთი განათლებულ ერებს დაუ- კავშირონ. — იაშასუნ მილათ! იაშასუნ ენჯუმენ! იაშა სუნ სათარ-ხან—ბაგირ-ხან! იაშასუნ თავრიზ!

გავათვე. ჩემი სიტყვა გადათარგმნეს, ხალხმა იყვირა: „იაშასუნ გურჯი!“ „იაშასუნ ბიზიმ, იაშში ლასა!“ — სა- თარ-ხანი და ბაგირ-ხანი მეხვეოდენ...

ზეიმი გათავდა, ენჯუმენს გამოეხოვენ სტუპები; სათარ-ხანი ეტლში ჩაჯდა, გვერდზე კორესპონდენტი ტარდოვის მეულე მიუჯინეს. მე და ტარდოვი ეტ- ლის წინა სკამებზე დაესხედით, კოფოზე, სათარ-ხანის პირადი მხლებლები დაჯდენ. ეტლი დაიძრა. აზლვაკებუ- ლი ხალხი იაშასუნ და ტაშისცემით, სარდარ სათარ-ხანის სასახლემდე გვაცილებდა, სადაც გაშლილი სუფრა გველოდა...

გენერალ სნარსკიმ რუსის ჯარის ნაწილი თავისიზში შემოიყვანა, ქალაქის მოედნები და სტრატეგიული აუგი-ლები დაიკავა, საპიროების საშვალებით, დინამიტებით სანგრები ააფეთქეს, თხრილები დაანგრიეს, დახურული ალაყაფების კარებები დაამსხვრიეს.

ზოგან მთვრალ ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, ქუჩაში მიმავალ ქალებს პირბადე ახადეს, მათ კივილ-ჩხილზე შეიარაღებული რევოლუციონერები, მშობლები და ნათე-საობა მოიჭრენ, სატევრების ფრიალი, რევოლუციების სორლა გაიმართა. შეშინებული ქალები და ბავშვები თავ-რიზის ქუჩებიდან გაქრენ. აქა-იქ შეიარაღებული მცხოვ-რებნი შიშით დადიოდენ. რუსის ოფიცრობა, გუშაინდელ მებრძოლთ დასკინოდენ: „მი იმ პოკაეუმ, კაკიე ანი რე-ვოლუციონერი — კარია ი შახა ნე ხატიატ; შეურუ სნიმები!“ გაიძახოდენ...

ენჯუმენმა მიმართა უცხო სახელმწიფოების წარმომად-გენელებს, მომწესრიგებელ კომისიას, მაგრამ საშაროო, ოჯახში შემოქრილ გენერალთან, რას გააწყობდა? აქამ-დე თავისუფლების დამცველ ბარიკადების ნანგრევებზე რუსის ჯარი იღვა...

გამომკვლევი კომისია, მთელი წლის განმავლობაში, სხვა და სხვა სახელმწიფოს ვაჭარ-ბანკების ზარალა იძი-ებდა, სამოქალაქო ბრძოლის დროს ცეცხლით გაღამდევარ სახლებს აფასებდა, შედგენილ ანგარიშს ენჯუმენს უდევნ-და, საჩქაროთ ანაზღაურებას ითხოვდა, წინააღმდეგ შემ-თხვევაში, რუსის ჯარით იმუქრებოდა.

მოსაშვალეთ ჩარეული ინტრიგანი დიპლომატები მათ ურჩევდენ: თავრიზის თავისუფლებაც და თავრიზის ვა-ლის გადახდაც შახისთვის გადაეცათ. ე. ი. უცელაფრისთ-ვის თავი შეენებებიათ.

მიუხედავათ ასეთი ჯოჯოხეთური პირობებისა, ენჯუ-მენმა თავრიზის მცხოვრებლებიდან მოახერხა ფულის შეკრება, ზოგი აუცილებელი მოთხოვნილებანი კომი-სიას დაუკმაყოფილა, ზოგი სადაოთ გახადა, ზოგი კო-ხერხებულათ გახანგრძლივა...



რას არ ეცადა სპარსეთის და მისი რევოლუციის დანარჩენა  
ლუკვის მოსურნე ინტრიგანი დიპლომატები და შახის მომართება  
ავენტები, რომ თავრიზი რაიმე პროვოკაციის ქსელში  
გაეჩათ, მაგრამ ეს ვერ შესძლეს. თავრიზი გასაოცარი  
თავდაპირისამდებით ითმენდა რუსის ჯარის მიერ შიკენე-  
ბულ შეურაცყოფას...

ერთ ღამეს თავზიში, ვიღაცამ საღარაჯოზე მდგომი  
რუსის ჯარისკაცი დასჭრა, თუ მოკლა. დამნაშავე ვერ აღ-  
მოაჩინეს. მიუხედავათ იმისა რომ რუსის საღარაჯოს ახ-  
ლოს, ღამე ვერცერთი სპარსელი ვერ გაიცლიდა, გენე-  
რალმა სნარსკიმ პასუხისმგებლობა ენჯუმენს დააკისრა.  
რამოდენიმე ათასი მანეთის გადახდა მოთხოვა და, თუ  
ასეთი რაიმე კიდევ განმეორდებოდა, თავრიზის განალ-  
გურებით დაემუქრა. ენჯუმენზა უცხო სახელმწიფოთა  
წარმომადგენლებს მიმართა, მათ მიერ არჩეულ კოშისის  
განაჩენის ასრულება იყისრა. კომისიამ ბრალდედა უსა-  
უძლოთ იცნო.

რავი აქ ვერ გასჭრა გენერალ სნარსკის ხრიკა, მაშინ  
მან მოითხოვა: „იმ კავკასიელების გაცემა, რომლების შემ-  
წეობით უცხო სახელმწიფოების ქონება დაზარალდა  
თავრიზშით“. ეს იყო მეტად მზადებული ბრალდება, რო-  
გორც ჩვენთვის ისე ენჯუმენისთვის და მთელი რევო-  
ლუციონური თავრიზისთვის.

— როგორ! ჩვენ გავსცეთ რევოლუციონერები, რომ-  
ლის დახმარებით ჩვენ თავისუფლება მოეიპოვეთ, ჩვენს  
თავრიზს იცავდენ მთელი წლის განმავლობაში, ჩვენთან  
ერთად სისხლს ლურიდენ, მათი საუკეთესო ვაჟაცების  
საფლავებიც კი არ ვიცით, რომ მომავალმა თაობამ ლირ-  
სეული ძეგლი დაუდგას და, დღეს რუსეთის მთავრობა  
ცოცხლად გადარჩენილი ამხანაგების გაცემას გვთხოვს?

— ჩვენ, ხალხის მიერ არჩეულ თავრიზის რევოლუციო-  
ნურ ენჯუმენს ამას გვიბედავენ?! — არასოდეს! ასეთი  
იყო მისი პასუხი. მართლაც, ენჯუმენისათვის ეს ხომ  
უმაღლესი შეურაცყოფა იქნებოდა!. მტერსაც ეგ უნ



დოდა — ამით იგი სპარსეთის რევოლუციის მონაშევარის უკან  
დაღუპვის გზაზე აყენებდა და მისი მუშაობაც ჰქეობენ ითვა  
იყო მიმართული...

შექმნილ მდგომარეობის გამო, ქართველობამ საქართველო  
ფოთ შევიქრიბეთ, ვითათბირეთ და დავადგინეთ: „რუსე-  
თის ჯარის, სპარსეთის ტერიტორიაზე შემოჭრას, რევო-  
ლუციონური თავრიზის და მისი მთავრობის შინაურ საქ-  
მეებში ჩარევას ჩენ ვთვლით, უმაგალითო ალმაშტოთე-  
ბელ მოქმედებათ და მთელი ქვეყნის წინაშე სასტიკ პრო-  
ტესტს ვაცხადებთ. მოვითხოვთ რუსის ჯარის სპარსეთის  
ტერიტორიიდან საქართველო გაყვანას. სირცხვილი მოელი  
ქვეყნის პარლამენტ—მთავრობებს, რომ მათ წინაშე, ახ-  
ლად გამოლვიძებულ სპარსეთს ანადგურებენ, ხალხის  
მიერ მოპოვებულ თავისუფლებას რუსეთის ინტერესებს  
ანაცვალებენ და ამის წინააღმდეგ ხმას არ იღებენ...“

რაც შეეხება ქართველებს, რომლებმაც სპარსეთის რე-  
ვოლუციაში ბრძოლით მონაშეილეობა მივიღეთ, — კონ-  
სტიტუციის მიღების დღიდან, ჩენს მისიას დასრულებუ-  
ლად ვთვლით. ამის შემდეგ სპარსელებს თავის საკუთარი  
გზა აქვთ და, რომ ჩენი აქ ყოფნით მათი საქმეები არ გა-  
ვართულოთ, ამიტომ სპარსეთსა და იდერბაიჯანს ვტო-  
ვებთ და აქაურ აწინდელ მოქმედებაზე პასუხისმგებლო-  
ბას ვიხსნით. შექმნილი მდგომარეობის გამო, ვერცერთი  
ჩენი მომქმედი წევრი, დასავლეთ სპარსეთის შინაურ  
საქმეებში ვერ ჩაერევა და ვერც მონაშეილეობას მიიღებს“.

სპარსეთში რუსის ჯარის შემოჭრის წინააღმდეგ ჩენი  
პროტესტი დაპეშით გდაეცა ევროპის პარლამენტებს მე-  
ორე ინტერნაციონალის თავმჯდომარეს ბრიუსელში  
ვანდერველდეს და ოფიციალურად ეცნობა ენჯუმენს.

ჩენ სახელდახელოთ ბინები გამოვიცვალეთ. დალუ-  
პულ ამხანაგების საფლავების მოვლა თავრიზში დარჩე-  
ნილთ დავავალეთ.

ენჯუმენმაც, თითქმის იმავე ხასიათის საპროტესტო რე-  
ზოლუცია გამოიტანა და გაუგზავნა უცხოეთს და ჩენს  
თავრიზიდან გამგზავრებას საჩქაროთ შეუდგა.

როგორც დასაწყისში ვთქვით, აქაც დასასრულში, იძულებული ვართ მოგონებების მთავარი შინაარსის გადაწყვეტით დავკმაყოფილდეთ.

ელასა ზოგიერთი თანამებრძოლით ისევ თბილის უბრუნდება, სადაც კარისტული რეაქცია მძვინვარებს. სოციალ-დემოკრატიული პრესის ხელმძღვანელის, რაფ-დენ (მიშა) არსენიძის შთაგონებით, იგი საგაზეთო წერილებში აღწერს სპარსეთის თავგადასავალს, რაც დიდი ინტერესით იკითხება. მას მოხსენებების გაკეთებასაც სთხოვენ... ჯერ თბილისის სხეა და სხეა კუთხეში, შემდეგ ბაქოში და აქედან ჭიათურაში, ცხენისწყლის პირას გაშლილ ჭალებში, ზუგდიდში, ფოთში, სამტრედიაში, ხევარბეთში, ლიხაურში, ბახმაროშე, ბახვში, ტყეებში, ვითომ ტყის საჭრელად გამოსულ ხალხში, ხმას იმაღლებს და სპარსეთში კონსტიტუციის მოსაპოებლად გამართულ თავგანწირულ ბრძოლებს ასურათხატებს...

მისმა ცხოველმა გამოსვლებმა რეაქციისაგან მიძინებული ძალები გამოალიდა, მაგრამ მისი სული მაინც სპარსეთში მიიწევს: ვერც დედის მუდარა, ვერც მეზობლების რჩევა ამას ვერ დააშლევინებს...

რა ხდება ამ დროს სპარსეთში? თავრიზის გამანთავისუფლებელი იდეები აღმოსავლეთ სპარსეთსაც მოედო. თეირანში ხანებიც კი, მრისხანე შახს გადაუდგენ... თავისუფლება ყველას სასუნთქვავ ჰაერად გადაიქცა და ყველამ ერთად შახისა და მისი მთავარი მრჩეველის ლიანოვის ინტრიგებს წინალუდგა. სატახტო ქალაქი პრაქტიკულად რევოლუციონერების ხელში იყო და ამით შეშინებული შახი—მამადალი, ლიახოვის რჩევით, უცხოეთის საელჩოს თავს აფარებს და აქედან საზღვარ-გარედ იპარება. ეს ფაქტი გამანთავისუფლებელი კომიტეტისათვის საკმარისი გახდა, რომ დროებით მთავრობა შეეღვინა და მეჯლისის (პარლამენტის) მოწვევაზე ეზრუნა.

სწორედ ამ დროს მიემგზავრება ვლასა საქართველო-



დან. ახლა იგი კასპიის ზღვას აღმოსავლეთით მთელი თა-  
ვისი სიგრძით გადასჭრის და თეირანისაკენ მიემურაბა. თავის  
თავისუფალი თეირანი მას აღფრთოვენებით მიიღებს... აქ  
დახვედება მას მისი გუშინდელი თანამებრძოლები, მათ  
შორის მრავალი ქართველი. მას გამანთავისუფლებელ კო-  
მიტეტში მიიწვევენ, სადაც უკვე თანამშრობლობენ მისი  
ამხანაგები — იბრაგიმ ბეგი და ეფრემ ხანი (სომები).  
ამ სამი ადამიანის მთელი გამოცდილება და ენერგია  
მეჯლისის მოწვევასა და მისაღებ კონსტიტუციის გამო-  
მუშავებას მოხმარდა. ესენი, მართლაც, რომ გამანთავი-  
სუფლებელი კომიტეტისა და დროებით მთავრობის ნამდ-  
ვილი ბერკეტი გახდენ...

ხალხის დეპუტატები სპარსეთის ყველა კუთხიდან  
თეირანისკენ მიიღებულდენ, მაგრამ, ამ აფორიაქებულ და  
საშიშროებით სავსე ქვეყანაში, ეს მაშინ არც ისეთი ად-  
ვილი საქმე იყო... სამი თვე დასჭირდათ დეპუტატებს  
თეირანში მისულიყვნენ და მეჯლისი გაეხსნათ.

ამ მეჯლისის გახსნის ზემომავალი შემდეგ, შახის 14 წლის ვაჟი —  
ახმედ სულთანი შახად იქნა გამოცხადებული, რომელ-  
მაც, სამღვდელოების თანდასწრებით, მეჯლისის მიერ  
მიღებულ კონსტიტუციაზე ფიცი დასდო. კონსტიტუციის  
მიღებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ მრავალ სიტყ-  
ვათა შორის, ვლასას სიტყვა გამოიჩინა, რომელიც იბ-  
რაგიმ ბეგს გადაუთარგმნია და რომელსაც მეჯლისზე  
უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია. (ეს სიტყვა „რუს-  
კო სლოვოში“ გამოქვეყნებულა და ეკროპაშიც გავრცე-  
ლებულა).

ამის შემდეგ ვლასამ თავისი თანამებრძოლების საფ-  
ლავები მოინახულა და მათთვის ძეგლის აგებაზე იზრუ-  
ნა. აქეე ნახა მან შახ-აბაზის მიერ გადმოსახლებული  
ფერეიდანელი ქართველები, რომლებიც გამანთევისუფ-  
ლებელ ბრძოლაში მონაწილეობდნენ. შეკრიბა მათ შო-  
რის ცნობები და თბილისში ჩენ მეცნიერებს წამოულო.

ყველა წარმოიდგენს, თავისუფალი თეირანი როგორ  
გამოაცილებდა ვლასა მგელაძეს. იგი მაღე თბილისშია...



მისით დაინტერესებულია ქართველი მეცნიერები: მოსკოვის უნივერსიტეტის განაშვილი ალ. ყიფშიძე, დავ. კარიჭაშვილი და ქართველი მწიმე მარიამ წერაკითხვის გამაცრცელებელი საზოგადოების გამგე შიო მლეიმელი.

ახლა იგი საკუთარი სახელითა და გვარით თბილისის ქუჩებში დადის... რუსის უნდარმები გაქაჩავენ, მაგრამ ბრალდებას უკარის უპოვნიან და ანთავისუფლებენ.

„თავისუფალი სპრსეთი კარგია, ფიქრობს იგი, მაგრამ თავრიზის ენჯუმენი, სათარ-ხანი, ბაგირ-ხანი და იქაური თანამებრძოლები ჩემი სული და გულია“ - ო. და, მისი გულიც აქეთკენ მიიწევს. ერთხელ კიდევ გაეპარება რუსის უნდარმებს, გადაცურავს არაქსის ტალღებს და მრავალი დღის მგზავრობის შემდეგ თავისუფალი თავრიზის კარებს მიადგება. აქ მას გამარჯვებული ენჯუმენი დიდის აბბით მიიღებს. სათარ-ხანი, ბაგირ-ხანი და თანამებრძოლები ზეიმს გაუმართავენ. (ამათ შორის ბევრია ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები). ჩამოუელის ბრძოლაში დაკარგულთა საფლავებს. ყველას შესთხოვს — ამ საფლავებზე ძეგლები აღმართონ და მოპოებული თავისუფლება შეინახონ და დაიცვან. ამით გულშეჯერებული ემშვიდობება სპარსეთს და სამშობლოს უბრუნდება, მაგრამ მის აქ გაჩერებაზე ფიქრი ზედმეტია, იგი დაჭრას და ციმბირს ვერ აცდება და ამიტომ ამხანავები მის ევროპაში გაგზავნას აწყობენ.

\*\*

დას. ეკროპაში სპარსეთის ამბები უკვე ვრცელდებოდა და, ამ ჩამორჩენილი ქვეყნის ასეთნაირი ამოძრავება ყველაზე წინ მას აფრთხოვანებდა, ვინც მაგვარი რეფიმის მსხვერპლი იყო. ასეთი იყო რუსეთის იმპერიიდან გადმოხვეწილი მრავალეროვანი ემიგრაცია თავისი მაღალი ინტელექტუალური ძალებით. ეს ძალები აზროვნების სხვა და სხვა ოჯახიდან მოდიოდენ, მაგრამ პეტერბურგის რეფიმით ყველა ერთნაირად იყო შევიწროვებული და ერთნაირი გატაცებით ელოდენ ამ რეფიმის დამსხ-



ვრევას. ამ ძალებთან ორგანულად გადამბული იყო „საზღვრულო გარეარეთ სწავლის მიზნით გამოსული სტუდენტობაზონის“ რომელსაც ახალგაზრდული ტემპერამენტით, კიდევ მეტი სიცხველე შექმნდა ამათ ცხოვრებაში. ახლა აქ ფეხდაფეხ მისდევდენ სპარსეთის მოძრაობის განვითარებას და დიდი ცნობისმოყვარეობით ეძებდენ თითოულ მის დეტალს...

„რუსეთი სლოვო“-ს კორესპონდენტი ტარდოვი ამის შესახებ მთელ ფელეტონებს აქვეყნებდა და ვლასაზე სწერდა: „უნდა ნახოთ ტრია (ვლასას ფსევდონიმი), როცა იგი საომრად გამზადებულ ფილაებს (რევ. გვარდია) სიტყვას ეუბნება. არწივისებური ცხვირით, ლომსავით ფაფარგადაყრილი თვალთაგან ცეცხლს აკვესებს. მისი დაჭრილი თითებით ბომბს ათამაშებს და მებრძოლთ ამნევებს... ის თავრიზის საყვარელი პიროვნებაა“-ო.

როცა ეს ენენევაში პლეხანოვს წაუკითხავს, უთქვამს: „ეს ხომ ჩვენი ტრიაა, თავრიზში ჩემი ოჯახიდან რომ წავიდა“-ო.

გავარდა ხმა, რომ ტრია უკვე ვენაშია. ჯერ ორგანიზაციების ხელმძღვანელები მიიწვევენ მას, მერმე კი, მთელი ემიგრანტული საზოგადოება.

აუდიტორია გაჭედილია. სკენაზე ვლასა ლაპარაკობს, მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი ლაპარაკი — იგი რუსულს ფლობს, მაგრამ გრამატიკის არაფერი ესმის. მაშასადამე, მიმიკით უნდა იბრძოლოს, იბრძოლოს ორატორული ყველა ეშით, რომ სპარსეთში განცილი ამბები ზუსტად დახატოს.. და, წარმოიდგინეთ, ის ამას აღწევს... მისი მებრძოლი სულისკვეთება ყველა დაბრკოლებას გადალახავს და ამით განათლებულ მაყურებლებს ჰქიბლავს და აღელვებს. პატარა შესვენებით, მოხსენება სამი საათი გრძელდება და, ხანგრძლივი ოვაციების შემდეგ ცნობილი პირები მას ეხვევიან და ესალმებიან. — „ვლასა გვასახელე“ ქართულად გაისმის ჩვენი სტუდენტების ხმა...



ვლასამ გამოცდები ჩააბარა. ამიერიდან განათლებული იყო საქართველოს მას აღარ ეშინია. მის მიერ დალაგებული თავგადასავალი, რომელსაც ამ წიგნის მკითხველი იცნობს და, რომლის წასაკითხავად ვლასა ევროპის ყველა ცნობილ ქალაქებში მიიწვიეს, დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი. არა მარტო პლეხანოვ-აქ-სელროდი და მათთავით რუსეთის იმპერიიდან გადმოხვეწილი პოლიტიკური მოღვაწეები, არა მარტო ქართველი და რუსი სტუდენტობა ციურიხში, უნივერსიტეტი, პარიზში თუ ბერლინში მას პატივებენ და ყურადღებით უსმენენ, არამედ განათლებული ევროპის პოლიტიკური პარტიების მეთაურები და სახელგანთქმული მწერლები საკუთარ ოჯახებში იწვევენ და სპარსეთის ამბებზე ესაუბრებიან. ზოგჯერ იგი მოგზაურობაში აკრეფილი ფრანგულ-გრამანულ-იტალიანური სიტყვებით ფრაზებს აკოწიწებს და ამნაირად სპასეთის მოძრაობის მთავარ იდეებს მათ უხსნის და უხსიათებს. მისი სურვილია — განათლებულ ქვეყნებში — ამოძრავებული სპარსეთის მოციქული გახდეს და ეს ძნელად შესაძლებელი საქმეც შესძლო; მის მოხსენებებს არა მარტო ემიგრანტული პრესა, ევროპის სატახტო ქალაქების სერიოზული გაზეთებიც გამოეხმაურენ და ნიჭიერი ეურნალისტები მას საუცხოვო კომენტარებსა და შეფასებას უძღვნიან...

ბოლოს ვლასა მაქსიმ გორკიმ სამი თვით კაპრში მიიპატიცა. კაპრის კუნძული ნეაპოლთან ლაევარდოვანი ცის ქვეშ გაშლილ ტირენის ზღვაში ჩადგმული მრავალფეროვანი თაიგულია. აქ მდიდრულად მოწყობილი გორკის ოჯახი მიპატივებული სტუმრებისათვის გულუხვი მასპინძელია. მასპინძელს საამისო საშუალებაც აქვს და მოთხოვნილებებიც, ამიტომ იგი მუდმივად გარშემორტყმულია ხალხით და, ლიტერატურული მუშაობიდან გადარჩენილ მცირე დროს, მათთან სეირნობაში და საუბარში ატარებს.

ვლასას მოხსენებები დღე გამოშეებით საერთო ზალაში იყითხება. მოძრაობის საფუძვლიანად გაცნობის მიზნით, გორკი მას შეკითხვებს შეკითხვებზე აძლევს და



ელასას უბრალოდ და გარკვეულად მიცემული პასურების განვითარების მოსწონას. ელასაც გორეკის კვლევა-ძიების დაუტანებელ მეთოდს აღმოაჩენს და მით საკუთარ აზროვნებასა და მსჯელობას იმდიდრებს. მათ შორის დამყარებული ნდობა და პატივისცემა კიდევ უფრო ზრდის აქ თავმოყრილ აღაშიანთა კარგ განწყობილებას და ეს ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, ამ ედემის მსგავს კუნძულზე, ბუნებრივი და გონიეროვი სიმშევნიერით სტებებიან — ზღვის ტალღებში, პლაჟის სილაზზე, ამწვანებულ მინდოორ-ველზე მათი სპორტიული შეჯიბრებაა გამართული; სალამოს სახლში დამსხდარნი, ან მთვარიან ღამეში გარეთ მოსეირნენი კამათობენ და აზრს ცელიან სხვადასხვა საინტერესო კითხვებზე. ამ უამაღ სპარსეთის რევოლუციის ამბავი აქტუალურია და ელასაც ამის ცენტრშია — იგი საჭირო ახსნა-განმარტებებს დიდი გატაცებით იძლევა...

სოციალ - დემოკრატიული კომიტეტის დავალებით, გორეკისას ელასა სპარსეთის რევოლუციაზე გაკეთებულ მოხსენებების კონსპექტს წერს, რომელიც გადათარგმნილი და დაბეჭდილი კოპენჰაგენის სოციალისტურ კონგრესზე იქნა წარდგენილი. აქვე იგი ციმბირიდან მის პირველ გამოქვეყნას აღწერს, რომელიც ჩვენს სახელოვან კრიტიკოსს ელადიმერ ბაქრაძეს გადაუთარგმნია. ეს ნაწერი პლეხანოვის ბიბლიოთეკაში შეუნახავთ და შემდეგ, ლევ დეინის წინასიტყვაობით, ხარკოვის არალეგალურ ეურნალში გამოუქვეყნებიათ.

მართლაც, 1910 წელი ელასასთვის შესანიშნავი წელია. ჯერ თავრიზიდან თბილისში დაბრუნება, თავრიზის ამბებზე წერა და მოხსენებები, შემდეგ კი ოეირანში გამგზავრება, სპარსეთის გამანთავისუფლებელ კომიტეტში მუშაობა და მეჯლისის მიერ, კონსტიტუციის მიღებით, სპარსეთის თავისუფლების დაგვირგვინება. კიდევ თავრიზი — აქედან სამშობლო და შემდეგ ევროპა. ევროპაში უამრავი მოხსენებები და ინტერვიუები და ბოლოს გორეკის სამოთხე...

მაგრამ ვარდი უკილოთ არ არის!.. ელასას გული ჯერ გორეკისთან ლენინის სტუმრობამ დაალონა. ეს ბეჭვის

ოდენა კაცი, — ამბობს ელასა, სულ მუდამ განში მიღწევთ რეაცია  
და, საათობით გულჩათხრობილი რჩებოდა. იგი კორპუსი იყო...  


შემდეგ კი საზღვარგარეთელ ხელმძღვანელობიდან,  
ნოე ქორდანიასთან საქართველოში გამოვზავნილი, ბა-  
თუმში ჩავარდება, ციხეში ჩასვამენ და აქ დაასრულებს  
1910 — 1911 წლის ზამთარს. გაზაფხულზე აღმინისტ-  
რიული წესით კი მას როსტოკში გადაასახლებენ...

სამწუხაროდ, სამოთხიდან ჯოჯობეთი შორს არ ყო-  
ფილა...



ამ წიგნის გამოსაცემად 600თიერი საშვალე-  
ბა გაიღო განცენებულება მის. ცაგარელმა, თა-  
ვისი მეუღლების, ელევი დოგორუჯგინის ხსოვ-  
ნის აღსანიშნავად.

## ՀՐԱՑՈՒ ՇԱՌԵՒԻՆ

Մասնաւու հրացու և հա პորտեպեմի դաշտերա զլասամ ժապոն մոցոնեցեծ, ամուս Շեսաեց ծ-նո ԱԼՈՎ ՍԱԼՇԵՎԱԲՈ մոցցոտերոծներ:

— զլասա ե՛մորած համուլութա սովորմո, հակ մուսալուրու-  
թուան յարտարակութամո քու սուսարուլու ուշացած աշխատա. հառմա-  
սնդա, տոտութա հայեցանո ցուլութամուտ մուտուս քարո-  
ւո ցաւու և ցաւումամունեցեծնա. Շաճաւ—ցուրաս ցաւուցու-  
թամուտ և սմերնամուտ մու հայուլուպուոնուր տացարասազալու.  
յս ամեաց օմքոնած սանքուրեսո ցածդա, հռմ ման մոեսց-  
նեցեծներ կուցեծ գանիչու. Նոցայեր զերպութու: „ զլասա!  
սնդա ցացուիշերու տէցենո մոցոնեցեծն. “ ամանց օցո  
սուլութու ցուկասուեցեծն: „ ցու հատ ցասկուրուցեծն. “ -.

ծոլուս մու յուրուցեմ և մե գայունեցետ ցտեռացետ և  
հռուրու ուղու ցաւուտանեմուց. զույնուրացետ սասրումութու  
մուսալուրու ուստի և ցաւութու հայուլուց. մուտու տայեցետ  
ցանմացութամո წերճա.

Տարածութա հայուլուպուութա, մեծութու մուրուս օցո-  
նեցետ հիմս մմաս հայուցն սալույցամես, հռմելու մու  
ցաւութու ոնմութա. ե՛մորած մերպութա, հռմ հայուցն մա-  
մացաւ ոյցութա և պայլաս սովորուլու մուսանուրուցետու...

յուրու ցլուս հիմտան մումուցու և մուտերա: „ ցաւատաց  
տէցենո տեռացն — գայերու մոցոնեցեծն, մարա գանձուրու  
արուս ցայերութա և ցաւութու ալրու ցանութու, տուրու  
իւանմլուցն. ”

Մուգութու ցրենութու, ցամուտէցամ յմայութուլութաս և  
մալութաս մատ մոմարտ ցոնց ցլաս մցելամուս մոցոնե-  
ցեծն ցամուցու. ”

ՀԱՅԱՍՏԱՆ

ոլ. ՏԱԼՈՒՅՎԱԾԵ.

K 297 · 373

3

333-363-328  
616-210-0000